

# ლიტერატურული საქართველო



# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

30 ივლისი 2021წ. №19 (4018) ბამოცემის 90-ე წელი ფასი 1 ლარი



## ჩემი თამაზ ნიჟნიჰაჟე

უკვე სამი ტკივილიანი წელი გავიდა იმ ავად სახსენებელი 2018 წლის 12 ივლისის შემდეგ, რაც, ჩემო თამაზ, ნახვედი და სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრე. თუკი იმ ქვეყნად მართლაც რაიმე არსებობს და ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება, გულწრფელად მშურს იქ ნასული ღირსეული ადამიანებისა, რადგან შენი სახით მათ დიდი ნიჭისა და ხალასი იუმორის მქონე, თავის ქვეყანასა და თავის ხალხზე უზომოდ შეყვარებული კაცი შეუერთდა.

თამაზ, გამოსათხოვარ სიტყვაში გითხარი და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩემი ნახვეარი სიცოცხლე მუხრანმა წაიღო, დარჩენილი ნახვეარი კი შენ და... დავრჩი ასე უსიცოცხლო და სულიერად დაცლილი. ვერაფრით ვეგუები უშენობას. შენ შემდეგ ჩემთან სახლში ჩვენს საყვარელ საერთო მეგობრებთან ერთად აღარც შევკრებილვართ. რომც შევიკრიბოთ, ის შო და ლაზათი სუფრას მაინც აღარ ექნება, რაც შენი თამადაობით ჰქონდა. ჩვენი საერთო მეგობრები: ავთო ჯორბენაძე, ელიზბარ ჯაველიძე, როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, რეზო ამაშუკელი, გიორგი კვეციანიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ემზარ კვიციანიძე, ემზარ ტურძელიძე, გიორგი ხარაბაძე... დღე არ გავა, რომ არ გახსენონ და რაღაც არ გაიხსენონ შენი არცთუ ხანგრძლივი ბობოქარი ცხოვრებიდან - შენ ხომ მთელი შენი ცხოვრება შენი ქვეყნის, შენი ხალხის სიყვარულსა და სამართლიანობისათვის ბრძოლას შეაღწე. ამ მიმართებით

დასასრული 89-2 გვ.

## ლიბროკუბიკულარისთვის თანანაწერები

პაატა ნასვლიშვილი

2020 ანუ 2021 წლის ოლიმპიადის პირველი დღეებისა



თუმცა 2021 წელი დგას, ტოკიოში 2020 წლის ოლიმპიადის მიდის და მიგრიალებს. 2020 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატმა ხომ უკვე ჩაიგრილა რამდენიმე კვირის წინათ. ამ ფაქტებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რამდენად პირობითია დრო და კალენდარი თავისი ძველი და ახალი წელთაღრიცხვებითა თუ ქორონიკონებით. 2020 წელს ტოკიოში რომ უნდა ვყოფილიყავი, როგორც აკრედიტებული ჟურნალისტი, 2021-ში იმ ოლიმპიადის პირდაპირ რეპორტაჟებს ტელევიზიით ვუყურებ. პანდემიის გამო შემოღებული ისედაც სასტიკი რეგულაციები მაის-ივნისში ორგანიზატორებმა ისე გაამკაცრეს, რომ ოლიმპიადის ერთ დიდ საკარანტინო ღონისძიებას დაემსგავსა აკრედიტებულთათვისაც კი. ამიტომაც უარი ვთქვი ტოკიოში გამგზავრებაზე და დილის ექვსი საათიდან ტელევიზორს მიჩერებული ისევე მონდომებით ვინიშნავ შთაბეჭდილებებს, როგორც მაშინ ვინიშნავდი, როცა ყოველდღიურ რეჟიმში ვერ ფაქსით და მერე მეილებით ვაგზავნიდი გაზეთში ოლიმპიურ რეპორტაჟებს ატლანტიდან თუ სიდნიდან. მაგრამ ჩემი ახლანდელი ჩანაწერები შორს არის სპორტული ჟურნალისტიკისაგან და უფრო ზოგადი და უფრო სუბიექტური ხასიათი აქვთ.

აი, მაგალითად, გახსნის ცერემონიისას გაკეთებული რამდენიმე შთაბეჭდილება თუ შენიშვნა-ჩანაწერი:

თამაშებში 206 ქვეყნის 11 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობს. გახსნის ცერემონიაზე გუნდები მასპინძელი ქვეყნის ანბანის რიგით მოდიან, როგორც ეს იყო ათენში, ბეიძინსა თუ რიოში: ამიტომ და იმის გამოც, რომ ქვეყნების სახელები იაპონურად სხვაგვარად იწერება, აქ საბერძნეთის შემდეგ პირველები ისლანდია და ირლანდია გამოვიდნენ და მერე - აზერბაიჯანი და ასე შემდეგ. პა-ზე დაწყებული ქვეყნები კი სადაღაც ბოლოსკენ აღმოჩნდნენ!

გახსნის ცერემონიაზე დრონების და პიქტორამების ბრწყინვალე პერფორმანსების გარდა მესხიერებაში ჩამრჩა რეპორტიორების სცენა, როცა ერთმა რეპორტიორმა მეორეს, არ ვიცი რატომ, მიკროფონი

გამოგლიჯა ხელიდან. ამ ამბავმა როგორღაც სენაკის თეატრში გათამაშებული სცენა გამახსენა. თუ ოდემე მიკროფონის ხელიდან წაგლეჯა ოლიმპიური სახეობა გახდება, ვინძლო ქართველებმა სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ. და სადაც რიკულეზე თუ მოაჯირებზე ჩამოსკეიტბორდება ოლიმპიური სახეობა გახდება და ცელქი გოგო-ბიჭები ოლიმპიურ მედლებს ინანილებენ მაიკლ ფელპსის, უსაინ ბოლტისა და ლარისა ლატინინას დარად, არ გამიკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს მიკროფონის ხელიდან წაგლეჯაც ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანონ.

გახსნის ცერემონიის კომენტარებისას პირველი არხის კომენტატორებს რამდენჯერმე აერიათ ქვეყნის სახელი: კარნატიო, კირნატიის ნაცვლად. ფიჯის ფიჯია დაუძახეს, ალბათ მოფერებით. სუდანო, თუმცა სამხრეთ სუდანი უნდა ეთქვათ, ესეი კი ორი სხვადასხვა ქვეყანაა, როგორც, ვთქვათ, ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეები. და, რა თქმა უნდა, ბოსნია-ჰერცეგოვინაო. ძალიან გავრცელებულია ეს შეცდომა, იშვიათად, რომ ვინმემ სწორად თქვას და დაწეროს. ქვეყანას ბოსნია-ჰერცეგოვინა ჰქვია. აბა ჩვენი ქვეყნის სახელი დაამახინჯოს ვინმემ, რა ამბავს ატყვენ ისინი, ვინც ასე ჰაიპირად ამახინჯებს სხვათა ქვეყნების სახელებს.

ყირგიზეთის სახელი არ დაუმახინჯებიათ. „სამაგიეროდ“ ყირგიზებს, ყველა სხვა დელეგაციისაგან განსხვავებით, პირბადეები არ უქეთიათ! დავწერე ეს აბსურდული წინადადება და ერთი ძველი რუსული გაზეთის ფრაზა გამახსენდა თბილისში მაიაკოვსკის გამოსვლის შესახებ - მაიკოვსკიო, მიუხედავად თავისი ყვითელი კოფთისა, კარგი ორატორი აღმოჩნდაო!

ერაყელებს კი ეკეთათ პირბადეები, მაგრამ მათი მედროშე გოგონა მოდიოდა პირბადის გარეშე. ეს რომ გავიკვირე ხმამალა, ნინი მეუბნება, ჩემი მეუღლე, - ერაყელი გოგოები მთელი ცხოვრება პირბადით დადიან და უპირბადეობა მათთვის ალბათ იგივეა, რაც ჩვენთვის პირბადეო!

დასასრული 89-4 გვ.

## პოეზიის სპერაოპეზრია

ვაჟა-ფშაველა - 160

მას აქებენ და არ კითხულობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ კლასიკოსია. კლასიკოსებს ხომ მარტო აქებენ, კითხვით არ კითხულობენ, როგორც ერთმა ჭკვიანმა მწერალმა ბრძანა.

არის მეორე მიზეზიც, თუ რატომ არ კითხულობენ. არ ესმით, ვერ იგებენ!

ამიტომ აქებენ. აქებენ, რათა ჩამორჩენილად არ გამოჩნდნენ...

კაცმა რომ თქვას, ვაჟა-ფშაველა მართლაც რთული მწერალია. ბოლომდე მისი გაგება იოლი საქმე არ არის. მისი პოლიფონიური პოეზია, განსაკუთრებით პოემები, სტერეომეტრიულ სიბრტყეებად იშლება მკითხველის ცნობიერებაში და ამ სიბრტყეების ერთბაშად მოხელთება ისევე შეუძლებელია, როგორც ცხავით წყლის მოტანა...

მნიშვნელობა არა აქვს, ვინ კითხულობს მას, აკაკი წერეთლისნაირი ნათელმზილველი თუ იპოლიტე ვართაგაეას მსგავსი რიგითი ლიტერატორი. მაინც ამოუხსნელი რჩება, ბოლომდე ვერ ხედავენ, ბოლომდე ვერ გადიან, ვერ აგნებენ დამაკმაყოფილებელ პასუხს.

ამიტომაც არის, რომ ვაჟა-ფშაველას ხან სიმბოლისტს უწოდებდნენ და ხან რეალისტს, ხან პანთეისტსა და ხან ჰილოძისტს, ხან რომანტიკოსსა და ხანაც მოდერნისტს... რა თქმა უნდა, ამ მიმდინარეობებიდან არც ერთის ადებუტი არ ყოფილა, თუმცა, სიმართლე ითქვას, თითოეული მათგანიდან რაღაც ელემენტი მაინც სჭვავის მის შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველა ყველაზე ორიგინალური მწერალია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი არაფის ჰგავს თავისი თავის გარდა.

ინდივიდუალურობა, უნიკალურობა, თვითმყოფადობა - ერთი მხრივ, და ზოგადსაკაცობრიო და მსოფლიო ლიტერატურულ იდეალებთან თანხვედრა - მეორე მხრივ: ვაჟას სახასიათო ნიშანი, მისი ფუნქციონის სპეციფიკური ხასიათი.

მაშინ, როდესაც ევროპაში ლიბერალები ცხარედ კამათობდნენ ადამიანის უფლებებსა და ჰირადი თავისუფლების იდეებზე, ვაჟა ამ იდეებს მხატვრულ შემოქმედებაში ახორ-



ცივლებდა კონცეპტუალურად, თანმიმდევრულად, სისტემურად.

პიროვნების თავისუფლება, როგორც ადამიანის ალბევება კოლექტივზე, მასებზე, უსამართლო ძალაუფლებაზე - ეს გახდა მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური კონცეპტი, რომელმაც საუკეთესო გამოხატულება ჰპოვა პოემებში: „ალუდა ქეთულური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“.

ხალხური შიშით დაწერილი ეს პოემები, რომლებიც თითქოს ეთნიკურ ლოკალს არ სცდებია, მსოფლიო ლიტერატურის შედევრებად იქცა. ერთი შეხედვით, მართლაც ხალხურ-პეროიკულ ტრუზიმებად მოჩანს პოეტური ნარატივები იმის შესახებ, რომ ხევსურმა მოკლულ ქისტს მარჯვენა არ მოსჭრა, რომ ქისტმა თავი განირა ხევსური სტუმრის გულისთვის და რომ თავს იკლავს „გამეცნიერებული გლეხი“, მაგრამ ამ ჩვეულებრიობათა სიღრმეში იკითხება ჰუმანიზმის მაღალი იდეალები.

ასე მივიდა ვაჟა-ფშაველა კონსერვატიული ლიბერალიზმის იდეებთან, რომლებიც უზენაეს ფასეულობად აცხადებს ადამიანის თავისუფლებასა და უფლებას, დაიცვას ფუნდამენტური ღირებულებები, ოჯახი, სარწმუნოება, ტრადიციები.

ამით არის ის დიდი, განუმეორებელი.

და, როგორც ითქვა, რთულ-

ლიც.



►► მიკროპოლიტიკა

უკომპრომიზო, შეუვალი და დაუნდობელი იყავი ყველას მიმართ, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრების მიმართაც კი. შენი ასეთი შეუვალი პრინციპების გამო ბევრი მტერი გაიჩინე და ბევრის ტალახის სროლის სამიზნე გახდი. ყოველივე ამას შენ ვაჟკაცურად ხვდებოდი და მამაცურად იგერიებდი, შენი ბასრი კალმით კი ყველას საკადრისად მიუზღავდი. ყველა უსამართლოდ დაჩაგრული და მამარე, მხარში მდგომი და დამცველი იყავი. ყველაფერ ამას უმურველად აკეთებდი საკუთარი გაზეთის, ტელევიზიის საშუალებით, ოფიციალური სამთავრობო თუ სახალხო შეკრებების დროს. ამიტომ იყო, რომ შენი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობისას კაბინეტის წინ ყოველთვის იდგა მთხოვნელთა გრძელი რიგი. შენი ხალხს იუმორი საზოგადოებისათვის ყოველთვის მხიარულებისა და საუკეთესო განწყობის შექმნის წინაპირობა იყო.

თუ არ ვცდები, 1984 ან 1985 წლის ზაფხულია. ცხონებული ლევან სანიკიძე ახალი გაკრიტიკებული ჰყავდა ბატონ თამაზ ნატროშვილს და მას პლაგიატობაში სდებდა ბრალს. თამაზმა დამირეკა და მეუბნება, ომარ, დღეს ერთად ვისადილოთ, ირაკლი აბაშიძეს გაუფაროთ, ლევანიც თან გაეყოლიოთ, კაცი ჯერ კიდევ დეპრესიაშია და ჩვენთან ერთად გულს გადააყოლებს, ქართული სუფრა ხომ კაცის სტრესული მდგომარეობიდან გამოყვანის უებარი ნამაღიაო. სადილისთვის იმ პერიოდში თბილისის ზღვაზე მდებარე სატყვეროდ განთქმული რესტორანი, ე.წ. „ქოიავას დუქანი“ შევარჩიეთ. თამაზი ასევე შეხვდებოდა ელგუჯა მალრადეს, მუხრან მაჭავარიანს და ენვერ ნიჟარაძეს, შეხვედრის ადგილი და საათიც ამცნო და დათქმულ დროს მისვლა სთხოვა. დაახლოებით 2 საათისათვის მე და თამაზი ჩემი ჟიგულით ირაკლი აბაშიძეს ენციკლოპედიაში ვეახლებით. იქიდან ბატონ ლევანს რამდენჯერმე დაეურეკეთ, მაგრამ ტელეფონს არავინ პასუხობდა. გადავწყვიტეთ, შინ გავგველო. რამდენიმე წუთში ბარნოვის ქუჩაზე ვიყავით. ქვევიდან ავხედეთ, ლევანის სამუშაო ოთახის ფანჯრებზე ფარდა ისე გულმოდგინედ ჩამოეფარებინათ, რომ ამკარად ჩანდა, შინ არავინ იყო. ბატონმა ირაკლიმაც გვითხრა, ჩანს, კაცი სახლში არაა, დროს ტყუილა ნუ ვკარგავთ, გზა გავაგრძელოთ. ამ დროს თამაზმა ეშმაკურად ახედა და სერიოზული ტონით მიმართა: ბატონო ირაკლი, თქვენ რომ გგონია, რაკი ფარდა ჩამოშვებული, ლევანი სახლში არ იქნებაო, ამ შემთხვევაში თქვენი მოსაზრება სწორი არ არის და ლოგიკასაც მოკლებულიაო. რატომ, კაცო? გავიხსენებთ იკითხა ბატონმა ირაკლიმ. იმიტომ რომ, როცა ფარდა საგულდაგულოდ აქვს ჩამოფარებული, ლევანი ზუსტად მაგ დროსაა სახლში, რომ არავინ დაინახოს, სხვისი ნაშრომებიდან როგორ იწერსო. ამაზე ბევრი ვიცინეთ. ლევანი, რა თქმა უნდა, სახლში არ აღმოჩნდა და მის გარეშე გავაგრძელეთ გზა თბილისის ზღვისაკენ. რესტორნის ეზოს კუთხეში წინანსარ შერჩეულ კუბეში შესანიშნავი სუფრა იყო გაშლილი, ისეთი, როგორც ამ საპატიო სტუმრებს ეკადრებოდა. რამდენიმე წუთში დანარჩენებიც შემოგვიერთდნენ და თამაზის თამაშობით ქვიფი ეშში შევიდა.

ძვირფასო მკითხველო, ამ ამბავს ასე დანერგებით იმიტომ ვიხსენებ, რომ ელგუჯა მალრადე ამ სუფრაზე მოჰყვა, თუ როგორ გაათავისუფლეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან ირაკლი აბაშიძე და მისი მოადგილეობიდან თვითონ ელგუჯა. ეს იმდენად საინტერესო თემაა, რომ ვფიქრობ, ფართო საზოგადოებამ ამის შესახებ უნდა იცოდეს. ამბავი უტყუარია, რადგან მას თვითონ პირველი წყარო, ელგუჯა მალრადე ირაკლი აბაშიძის თანდასწრებით ჰყვება.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობის ბოლო წლებში ირაკლი აბაშიძეს ცკ-ის იდეოლოგიის დარგის მაშინდელ მდივან დევი სტურუასთან სიტუაცია დაეძაბა, – ინყებს საუბარს ბატონი ელგუჯა. – დევი სტურუა უყვალაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მეთავანძესა და ირაკლის შორის „ჩორტი“ ჩამოეფარა და მოახერხა კიდევ ასე რომ, ეს ორი უახლოესი მეგობარი ერთმანეთს გადაკიდა. არქივში მოძებნეს ირაკლის მიერ

ერთი წლის წინათ, 1966 წელს დაწერილი განცხადება მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლების შესახებ და მსვლელობა მისცეს. საკითხის წინასწარი განხილვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ვასილ მუჟაგანაძის კაბინეტში შედგა. მიწვეული ვიყავით მთელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა: თავმჯდომარე, ირაკლი აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილე, თქვენი მონა-მორჩილი ელგუჯა მალრადე, მწერალთა კავშირის მდივნები ბესარიონ ულენტი და სერგი ჭილაია. მაგდის თავში ვასილ მუჟაგანაძე იჯდა, მისადმიელი მაგდის მარჯვენა მხარეს – დევი სტურუა, ხოლო მარცხენა მხარეს ჩვენ, მწერალთა კავშირის ოთხივე წარმომადგენელი. სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. მუჟაგანაძეს მოუსვენრობა და რალაცნაირი უგუნებობა ეტყობა. დევი სტურუაც ვერ არის ჩვეულ ფორმაში. ბოლოს მუჟაგანაძემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა დევი სტურუას მისცა, მანაც მოკლედ ჩამოაყალიბა დადგენილების პროექტი და კამათში მონაწილეობისათვის სიტყვა ბესო ულენტს მისცა. ბესო რომ გამოჩენილი კრიტიკოსი და ცნობილი ორატორი იყო, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ, რაც მან იქ ილაპარაკა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოკლედ, ცოცხლად დაგვმარხა მეც და ირაკლიც. მინა გახეთქოდა და ჩავეტანე, მერჩივნა იქ ჯდომას და მუჟაგანაძისათვის თვალბეჭდით ყურებას. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ ბესო თავის მონოლოგს აგრძელებდა, მუჟაგანაძე ადგილს ვერ პოულობდა და კაბინეტში ნერვულად ბოლოსას სცემდა. ხან ფანჯარასთან მივიდოდა, ზურგმუქვით ცოტა ხანს გაჩერდებოდა, შემდეგ შემობრუნდებოდა, ჩვენკენ წამოვიდოდა, ზურგსუკან მცირე ხნით შეჩერდებოდა და დახშული ხმით დედა-დედაო, იძახდა. როცა ბესომ თავისი გამოსვლა დაამთავრა, მუჟაგანაძემ, იმ იმედით, იქნებ, ჭილაიამ მაინც ირაკლის სასარგებლოდ რაიმე კარგი თქვასო, სიტყვა სასწრაფოდ სერგი ჭილაიას მისცა. არც აქ გაუმართლა ალლომ ვასილ მუჟაგანაძეს. რაც ბესომ დააკლ, ჭილაიამ შევასო კი არა, გადააჭარბა კიდევ. ბესომ თუ დაგვმარხა და მინა დაგვყარა, ჭილაიამ ეს მინა ისე მყარად დაგვატყვენა, რომ იქიდან ამოძრომის შანსი საბოლოოდ მოგვისპო, – განაგრძობს საუბარს ელგუჯა. – ამან ისე იმოქმედა მუჟაგანაძეზე, რომ კაცი აღშფოთებდა ვეღარ მალავდა და გარკვევით იძახდა: დედა-დედა-დედა, ეს რა ხალხში მყოფიანო, ჩემო ირაკლი, ესენი ვინ ყოფილან, ამითან ამდენხანს როგორ გაძელი, ეს რა ფოჯოხეთი გამოგვიღიაო, გულდამწვარი ჭირისუფალივით მოთქვამდა ამხელა კაცი. ბოლოს ისე გამოვიდა მდგომარეობიდან, რომ სტურუას უთხრა, ხომ არ გადავდოთ ან დღის წესრიგიდან საერთოდ ხომ არ მოვხსნათ ამ საკითხის განხილვაო. სტურუამ, იმის შიშით, რომ ამ საკითხის განხილვა მართლა არ მოხსნილიყო დღის წესრიგიდან, სასწრაფოდ უპასუხა, არა ვასილ პავლოვიჩ, საკითხი მოსკოვთან უკვე შეთანხმებულია და უხერხულია მოსკოველ ამხანაგებთან, ისინი ამას ვერ გაიგებენო. ამის შემდეგ მუჟაგანაძე ჭილაიას მოუბრუნდა და ეუბნება: ამხანაგო სერგი, ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით? არა, ვასილ პავლოვიჩ, არ ვიცნობდით, პირველად მაშინ შეგხვდით, „ლეჩკომბინატში“ ჩემს სანახავად რომ მომრძანდითო. კი მაგრამ, უცნობი კაცი რატომ უნდა მენახა საუბარშიყოფი, ეს ირაკლიმ მითხრა და მანვე წამომიყვანა თქვენს სანახავად: სერგი ავადა, „ლეჩკომბინატში“ წევრს, მას ახლა მორალური გამხსნევა და მხარში დგომა, როგორც არასდროს, ისე სჭირდებაო. ავადმყოფის გამოჯანმრთლებისათვის ხომ მორალური გამხსნევა ნამალზე უფრო საშუალებაა და შედეგიც უკეთესიაო. თქვენ, რესპუბლიკის პირველი პირი რომ მოინახულებთ, ეს სიმხნევეს შემატებს და გამოჯანმრთელების პროცესსაც დააჩქარებსო. აი, ასე ზრუნავდა თქვენზე ბატონი ირაკლი და თქვენ როგორ არა გრცხვენიათ, მასზე ასე რომ ლაპარაკობთ. ამას ისე ნერვულად და აღშფოთებით ლაპარაკობდა მუჟაგანაძე, რომ გული ამიჩუყდა და თვალზე ცრემლი მომადგაო, – დაასრულა თავისი თხრობა ელგუჯა მალრადემ.

ძვირფასო მკითხველო, პირადად ჩემთვის ძალიან მტკივნეულია ბესო ულენტს

აუგად თუ მოხსენიებენ, ჩვენ ერთი თემიდან ვართ და გვერგვერდ სოფლებში ვცხოვრობდით. ჭიათურის რაიონის სოფელი ცეცხლიც ბატონი ბესოს სოფელი და ჯაბა იოსელიანის დედუბითა – ჯაბას დედა ბესოს ბიძაშვილად ერგებოდა. ამას იმიტომ ვიხსენებ და იმიტომ მიჭირს ბესოზე აუგის მოსმენა, რომ მას თავისი სოფელი ძალიან უყვარდა და თავის-მეუღლეს, ქალბატონ ეთერ გუგუშვილსაც ძალიან შეაყვარა ეს სოფელი, ზაფხულობით თითქმის ყოველწელს ჩამოდიოდნენ და შვებულებასაც იქ ატარებდნენ. ბესო სოფელს მუდამ მხარში ედგა და ეხმარებოდა. სოფლის სკოლა-დამთავრებულ ნიჭიერ ბავშვებს სწავლის გასაგრძელებლად ხელს ნაუკრავდა და ცხოვრების გზის გაკვლავშიც გეზის მიმცემი იყო. ამიტომ იყო, რომ მთელ სოფელს უყვარდა და დიდ პატივს ცემდნენ. ასეთად ვიცნობდი, ირაკლი აბაშიძისადმი მისმა ტენდენციურმა დამოკიდებულებამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, რასაც მისგან ნამდვილად არ ველოდი.

რაც შეეხება მწერალთა კავშირის კიდევ ერთ თავმჯდომარეს, თამაზ ნიგვიცაძეს, საყოველთაოდ ცნობილია მისი დამოკიდებულება ნაციონალების მიმართ. მის კრიტიკულ წერილებს სააკაშვილის, უგანას, ბარამიძისა და მათ სხვა თანამაზრეთა საქმიანობაზე უკვალოდ არ ჩაუვლია და მათაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს თამაზის შევიწროება – 2007 წლიდან გაზეთს დაფინანსება შეწყვიტეს. ამის გამო თითქმის ექვსი წლის მანძილზე „ლიტერატურულმა საქართველომ“ ფუნქციონირება შეწყვიტა. ამათი შიშით ვერც ერთი ბიზნესმენი გაზეთის დაფინანსებას ვერ ბედავდა. ექვსწლიანი შესვენების შემდეგ, 2013 წლის მაისში, ახალი ხელისუფლებისა და კეთილი აღამიანების ნყალობით, გაზეთმა ფუნქციონირება განაახლა და თავისი კრიტიკული პოზიციით ოპოზიციაში გადასულ „ნაციონალებს“ დიდი თავსატეხი გაუჩინა. განახლებული გაზეთის პირველი ნომერი 31 მაისს გამოვიდა, მეორე – 7 ივნისს. სწორედ ამ მეორე ნომერში დაგვიტყვე ნერილი სათაურით „დადამავალი ნაციონალების აღმავალი ნადიმი დუბაიში“, რომელმაც მკითხველთა საკმაოდ დიდი მონონება დაიმსახურა. წერილში მოთხრობილი იყო პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი ამაღლის დუბაიში საახალწლო „გრილისა“ და იმ განმაურებულ ჩხუბზე, რომელიც ვაკეში მდებარე პრესტიჟულ კაფე „ლა ტრუფემი“ მოხდა და სადაც დავით საყვარელიძეს თავი გაუტეხეს, გიორგი ვაშაძეს – ცხვირის, გორიზიას კი მხარი ამოუტყვეს. ამ წერილში მქონდა რამდენიმე მამალი ნაციონალი ქალბატონის გადამეტებულად მწვავე შეფასება, რომლის დაბეჭდვა რედაქციას მიზანშეწონილად არ მიუჩნევია და ეს ფრაზა წერილიდან ამოუღია. როგორც კი წერილი ნავიკითხე და ეს ფრაზა ამოღებული დამხვდა, განწყობილება ნამიხდა. მიუხედავად დარეკებისა, მათ შორის უცხო მკითხველებისგანაც კი, რომლებიც მარჯვენას მიქებდნენ და ბასრ კალამს მიზნებდნენ, გუბნა ვერ გამოვიკეთე. ვურეკავ თამაზს და გულნატკენი ვეუბნები: კი მაგრამ, რა იყო, შე კაი კაცი, რაღა მაინცდამაინც ის ფრაზა ამოიღე, რომელიც ყველაზე კარგი იყო და, ყველაზე მეტად მომწონდა- მეთქი. ჩემთან გამოდი, ნარდიც გამზადებული მაქვს და შენ წერილზედაც აქ ვისაუბროთო, მშვიდად მომიგო. მეც გავედი და მისი ასეთი საქციელით განაწყენებულმა იგივე საყვედური გავუთქოე. მან ერთი ამომხედა, კამათელი ხელში შეათამაშა და მითხრა: ომარ, შენი ტრაგედია იცი, რა არისო. რაა-მეთქი, გულმოსულად ვეუბნები. რა და, შენ რომ მოგწონს და ძალიან კარგი გგონია, ზუსტად ისაა, რომ არ ვარგაო. თან დაამატა, შენ რამდენი წერილიც უნდა დაბეჭდო, ამის გაგება, ალბათ, გაგიჭირდება და ბოლომდე ინჟინერი დარჩებიო. მოკლედ, ამ ერთი ფრაზით მომსპო და ჩემი „ლიტერატურული შემოქმედებაც“ მიწასთან გაასწორა. რა უნდა მექნა, კაცი მართალი იყო. ამის შემდეგ წყნაშაქა უმალ გამიარა, ბევრიც ვიცინე და ნარდის თამაშსაც უფრო ხალისიანად შევუღებე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ დიდი კაცისა და უღალატო მეგობრის ბოძოქარი სული.

ომარ გოცაძე  
ივლისი, 2021წ.

„ოქტომბერი“ ივლისში

22 ივლისს, მწერალთა სახლში გაიმართა პოეტ ირმა შიოლაშვილის მე-6 პოეტური კრებულის „ოქტომბერი“ პრეზენტაცია. კრებულში პოეტის 2014-2020 წლებში დაწერილი ლექსები შევიდა. წიგნი გამოცემლობა „ინტელექტი-მა“ გამოსცა.



სალამო სიტყვით გახსნა გამოცემლობა „ინტელექტის“ მთავარმრედაქტორმა, მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ:

„მიხარია, რომ დღევანდელ შეხვედრაზე ქართველი მკითხველი მონატრებულ ავტორს ხვდება. ირმა შიოლაშვილი, დიდი ხანია, ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს. ის როგორც ქართული, ასევე გერმანული სალიტერატურო ცხოვრების მონაწილეა, მისი ნიგნები გერმანულ ენაზეც გამოდის, ბევრ უცხოენოვან ანთოლოგიაშია შეტანილი, მაგრამ ის ქართულად წერს, ქართველი ავტორია და ქართველი მკითხველი ინტერესითა და მონატრებით ელოდა ამ წიგნის დაბადებას, რომელზეც გამოცემამდე რამდენიმე საინტერესო რეცენზიაც დაიწერა“.

წიგნის რედაქტორმა, მწერალმა და ლიტერატურის-მცოდნემ, როსტომ ჩხეიძემ თავის გამოსვლისას აღნიშნა: „ირმა შიოლაშვილი მიეკუთვნება იმ პოეტებს, რომელთათვისაც მთავარი წიგნის გამოცემა კი არ არის, არამედ მთავარია, სრულფასოვანი იყოს ეს წიგნი. იყოს არა მხოლოდ კარგი და შესანიშნავი ლექსების ჯამი, არამედ ერთი მთლიანობა და ეს წიგნი ერთი მთლიანობაა, პოემის შთაბეჭდილებას რომ გიტოვებს ადამიანს, ისეთია, თავიდან ბოლომდე ძალიან კარგად გააზრებული. ნიშანდობლივია ის, რომ ირმა, რომელიც იმყოფება ემიგრაციაში, არ ნავიდა ენობრივ ემიგრაციაში... ირმა არის მონაწილე ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა, ჩვეულებრივი, სრულფასოვანი მონაწილე... საგულისხმოა, რომ ეს კრებული ერთ განწყობაზე, ერთ მოტივზე არ არის აგებული. თუნდაც პატარა იყოს კრებული, შინაგანად მოითხოვს, რომ თემატიკაც, მოტივებიც, ლექსწყობაც მრავალფეროვანი იყოს, ბევრი რამ ხდებოდეს და სწორედ ასეთია ეს კრებული... არ უნდა დაცხრეს შემოქმედი, მუდმივად უნდა აგრძელებდეს ძიებას და ეს წიგნი – „ოქტომბერი“ – არის შთამბეჭდავი ძიებით. ეს თავისებური შეჯამება და რაღაც ახალი განზომილება. როგორც ერთტომეულის, რჩეულს მოეთხოვება ხოლმე, რომ დასწრებულ იყოს, ისეთია ეს წიგნი, მაგრამ ამ დაწურულში ძალიან ბევრია საკვირველი. თან სახელწოდება ოქტომბერი ძალიან მრავალგანზომილებიანია. ასევე თავისებურად ეფექტური და ორიგინალურია ის, რომ ოქტომბერში შეიძლება დაიხადოს აპრილი. პოეტებს თავიანთი კალენდარი აქვთ. ამ განზომილებიდანაც უნდა შევხედოთ ირმას პოეზიას“.

პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლოზიანიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა: „ირმა ადრეული ასაკიდანვე გამოჩენილი იყო თავისი პოეზიით, თავისი დამოკიდებულებით სამყაროსადმი. არ მასხენდება მისგან საქციელი, რომელიც პოეტისათვის იქნებოდა შეუფერებელი. ირმა ყოველდღიურობაშიც რჩება ნამდვილ პოეტად, ისეთად, როგორც უნდა იყოს ნამდვილი პოეტი, ნამდვილი ადამიანი და მე, როგორც მის დამფასებელს, ეს განსაკუთრებით მიხარია... ეს წიგნი ადასტურებს, რომ ის არის თანამედროვე მსოფლიო პოეზიის ახალი სიტყვა. ის, რაც ხდება მსოფლიო პოეზიაში, კერძოდ, გერმანულ, ევროპულ პოეზიაში, ეს წიგნი ქართულ ენაზე ირმასეულად, ორგანულად, იმ პროცესის ნაწილია... და თუ რამეს ნახავთ ამ წიგნში, ეს არის საკუთარი თავის ერთგულება და საკუთარი პრინციპების ერთგულება და ეს ერთგულებაც ირმა შიოლაშვილის დამახასიათებელი თვისებაა“.

ფილოლოგიის დოქტორმა თამარელა წონორიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა:

„საკმარისია გადავშალოთ წიგნი შესული ნების-მიერი ლექსი, დავრწმუნდებით, რომ ყველა ლექსი არის გამოჩენილი, ყველა ლექსში ნამდვილი, ფაქიზი გემოვნების და სულიერების პოეტი გვესაუბრება, რომელიც სამშობლოდან არსად არ წასულა. ის ქართველი თავისი ფიქრებით, დამოკიდებულებით, თავისი პოლიტიკით, მიუხედავად იმისა, რომ აქ რაც ვახსენე, არცერთი არ ჩანს ასე ხელშეშახებად, წუნუნის ფონი არ გასდევს მის პოეზიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისეთი კამერულია მისი ხმა, რომ იმ წუთში მისიანი ხდება... ირმასაც უყვარს ხოლმე თქმა, ჩემიანი ხარო, ადამიანებს როდესაც ეუბნება კომპლიმენტს, და ეს ძალიან დიდი კომპლიმენტია ჩემთვისაც...“

(საკუთარი ინფორმაცია)





ბატონო ზვიად, რა განაპირობებს სიტყვისა და მუსიკის ასეთ მთლიანობას თქვენს შემოქმედებაში? ლექსი შთაგონებთ მუსიკას თუ, პირიქით, მუსიკისთვის არჩევთ ლექსს?

ზოგადად სიტყვას გააჩნია თავისი მუსიკა, ხმოვანება, ინტონაცია, რხევა, შეგრძნება... რაც ჩემთვის, როგორც მუსიკოსის, როგორც შემსრულებლისა და ავტორისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერ უნდა ვიგრძნო ლექსი თავიდან ბოლომდე და გავითავისო მისი ყოველი სიტყვა, რომელიც უნდა ჰგავდეს ჩემსას და ის სამყარო, სადაც პოეტმა იმეგზაურა, ახლობელი უნდა იყოს ჩემთვისაც. სხვაგვარად, ალბათ, ვერ ვიქნებოდი „მუსიკალურად“ ასეთი გულახდილი.

ნაიკითხავ ლექსს და პირველი მუსიკალური ემოცია, იდეა მაშინვე იბადება. ეს პირველი ჩონჩხი-ჩანახატი. მთავარია, მერე მასზე როგორ და რა მასალებით ააშენებ. თუმცა ეს შენზე არ არის დამოკიდებული - ამაზე რაღაც დიდი ძალა მუშაობს და მსგავსი სინთეზიც ამ ძალების წყალობით შედგება.

ჩვენი დიდებული პოეტების ლექსები ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ჩემი სათქმელი ამ ლექსებში სიტყვებით ძალიან კარგად არის ხოლმე ახსნილი და, როცა მას მუსიკაც ერთვის და ბგერაც, ვფიქრობ, რომ ეს ამა თუ იმ ლექსსაც სულ სხვა სრულყოფილებას სძენს. ლექსში, სიტყვაში, ფრაზაში უამრავი ქვეტექსტია, რასაც ბოლომდე ვერ ვაღწივს, ხოლო მუსიკა ვაძლევს შესაძლებლობას, ამ სიტყვებს იქით იმეგზაურო.

საგანგებოდ მოვიძიე და ნაკითხვებზე თქვენი სიმღერების ტექსტები - ჩვენი დიდი პოეტების ლექსები და სათქმელის მიხედვით ცალ-ცალკე დავაღვა: ვაჟას ლექსზე „წუთისოფელი“ თქვენ შექმენით საგუნდო ნაწარმოები და ლექსზე ნათქვამი სვედიანი სინამდვილე „ტიალი წუთისოფელი მიდის, მიდის და მიდის“... კიდევ უფრო სვედიანად ამოთქვით სიმღერად...

ეს სულისკვეთება გააღრმავა თქვენმა სიმღერამ ვაჟას მეორე ლექსზე „ერთხელმეც იქნება მოვკვდები“... რომელსაც საოცარი ტრაგიზმით ასრულებთ აფხაზეთის კაპელასთან ერთად. ისეთი ძლიერი ზემოქმედების ძალა აქვს ამ სიმღერას, რომ მისი პირველად მოსმენისას დაძაბული ვცდილობდი გამეჩინა, რა სიტყვები, რა სათქმელი იმღერებოდა ასეთი ტრაგიზმით. ეს იმ განცდას ჰგავდა, როცა სადღაც ძალიან მაღლა ადიხარ და მერე იქიდან ჩამოსვლა გიჭირს. თქვენ სადა ხართ ამ დროს და რა ჰქვია ამ მდგომარეობას?

ამ მდგომარეობას სინანული ჰქვია, სინანული კი სხვადასხვანაირია. ბუმბერაზ ვაჟაზე ამ კონტექსტში საუბარი ჩემთვის, ცხადია, დიდი პატივია. თუმცა ის ჩემთვის და ჩემი სამყაროსთვის ძალიან ახლობელია. ამ გადასახედვით თითქოს ვხედავ კიდევ მის დამოკიდებულებას ჩვენს ყოველდღიურობასთან, მთელ მსოფლიოსთან, კაცობრიობასთან, მისთვის მტკივნეულ, სინამდვილეში მარადიულ ამქვეყნიურ პრობლემებთან, სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელ ჭიდილს, რაც სამყაროს შექმნიდან მოგვდევს; რთული ამქვეყნიური ყოფა, ურთიერთობები, მოუტყვევლობა, სიცრუე, სიყალბე, ჩვენი ქვეყნის ტკივილიანი ბედი - ეს ყველაფერი ზედმიწევნითა აქვს გადმოცემული, მთელ სამყაროს ელაპარაკება ამაზე და თან მთელ სამყაროს ალაპარაკებს. ასე რომ, ვაჟა-ფშაველა და მისი საოცარი უნარები ჩემთვის ჯერ კიდევ შესწავლის საგანია.

და გზადავ ზა, მისი ნაწარმოებების შესრულების დროსაც ხომ არ აღმოაჩინეთ რაღაც სიახლეები?

ჩემი ადგილი ბედნიერება, ჩემი ბავშვობა გარკვეულწილად მთას უკავშირდებოდა. ამდენად, სისხლის ყივილი ვაჟასთან მიახლოებისა იქიდანაც მომყვება. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში მასთან მისვლას ვერ ვებედავდი, რადგან ვაჟას სიტყვასა და კილოსთან შეხება ძალიან რთული და საფრთხილოა. ბევრი ფიქრის შედეგად შევეცადე, მისი კილოკავები და სამყაროსადმი დამოკიდებულება ჩვენი თანამედროვეობისთვის მიმესადაგებინა და მისი სათქმელი გამოეხატა საგუნდო ფორმალაში, სადაც უამრავი ფერი და უამრავი ემოციური მუსიკა. არ ვიცი,

ის როგორ იტყვოდა დღეს ამას, მაგრამ მე ჩემებურად ვცადე. ამ დროს უამრავი რამ შეიძლება გამოიჩინოს. მაგალითად, სულაც ოთხი-ხუთი წლის შემდეგ დაინახო ის, რაც მანამდე ვერ შევამჩნიე მის პოეზიაში ან სხვანაირად ამომტივტივდეს გონებაში, ჩემი სულიერი მდგომარეობის შესატყვისად. იგივე ხდება ვალაკტიონთანაც.

ცნობილია, რომ ვალაკტიონის პოეზია, მისი ზოგიერთი ლექსი გამორჩეულად მუსიკალურია. თავად ვალაკტიონი,

## ბიკალი წუთისოფელი მიდის, მიდის და მიდის... სიტყვისა და მუსიკის მთლიანობა ზვიად ბოლქვაძის ნაწარმოებში

მრავალმხრივ გამორჩეული მუსიკოსის (კომპოზიტორი, დირიჟორი, შემსრულებელი) ზვიად ბოლქვაძის ნაწარმოებებსა თუ კომპოზიციებში ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში: „თეთრი ქარები ქრიან“, „ჭკნება ვარდები რგული“, „წვიმა მოდის“, „ითოვლება მთა-ბარი“, „გაპქრა იგი ბავშვობა“, „ვიტანჯებით ტრფობის ცეცხლით“, „გვიბრწყვებს სევდა“... ამასობაში კი „ტიალი წუთისოფელი მიდის, მიდის და მიდის“...

ლექსები, საიდანაც ეს სტრიქონებია და სხვა ლექსებიც, რომლებიც ზვიად ბოლქვაძის მუსიკად გარდაუქმნია, უმეტესად ქართული პოეზიის შედეგებია. ეს მისი მუსიკალური ხელნერაა და პოეზიისადმი დიდი სიყვარულის დასტური. მის შემოქმედებაში სიტყვა და მუსიკა ერთმანეთს ავსებს და მაგიურ სინთეზს ქმნის.

არსებობს გამოთქმა „მუსიკალური პოეზია“ და, თუ მსგავსად ამისა ითქმის „პოეტური მუსიკაც“, მაშინ ასე სწორედ ზვიად ბოლქვაძის ნაწარმოებებს შეიძლება ვუწოდოთ.

რომელსაც მუსიკა პოეზიის უმაღლეს გამოვლინებად მიჩანდა, წერდა; „განსაკუთრებით ლექსის წერის დროს ვარ სიმღერის ხასიათზე, ლექსს ჯერ გონებაში გავმართავ მუსიკალურად, ჩემთვის დავამღერებ კიდევ და შემდეგ გადამაქვს ქალაქზე; თუ ქალაქზე გადატანის შემდეგ არ მომეწონა ლექსის მუსიკა, მაშინ მას კვლავ ვუბრუნდები“. ვალაკტიონის ლექსებზე თქვენ რამდენიმე სიმღერა გაქვთ შექმნილი და საინტერესოა, „მუსიკალური ლექსების“ ამღერება უფრო ადვილია თუ პირიქით?

მუსიკალური ლექსის უშუალოდ მუსიკად ქცევის თავისებურებაზე რას იტყვით? შეიძლება ამ ფენომენს „ორმაგი მუსიკალურობის“ ჯაღოქრობა ვუწოდოთ?

ყველას შეუძლია აამღეროს სიტყვა, მაგრამ ყველა სხვადასხვანაირად აამღერებს. მთავარია, მივალწიოთ იმ ხარისხს, რაც აუცილებელია მაღალი გრძნობების გადმოსაცემად. მაგალითისთვის მოვიხმობ სიმღერა „ამოდულდი“... გრძნობების ამგვარი „ამოდულებისა თუ სიმღერებისთვის“ („ამოდულდი, სიმღერავ, ამოდულდი“ ვარდით კინობებო“... - ნაიმღერებს. ნ.კ.) ერთგვარი ნახტომი, ვოკალური დაძაბულობა და კიდევ ბევრი სხვა რამ დამჭირდა. გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება, ეს მე ვთქვა სულ სხვანაირად (ახლა უფრო დაბალ რეგისტრში ნაიმღერებს იმავე ფრაზას. ნ.კ.)... ორივე შემთხვევაში მთავარია, პოეტის სამყაროსთან კავშირი იგრძნობოდეს.

იმდენად ძლიერი მუსიკა მოაქვს ამ სიმღერას, რომ არა მხოლოდ კომპოზიტორსა და შემსრულებელში, არამედ მსმენელშიც „დუღილის ძალიან მაღალ ტემპერატურას“ აღწევს... აქ თითქმის ყველაზე მძაფრად გრძნობ სიტყვისა და მუსიკის თანაბარ სიძლიერეს და მინც ის, რაც ამ დროს ხდება, სიტყვებით გადმოიცემა?

მადლობა ღმერთს, რომ ადამიანებს გვაქვს გამოთქმა: „სიტყვები ზედმეტი“, „თვალებით გვესმის ერთმანეთის“... აი, ამ უხილავ, უთქმელ კავშირს ქმნის მუსიკა, რაც ვაძლევს იმის საშუალებას, რომ ფრთები გაშალო და იფრინო.

ბოლო დროს ხშირად ვიმეორებ: მუსიკა, განსაკუთრებით ხმა - ადამიანის ინსტრუმენტი - ყველაზე მეტად ჰგავს ღმერთს, რომელიც არ ჩანს და ყველაზე მაღალი ფასეულობა ამ სამყაროში. ეს ღვთის ხმაა. ჩემთვის ასეა, რადგან სხვა არაფერი აღმიძრავს ასეთ შეგრძნებებს.

ეს „ღვთის ხმა“ კი ზოგამდე აღწევს, ზოგამდე - ვერა.

სამეზობროდ, ასე! რომ აღწევდეს, მაშინ ამდენი ბოროტება, სიყალბე, ვერაგობა არ იქნებოდა, ასე არ გავწირავდი ერთმანეთს; მაშინ უფრო მეტად დამთმობნი, მიმტყვებდნენ გავ-

ხდებოდით. უფრო მეტ სიკეთეს გავაკეთებდით. წარმოიდგინეთ, რა ლამაზი იქნებოდა ცხოვრება.

მაშინ უფრო მხიარულ სიმღერებს იმღერებდით?

რა თქმა უნდა, ოღონდ მხიარულს კი არა, ნათელს, სინათლით სავსეს... თუმცა ერთი სევედა ყოველთვის ექნებოდა ადამიანს - ვიბადებით და მერე სადღაც მივდივართ. ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული და ამიტომაც მას ბევრი კითხვა მოსდევს.

სია გვაკისრია - როგორ მივიყვანოთ ადამიანები ტაძრამდე.

ლადო ასათიანის ლექსზე „კრწანისის ყაყაჩოები“ დაწერილ თქვენს შთაბეჭქდავ მუსიკას სიტყვებით როგორ გავგიზიარებდით?..

ძალიან განვიცდი ლადო ასათიანის ამ ლექსის ყოველ სტრიქონს და გადავწყვიტე, მუსიკალურად ვაღმომეცა ეს ყველაფერი, მათ შორის ძალიან მძიმე შეგრძნებები, რაც ამ საზარელ სურათს ასახავს: ბრძოლის

მაშინ სისავსე რა არის?

სწორედ ამის გავებას ვცდილობ.

„უცნაურია... ისე, ეთანხმებით აზრს, რომ თქვენი შემოქმედება ერთი მთლიანია“?

ამაზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს. ჩემს შემოქმედებას ერთ მთლიანს ვერ დავარქმევ. ჯერ კიდევ ძიებაში ვარ, ძალიან ფრთხილად მივდივარ წინ, შეიძლება, ვერც მივიღო იქამდე. მაგრამ, თუ დამცალდა, ძალიან დიდი სიფრთხილით, ნელ-ნელა, მინდა ძალიან დიდ ტილოებს შევეხო, რისთვისაც უზარმაზარი ენერჯია მჭირდება. მე კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ენერჯიების გაცემა მიწევს, გაცემის პერიოდი მაქვს. მერე, ალბათ, უნდა გავჩერდე, დავფიქრდე და ისევ თავიდან დავეიყო გაცემა... ცხადია, მუსიკალური...  
ბატონო ზვიად, ჩვენი ინტერვიუს მთავარ თემად შეგნებულად ავიჩივებ სიტყვა და მუსიკა, მაგრამ თქვენი შემოქმედება არ არსებობს აკადემიური მუსიკის გარეშეც.

ჩემი მუსიკა მაინც ყოველთვის სიტყვასთან იქნება დაკავშირებული

„პირველად იყო სიტყვა“ - ყველამ ვიცით, მაგრამ მერამდენე იყო მუსიკა, იცის ვინმემ?

მუსიკა ადამიანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. გულის, ფილტვისა და სხვა ორგანოების მსგავსად, გვაქვს ხმა. ალბათ, მაშინაც კი, როცა ადამიანებს მეტყველება არ შეეძლოთ, უესტიკულაციოთ, რაღაც ხმებით, მაგალითად, მამმ... - აგებინებდნენ ერთმანეთს თავიანთ სურვილებს და ამაშიც მუსიკა იყო. ყელში ინსტრუმენტი გვაქვს ჩადგმული - ხმა; გვაქვს სიმები, ობგები, რომლებიც პაერისაგან ირხევა და წარმოიქმნება ბგერა. ასე რომ, ღმერთმა ადამიანში თავად ჩადგა ეს ინსტრუმენტი, უნდოდა, რომ ჩვენშიც ყოფილიყო მუსიკა, რადგან მთელი სამყაროც - წყალი, ნივთი, ქარი - მუსიკალურია...

ბგერების თანმიმდევრობასთან ურთიერთობით დავინწყეთ, ვნახეთ, რომ ამ ბგერების თანმიმდევრობამ ემოციურად სხვაგან წაგვიყვანა, მერე კიდევ სხვაგან, მერე აგრესია გამოვხატეთ, სიძულვილი ან სიყვარული, სიხარული ან ტკივილი, სიმშვიდე ან აღტაცება, ბოლოს ვიტყვი და იმაშიც თავისებური მუსიკა იყო...

როგორც წყლისა და საკვების გარეშე, ისე ამის გარეშე ვერ გადავრჩებოდით. როგორც წყალი და საკვები იყო აუცილებელი ჩვენი ორგანიზმისთვის, ისე ჩვენი სულისთვის აუცილებელი იყო ბგერა, მუსიკა, რაც ადამიანში ანესრიგებს ყველაფერს და შინაგანად ქმნის ისეთს, კეთილსა და კაცთმოყვარეს, როგორც ღმერთს უნდოდა ის ყოფილიყო.

ბოლოს ერთიც მინდა გკითხოთ: აფხაზეთის კაპელის მიერ შესრულებულ სიმღერებს უდიდესი ტრაგიზმი და საკაპელოზო ტკივილი მოაქვს მსმენელამდე, რაც თითქოს ლოგიკურია: ის თვითონ არის ტრაგიკული ბედის კუთხის - აფხაზეთის - სახელის მატარებელი.

ამგვარი განცდა, ემოცია, ტკივილი ჩემს ნაწარმოებებში მუდმივად იყო - მე სხვანაირი ჩემი თავი არ მახსოვს. იქიდან მოყოლებული, როცა დედას ხელჩაკიდებული დავყავდი, მე ასეთი მუსიკალური შეგრძნებები მქონდა.

და აფხაზეთიც დაემატა?

არა, მთელი ჩვენი ტრაგიკული წარსული და მომავალი. ჩვენსაირი ბედისწერის ქვეყანაში დაბადებული ადამიანი, შეუძლებელია, არ ატარებდეს ძალიან დიდ ისტორიულ ტკივილს, თან არ სდევდეს მისი ბედი და უბედობა. ამასთანავე, ჩემში რა ძალითაც არის ტრაგიკული განწყობა, ისეთივე ძალით არის ოპტიმისტური რწმენაც და გამარჯვებისკენ სწრაფვაც.

P.S. ზვიად ბოლქვაძის ნაწარმოებების უფრო „ოპტიმისტურ განწყობას“ და „გამარჯვებისკენ მსწრაფ“ სულისკვეთებაზე საუბარს, იმედი, სხვა დროს გავაგრძელებთ.



ველი, სადაც უზარმაზარი ტკივილი და სამინელი სანახაობა; სადაც ამავე დროს უზარმაზარი ვაჟაკური სული, სამშობლოსადმი სიყვარული ტრიალებს. ნაწარმოების შუა ნაწილში კიდევ ამ გმირების ცხოვრებაა ასახული, ის სევედა თუ როგორი დიდი ბედნიერებაა სიცოცხლე... ბოლოში არის დედისა და შვილის სახეები და აქ ვალაკტიონის ლექსი მოვიმეველი: „არ გამრთელდება გული, წყნარად, წარსული, წყნარად...“

კომპოზიტორი, დირიჟორი და შემსრულებელი. როგორ ერთიანდებიან ან ემიჯნებიან ეს როლები თქვენში ერთმანეთს?

კომპოზიტორი და დირიჟორი ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან: დირიჟორი უამრავ ნოტას და ბგერას, მუსიკალურ ინსტრუმენტს, ხმას თავს უყვრის და მეტ-ნაკლებად ალაგებს ისე, როგორც ამას კომპოზიტორი ისურვებდა. ერთი სიტყვით, ძალიან რთული პროფესიაა - უნდა შეგეძლოს, იყო ჯადოქარი, შეაღწიო კომპოზიტორის სულში, მერე თითოეული იმ ადამიანის სულში, ვინც წინ გიზის და მათგან შეკრა პარმონია. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ყველაფერი არის ფერები, შენ ხარ მხატვარი და უნდა დახატო.

ფერები მუსიკაში... ცოტა უფრო მეტს ხომ არ გვეტყოდით ამ მაგიურ ფენომენზე?

ფერები არის სამყარო, დედამინა, ცა და კიდევ ის, რაც ცის იქით გვინდა დავინახოთ - წარმოსახვითი ფერები, ბავშვები, მისტიკა, იდეალუბა, ღმერთი... თუ ეს ყველაფერი ვერ იგრძენი, ვერც მუსიკას დაინახავ და იგრძნობ და ვერც სიტყვას.

ამგვარი ხედვების გამოცაა, ალბათ, რომ თქვენ ძალიან ბოპოქარ მუსიკას ქმნით.

ექსპერიმენტულს, ალბათ.

თუმცა საოცარი „შინაგანი დულილი“ გარგვანულად არც ვეტყობათ, მშვიდი ადამიანის შთაბეჭქდავებს ტოვებთ.

გენეტიკას და აღზრდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დედისგან მერგო სიმშვიდე, მამისგან - უზარმაზარი ენერჯია.

თქვენი შემოქმედების უფრო ახლოს გაცნობის შემდეგ გამიჩნდა აზრი, რომ ის ქმნის რაღაც მთლიანის განცდას. თქვენი ყოველი მომღვეწო ნაწარმოები კი ამ მთლიანობას რაღაცას ამატებს. ამას, ალბათ, მუსიკისა და პოეზიის, სიტყვისა და ბგერის თანაბარი სიძლიერე განაპირობებს. თქვენი აზრით, რა ქმნის ამ მთლიანობას?

სიცარიელე ქმნის ამ მთლიანობას - სიცარიელე? როგორ გავიგოთ, სამყაროში თუ ადამიანებში არსებულ სიცარიელე?

ალბათ, უფრო საკუთარ თავში არსებული სიცარიელე.



პირველი გვარდიანები

ამ ოლიმპიადის მონაწილე ყველა ქვეყნის მებრძოლები არ გამოიკვლია, მაგრამ იმ ქვეყნებისა, სადაც ეს უფრო მეტად მოსალოდნელი იყო, ყველა გავსინჯე და აღმოჩნდა, რომ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე საქართველოსა და ესპანეთს გარდა არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია მებრძოლი ორი ოლიმპიური ჩემპიონი!

რაც შეეხება მებრძოთა დასაცავლებას, აქაოდა გენდერული ბალანსი დავივიწყებო, ჩემი აზრით, დიდი ვერაფერი იდეა იყო: ტელევიზორშიც აშკარად ჩანდა, რომ ოთხი ხელით დროშის ტარება მებრძოლებს გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დისკომფორტზე, რომელსაც თავად დროშა განიცდიდა, - ვერ ფრიალებდა ისე ლაღად და ამბყად, როგორც მას ეკადრებოდა ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე! წინა ოლიმპიადებზე ზოგ ქვეყანას ვაყი მებრძოლები მოუძღვრებოდა, ზოგს - ქალი და გენდერულ დისბალანსს არავინ უჩიოდა. ოლიმპიადებზე ასეთი ხელოვნური ბალანსის შექმნა შეიძლება ბოლოს იქამდე მიიყვანოს ოლიმპიური მოძრაობის მამები, რომ ქალები კაცებს დააჭიდონ და სტადიონზე ფეხბურთელთა შერეული გუნდები გამოიყვანონ - ვთქვათ, ქალი მეკარე და ვაყი თავდამსხმელი. ან პირიქით.

თუ გენდერული ბალანსი დაცვა ასეთი პრინციპულია, რატომ არის, რომ ვაჟთათვის ფრენბურთის ბადავ 2 მეტრსა და 44 სანტიმეტრზეა, ქალთათვის კი 20 სანტიმეტრი დაბლა?

გენდერულ ბალანსს ოლიმპიადებზე არაფერი ჯობია, მით უმეტეს, თუ ეს ბალანსი არა დირექტივით, არამედ ბუნებრივად იქმნება. აი, მაგალითად, 25 ივლისს ტოკიოს ბუდოკანში ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა ძიუდოში გახდა იაპონელი უტა აბე, რომდენიმე წუთის შემდეგ კი იმავე დარბაზში იმავე ტატიამიზე ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მისმა ძმამ ჰიფუმი აბემ. სხვათა შორის, აბეებმა ასევე წყვილად გაიმარჯვეს ძიუდოს ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატზეც. თუ მაინცდამაინც, აი, ეს არის გენდერული ბალანსი!

ხოლო ის ამბავი, რომ უკვე ლეგენდარულმა ნინო სალუქვაძემ თავის მეცხრე ოლიმპიადში მიიღო მონაწილეობა, და ამ მხრივ მასთან ვერცერთი ქართველი ვაყი სპორტსმენი ვერ მიაგ, აშკარა გენდერული დისბალანსია! ქართველი კი არა, მსოფლიო ოლიმპიზმის ისტორიაში მასზე უაღრესი მიღწევა ერთადერთ მამაკაცს აქვს, ხოლო ქალებში ნინო მსოფლიოში ამ მხრივ პირველია! ნინო იმ მხრივაც პირველია, რომ წინა ოლიმპიადებზე იგი თავის ვაჟთან - ცოტენ მარტინთან ერთად ასპარეზობდა, რაც ერთადერთი შემთხვევაა ოლიმპიადების ისტორიაში! ესეც ბუნებრივი გენდერული ბალანსის მაგალითია, და არა მარტო გენდერული, ეს ალბათ გენერაციული, უფრო ზუსტად - გენერაციული, ბალანსის მაგალითიცაა და ამ სიტყვას აქ „თაობის“ მნიშვნელობით ვხმარობ.

და-ძმა აბეთა გამარჯვების მეორე დღეს კიდევ ერთი და-ძმა ჭიდაობაზე ბუდოკანში: კოსოვოელი ძიუდოელები ნორა ჯაკოვა და აკილ ჯაკოვა. სამწუხაროდ, ჩვენს კომენტატორებს მათი და-ძმობის ამბავი არ უხსენებიათ. რაკი ორივე ოლიმპიური ჩემპიონი არ გახდა იმიტომ? ნორა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო მისმა უმცროსმა ძმამ, ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა მე-7 ადგილი დაიკავა.

მოქმედ ჩემპიონზე გამახსენდა: ტელეკომენტატორები გვეუბნებიან, რომ ძიუდოში ყოველ წონაში სულ მცირე, სამი მსოფლიო ჩემპიონი ასპარეზობსო. არ არის მართალი. არა იმიტომ, რომ რაოდენობა არ არის სწორი, უბრალოდ, არ შეიძლება, ერთ წონაში მსოფლიოს სამი ჩემპიონი ჰყავდეს. მათგან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს მსოფლიო ჩემპიონი, ორი დანარჩენი კი ექს-ჩემპიონი იქნება. რაც შეეხება ოლიმპიურ ჩემპიონს, ეს ტიტული „ექს“ პრეფიქსს არასოდეს დაარჩავს. ოლიმპიური ჩემპიონი უკვედავი ჩემპიონი უნდა იყოს და სამუდამოდ, უკუნითი უკუნიისამდე, ყველა დანარჩენი ჩემპიონი, როგორც კი მომდევნო ჩემპიონი გამოჩნდება, ექს-ჩემპიონი ხდება. თუ ვინმე ჩვენს კომენტატორებს ხმას მიაწვდენს და ამას შეახსენებს, მაგალითი დაერჩება.

ოლიმპიადის პირველი დღეები ძირითადად ძიუდოელები და ქართველი ძიუდოელების ამბებით არის გაჯერებული. ხოლო ქართველები აქ მარტო საქართველოს სახელით როდი გამოდიან. აი, მაგალითად, თორნიკე ჭყაძეა, რომლის გვარი ინგლისურად ისე იწერება, რომ მარტო ენას კი არა, თავალებსაც მოიტყის კაცი: Tsjaqadzea.

კომენტატორი გვამცნობს: ჭყაძეა ქართველია, მაგრამ წლების განმავლობაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ნიდერლანდებში.

მოღვაწეობსო! ათასჯერ მითქვამს და კიდევ ათასჯერ გაგიმეორებ: გაუფრთხილდით, ხალხო, ამ სიტყვას, ნუ გაიხმართ ასე წარამარა! სპორტსმენის ნიდერლანდებში

მოღვაწეობა კი არა, მე წინამძღვრიშვილის ქუჩის ერთ-ერთ სახლზე გაკეთებული მემორიალური დაფაც ყურში მხედვდა: აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პოეტი კოლაუ ნადირაძე. ცხოვრობდა, რა თქმა უნდა, მაგრამ, ჯერ ერთი, სახლი როგორ მოღვაწეობდა და მეორეც - პოეტი, კი ბატონო, მაგრამ რომელი მოღვაწე კოლაუ ნადირაძე ბრძანდებოდა?! ესენი კიდევ სპორტსმენთა მოღვაწეობაზე მელაპარაკებინა!

უცხოეთში „მოღვაწე“ კიდევ ერთი ქართველი ძიუდოეა ლუკა მხეიძე ოლიმპიადის პირველ დღეს ბრინჯაოს მედალს დაეფულა და „მისი“ ქვეყნის პრეზიდენტმა მაკრონმა სოციალურ ქსელში მიულოცა მას ეს წარმატება, - ქვეყანა, რომელიც მან აირჩია, ამაცობს მისითო.

ახალ-ახალი ქვეყნებისა და მეტიც - ახალ-ახალი სამშობლოების არჩევა ჩვეულებრივი რამ გახდა სპორტში და არა მარტო სპორტში. თუმცა სამშობლოს არჩევა რა ბედენაა, როცა გლობალური ლიბერალიზ-



# ლიბერალიზმის უთანანდობა

პაატა ნასვლიშვილი

მის მედაფაფენი გვიბეჭდებენ, ადამიანი დაბადებით არც ბიჭია და არც გოგო, რომ გაიზრდება, თავის სქესს თავად აირჩევსო.

ამ ოლიმპიადებზეც არაერთი სქესარჩეული სპორტსმენი. ამ ამბებში კარგად ვერ ვერკვევი და არ მინდა, ფაქტები და ტერმინები ამერიის, მაგრამ, როგორც წერენ, ამ ოლიმპიადებზე პირველად გამოვლენ ოლიმპიურ ასპარეზზე ლია ტრანსგენდერები, თუმცა ქალთა ასპარეზობებში გამოსვლის უფლება საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ტრანსგენდერებს ვერ კიდევ 2004 წელს დართო. უბრალოდ, მათ კონტროლი უნდა გაიარონ ტესტოსტერონზე და სულ ცოტა 4 წელი უნდა იყოს გასული სქესის შეცვლიდან. ასეთი სპორტსმენები ტოკიოში არიან მძლეოსანთა, ფეხბურთელთა და ველოსიპედისტთა შორის, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც 43 წლის ახალზელანდიელი ძალოსანი ლორელ ჰაბარდია - ყოფილი დიკ ჰაბარდი, ოკლენდ-სიტის ყოფილი მერი. მას სიტყბუკუმი ახალი ზელანდიის რეკორდები აქვს დამყარებული ვაჟთა შორის, 2012 წელს კი სქესი შეიცვალა და 2017 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალიც მოიპოვა უკვე ქალთა შორის. იგი 2 აგვისტოს გამოვა ტოკიოს ოლიმპიურ ფიცარნაგზე და ვნახოთ, კიდევ რითი გამოიჩენს თავს, ხოლო პირველი ლია ტრანსგენდერი ოლიმპიელი კი კანადელი ნახევარმცველი რებეკა ქეთრინ ქუინი გახდა, რომელმაც კანადის ქალ ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში 24 ივლისს იაპონელთა წინააღმდეგ თამაშს საპრობოში.

სქესარჩეული არც იმდენად, მაგრამ ქვეყანარჩეული კი ბევრია ტოკიოს ოლიმპიადებზე. მათ შორის არიან, ვთქვათ, სლოვენელი თურქი ან ირანელი მონღოლი, არიან, რასაკვირველია, ქართველებიც, ძირითადად - რა თქმა უნდა, ძიუდოსა და ჭიდაობებში.

მაგალითად, ძიუდოსტა ოლიმპიური ტურნირის პირველ დღეს 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილე 23 სპორტსმენს შორის ოთხი ქართველი იყო და ისინი ოთხ სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენდნენ: ლუზუმ ჩხეიმიანი (საქართველო), თორნიკე ჭყაძეა (ნიდერლანდები), ლუკა მხეიძე (საფრანგეთი) და რობერტ მხეიძობაძე (რუსეთი ანუ როკ - რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი), რომელმაც, სხვათა შორის, რუსთა ნაკრებში ადგილისთვის ბრძოლაში მეორე ქართველი - იაგო აბულაძეს აჯობა. ამთგან სამნი რვა საუკეთესოში გავიდნენ, მხეიძობაძე ჭყაძეამ გამოიწია ბრძოლიდან, ქართველთაგან კი საუკეთესო შედეგი, უკვე ვთქვი, „ფრანგმა“ ლუკა მხეიძემ დადო ბრინჯაოს მედალის სახით.

უყურებ ოლიმპიურ რეპორტაჟს და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში კომენტატორი გვეუბნება ახლა ცოტა ხნით რეკლამაზე უნდა გავიდეთო და ეს „ცოტა ხანი“ კარგა ხანს გრძელდება. საერთოდ,

რეკლამის დანიშნულება ის არის, რომ ესა თუ ის ფორმა თუ ესა თუ ის პროდუქტი, ვთქვათ, კაი სასამელი მაყურებელს მოაწოდოს, მაგრამ მოაწოდოს კი არა, რაც მე იმ ფორმებისა და იმ პროდუქტების გინება მომისმენია, ყველაზე საინტერესო მომენტში რომ სწრიან თვალსა თუ ყურში მაყურებელს, თქვენი მოწონებული განა უკეთესი რეკლამა არ იქნება, ვთქვათ, მორბენალი სტრიქონი, რომელიც მაყურებელს კეთილად განაწყობს ამა-თუ იმ ფორმის მიმართ და დალოცავს მას - შენ გაიხარე, ამისთანა საინტერესო სანახაობაში რომ არ შემოეჩხირე, სადაც შენი სახელი შემხედვება, მუდამ შენი ფანი ვიქნებიო!

სანამ „კაის“ და „ოკეის“ გვატენიანდენ, საფრანგეთის კალათბურთელთა ნაკრებმა სენსაციური გამარჯვება იხიმა ამერიკელებზე. ფრანგთა შორის იყო მე-5 ნომერი გვარად ბათუმი, ნიკოლა ბათუმი. BATUM - ენერა მას ზურგზე. ამერიკელთა გუნდში კი იყო ჯეისონ ტატუმი, რომელსაც ზურგზე ენერა:



# ლიბერალიზმის უთანანდობა

პაატა ნასვლიშვილი

TATUM. ძალიან სახალისო იყო, როცა ეს ორი ერთად ხედებოდა კადრში ზურგიდან: BATUM-TATUM. ხოლო არგენტინელი ფრენბურთელის გვარია Loser. მე-8 ნომერია. ავუსტინი რქქვია. როგორ გინდა, ასეთი გვარით სპორტულ არენაზე გამოხვიდე?! ინგლისურად Loser დამარცხებულს ნიშნავს. და ესპანურად? ნეტა რას ნიშნავს Loser ესპანურად? თუმცა ის მატჩი, რომელსაც ამ ჩანანერის გაკეთების დროს ვუყურებდი ტელევიზიით, ლუზერის არგენტინელებმა ხუთსიტყვიან ბრძოლაში მოუგეს ფრანგებს.

არგენტინელის (არა)სახალისო ინგლისური გვარი და ბატუმი-ტატუმი რა მოსატანია იმ პოეზიასთან, რაც ბუდოკანში სუფევდა 25 ივლისს: დიახ, ოლიმპიადებზე ერთი ნამდვილი პაატაური ამბავი მოხდა. ქართული პოეზიის მკითხველი, მგონი, უკვე მივაჩეივ აქ სიტყვას, რომელიც ანაგრამულ რითმებს აღნიშნავს. ჰოდა, 25 ივლისს ბუდოკანში მოასპარეზე ძიუდოკათა შორის იყო როკ-ის წარმომადგენელი შამილოვი და მისი „ანაგრამა“ - ისრაელი გუნდის წევრი შამილოვი. იმავე წონაში გამოდიოდნენ ჩვენი ვაჟა მარგველაშვილიც, რომელმაც საბოლოოდ ვერცხლის მედალი მოიგო, რომელიც საქართველოს პირველი მედალი აღმოჩნდა ტოკიოს ამ თამაშებზე. ვერცხლის მედალისაკენ მიმავალ გზაზე, მეტექსმეტედფინალში მარგველაშვილმა ჯერ იაკუბ შამილოვი დაამარცხა და მეორე - მერვედფინალში ბარუს შამილოვიც ზედ მიაცოლა. ვაჟს რომ შამილოვთან ნავეო მერვედფინალში ნამდვილი პაატაური ორთაბრძოლა გაიმართებოდა: შამილოვი vs შამილოვი.

შამილოვზე გამახსენდა - როცა მეორე დღეს ტატო გრიგალაშვილი უმედელოდ დაგვიჩრა, კიდევ ერთმა ქვეყანარჩეულმა, ავსტრიის სახელით მოასპარეზე შამილ ბორჩაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გამიარჯვება თუ არა შამილ ბორჩაშვილმა, ანონსერმა მისი გვარი გამოაცხადა და ინგლისურად დააყოლა: რეპრეზენტატივ ოფ ჯორჯია - საქართველოს წარმომადგენელიო. თუმცა მალე მიხვდა შეცდომას, მეორე მალევე გაასწორა და საგანგებოდ ორჯერ ხაზგასმით გაიმეორა: რეპრეზენტატივ ოფ აუსტრია! შეცდომა კი იქიდან მოდის, რომ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მთავარი „ხმა“, „რუპორი“, ანონსერი იგივე გამოცხადებულა ქართველი გიორგი ქანიშვილი გახლავთო. რა არის მინც სისხლი ქართველი ავსტრიისა? ქართველია, ტოკიოშიც და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციაშიც. ხოლო გიორგი ქანიშვილის საერთაშორისო ფედერაციაში მიწვევით ძიუდოს საერთაშორისო ტურნირებზე მთლიანად მოიხსნა ასე ხშირი და რთული ქართული გვარების წარმოთქმის პრობლემა.

ამასობაში ისევ რეკლამაზე გავიყვანეს და გა-

ვაგებინეს, რომ თურმე გამოსულა ყურნალს „რქქეს“ ივლისის ნომერი, რომლის „ყდას გვაქვს“ რქქს ჩვენს რუა ყოფილა. რუსა ჩაჩუას არაფერს ვერჩი, არც მის გმირობას, მაგრამ რედაქციას კი უნდა ვუთხრა, რომ უურნალს, ზოგადად, ყდა არა აქვს. უურნალს აქვს გარეკანი. ყდა აქვს წიგნს. წიგნს შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე გარეკანი. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ყდა და გარეკანი არ აქვს ვაზეთს, მას აქვს მხოლოდ პირველი გვერდი, რომელიც ვაზეთის დანარჩენ გვერდებთან ერთად არის დანომრილი, განსხვავებით ყდასა თუ გარეკანისაგან, რომელიც არ იწომება და ბეჭდვით პროდუქტის საერთო პაგინაციაში არ შედის. ხოლო ჩემს სტუდენტებს, ვინც სუპერს, ყდას, გარეკანს, ფორზაცს, ტიტულსა თუ პირველ გვერდს ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ, პირდაპირ ორიანს ვუნერ, თუნდაც ამის მერე სულ „ვეფხისტყაოსნები“ და „მეფელირები“ დამიწერონ...

ცურვამი მაგგვარი ამბავი მოხდა. პირველად ოლიმპიური ცურვის ისტორიაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სპორტსმენი, რომელიც ყველაზე არაპრესტიჟულ, ბოლო, მერვე ბილიკზე ცურავდა. ეს გააკეთა ტუნისელმა აჰმედ ჰანფაუმი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვამი.

იაპონელი ჩიზურუ არაი და როკელი მაინა ტა-იმაზოვა მთელი 18 წუთი მოუნდნენ უძლიერესის გამოვლენას ნახევარფინალში.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მედლისათვის იბრძოდნენ და მეოთხედფინალშიც გავიდნენ ბელგიელი მათიას გასე და იაპონელი ტაკანორი ნაგასე.

90 კილოგრამში კი მერვედფინალში ერთმანეთს დაექივნენ „ესპანელი“ ნიკო შერაზადიშვილი და ჩერქეზი რუსი მიხაილ იგოლნიკოვი. შეხვედრის კულმინაცია იყო ის მომენტი, როცა იგოლნიკოვმა მახრჩობელა ილეთით ნიკო გათომა და მის მოსასულიერებლად ტატამზე პირველი არა ესპანელთა გუნდის, არამედ ქართველთა გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი ავარდა.

ამ შემთხვევამდე ორი დღით ადრე ვერცხლის მედალი ირგუნა უკვე მართლა საუკეთესო ქართველმა ძიუდოემა ლაშა შავდათუაშვილმა. ამით მან სრულყო თავისი ოლიმპიური მედალების კოლექცია და აღფრთოვანებულმა ტელეკომენტატორმაც სიამაყით წარმოგვიდგინა იგი:

„კიდევ ერთი გორის ძიუდოს სკოლის აღზრდილი“.

და მე მახსენდება, როგორ აუხირდა ერთხელ „ლელოს“ რედაქტორს მიშა კაკაბაძეს ცნობილი ფოტოგრაფი მიშა ზარგარიანი, რა არის მიშა-ჯან, ჩემს ფოტოს რომ ბეჭდავ, წარწერებს სხვებს რატომ აკეთებინებო. ამის მერე შენ გააკეთეო, მიშა კაკაბაძეს უთქვამს და ზარგარიანსაც მეორე დღეს ფოტოზე ადრე მისი წარწერა მოუტანია:

„კიდევ ერთი ნორაკობის შეწინებელი დარტყმა“.

წარწერა გაუსწორებიათ, დაუბეჭდავთ და ფოტოს ჰონორართან ერთად ტექსტის ჰონორარიც გამოუწერიათ ავტორისთვის. ამით ფრთაშესხმულ მიშა ზარგარიანს რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ფოტო მოუტანია რედაქციაში წარწერითურთ: „წვანე კონცხი“.

წარწერა რომ წაუკითხავს, მიშა კაკაბაძეს უთქვამს, თავში „მ“ რომ არის საჭირო, რა ყოველ ჯერზე გავიწყდებაო! მერე, თუ საჭიროა, მიაწერე რაღა! - წყენით უთქვამს მიშა ზარგარიანს, მანქანაზე გადაბეჭდილი წარწერა აუღია და ის დაკლებული „მ“ თავისი ხელით მიუწერია:

„წვანე მკონცხი“.

სანამ პაუზა და არაფერი საინტერესო არ ხდებოდა, - გვეუბნება კომენტატორი, - მანამდე ქვეყნების პოზიციებს გაგაცნობთ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშიო. და ეს ხდება სწორედ იმ მომენტში, როცა ეკრანზე ნახევარფინალური ორთაბრძოლა და სულ მცირე, ვერცხლის მედალის მფლობელის ვინაობა უნდა გაირკვეს და ეს შეიძლება ქართველც იყოს. ნეტა ამაზე საინტერესო რაღა უნდა მოხდეს ოლიმპიადებზე ვნახოთ, იქნებ მოხდეს კიდევც...

თუმცა, რაღა ვნახოთ! რაღა იქნებ! სანამ ეს შთანაწერი რედაქციაში გავგზავნი, ლაშა ბექაურმა 90 კილოგრამის ფინალში გერმანიელი ედუარდ ტრიპელი დაამარცხა მეორე წუთზე ალტერული ვაზრით და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მარგველაშვილისა და შავდათუაშვილის ორ ვერცხლს ბექაურის ოქროც დაემატა. მე სულ მცირე ორი ოქრო კიდევ მიმიღებდა ტოკიოში, სულ კი, ჩემი პროგნოზით 9 მედალი უნდა მოვიპოვოთ: სამი და სამი და სამი ოლიმპიადის ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ წინ არის!

სადაცა ტოკიოს ბუდოკანში საქართველოს დროშა აღიმართება და საქართველოს ჰიმნს აუდგება ფეხზე ყველა, ვისაც ამ მკაცრი პანდემიური რეგულაციების პირობებში დარბაზში შესვლის უფლება აქვს.

2021 წლის 28 ივლისსა და ტოკიოში 2020 წლის პანდემიური ოლიმპიადა მიდის და მიგრიალებს.

სწორედ ამაზე თქვა ალბათ შექსპირმა: „დარღვეულია დროთა კავშირი“...

და ამ დარღვეულ დროში გულს მალამოდ ედება ტოკიოში აუღერებული საქართველოს ჰიმნი.





# მოვიდა იღუპალ ქართლსა შინა


## ვარიაციები ნიგინიდან „მაზრიყით მაღრიგამდე“

### თამაზ ნატროშვილი

ისტორიას ვერ შევცვლით, მაგრამ ისტორიამ შეიძლება შეგვცვალოს. მარკ ბლოკი

## იარუსალიმის მეფე ბალდუინ II

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, ენციკლოპედიური თხზულების „კალმასობის“ ავტორი, იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში „ისტორია ქართლისა“ წერს: „იყო ბალდუინ იერუსალიმის მეფე, რომელმაც მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდუინი მოვიდა იღუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა“.



საიდან არის აღებული ეს ფრიად საინტერესო ცნობა? პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით არაა გაცემული. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ იოანე ბატონიშვილი უშუალოდ ლათინურ წყაროს უნდა ეყრდნობოდეს, ვინაიდან იერუსალიმის მეფის სახელის ქართული ტრანსკრიპცია უფრო ლათინურიდან გადმოღობულს ნაგავს.

უპირველეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ ვინ არის ამ ცნობაში მოხსენიებული „ბალდუინი, იერუსალიმის მეფე“.

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ზემოთქმული ამბავი მომხდარა დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს ალების მეორე წელს, მაშასადამე 1119 წელს.

ამ დროს ჯვაროსანთა მიერ პალესტინაში დაარსებულ იერუსალიმის სამეფოს სათავეში ედგა ბალდუინ II (1118-1131).

...მომთაბარე თურქ-სელჩუკთა ტომებმა XI საუკუნის ბოლო მესამედში დაიპყრეს ბიზანტიის მრავალი სამფლობელო. ბიზანტიამ დახმარება სთხოვა დასავლეთ ევროპას. XI საუკუნის დამლევე სირია-პალესტინა დაფარა ევროპიდან სახელისა და მიწების მოსახვეჭად ნამოსულ ჯვაროსანთა ტალღამ. ანა კომნენეს სიტყვით, ყოველი მხრიდან მოვარდნილი მდინარეებით დაიძრნენ ისინი და სიმრავლე მათი აღემატებოდა ზღვაში ქვიშას და ცაში ვარსკვლავებს.

ბალდუინიც ამ დიდი მოძრაობის მონაწილე გახლდათ. სხვათა შორის, იგი იყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლის გოტფრიდ ბულონელის ბიძაშვილი. 1099 წელს ბალდუინმა გმირობითა და სიხასტიკით განთქმულ ტანკრედთან ერთად აიღო ქალაქი ბეთლემი (ლეგენდის თანახმად – ქრისტეს დაბადების ადგილი), ხოლო 1100 წლის ოქტომბრიდან გახდა ედესის საგრაფოს ბატონ-პატრონი. როგორც ჩანს, მას ჭკუა ხმაზე არანაკლებ უჭირდა. თავისი პოზიციები ედესის საგრაფოში მალე განიმტკიცა იმით, რომ ცოლად შეირთო ერთ-ერთი სომხური ოქლის მდიდარი გამგებლის გაბრიელის ქალიშვილი, სახელად მართა. შემდეგ უდიდესი პატივით მიიღო სომეხთა ეკლესიის პატრიარქი და, ამგვარად, თავისი სომეხი ქვეშევრდომების სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვა.

ბალდუინის შესახებ ერთ ანექდოტურ ამბავს გადმოგვცემს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ დე ვიტრი. მისი სიტყვით, აღმოსავლეთში უდიდესი გულმოდგინებით უვლიდნენ წვერს და იგი მიაჩნდათ ვაჟაკობისა და ღირსების მჭევრმეტყველ სიმბოლოდ. წვერიდან თუნდაც ერთი ღერის ამოგლეჯა სასტიკ დამცირებდა ითვლებოდა. ასეთი საოცარი კულტი წვერისა მშვენივრად გამოუყენებია ბალდუინს. თურმე მან ედესაში

დამკვიდრებისთანავე აღმოსავლურ ყაიდაზე მოუშვა წვერი, შემდეგ კი ბრწყინვალე კომედია გაითამაშა. ბალდუინი ღარიბი კაცი იყო და იმ მიზნით, რომ გამოეცანცლა ფული მდიდარი სიმამრისაგან, განუცხადა მას, თითქოს თავისი წვერი დააგირავა კრედიტორებთან საკმაოდ დიდძალი თანხის მისაღებად. ამის გამგონე გაბრიელი ძლიერ განცვიფრდა და მწუხარებამ შეიპყრო. მან მტკიცედ გადაწყვიტა გადაეჩინა თავისი სიძე და ქალიშვილი სამუდამო შერცხვენისაგან და დაუყოვნებლივ მისცა ბალდუინს ოცდაათი ათასი ბეზანტი იმ პირობით, რომ იგი აღარასოდეს დააგირავებდა თავის წვერს, რაოდენ დიდ გასაჭირშიაც არ უნდა ჩავარდნილიყო.

ერთი სიტყვით, ბალდუინი ჭკუასთან ერთად იუმორის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული...

## მოულოდნელი ცვლილება

თუღთეგინი და ალექსანდრე ილღაზი საერთო ძალებით აპირებდნენ ანგარიში გაესწორებინათ იერუსალიმის სამეფოს ჯვაროსნებთან, რომლებიც აღარ ასვენებდნენ დამასკოს, მაგრამ მოულოდნელად ეს გეგმა გადადებული იქნა, ვინაიდან 1118 წლის დამლევს ანტიოქიის მთავარმა როჟერმა კილიკიის სომეხებთან ერთად აიღო აზაზის ციხე (ალექსანდრე ილღაზის რომ ეკუთვნოდა და უშუალოდ დაემუქრა ალექსანდრე. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს ლაშქრობა ანტიოქიის წინააღმდეგ.

ამ შეთანხმების შესაბამისად ილღაზი წამოვიდა მარდინიდან, მცირე ხნით შეჩერდა ედესასთან და 1119 წლის ივნისის დამდეგს გადაჭრა მდინარე ევფრათი. როჟერს აცნობეს მოახლოებული საფრთხე. მან დახმარება სთხოვა ბალდუინს, რომელიც მაშინვე შეუდგა სამზადისს, მაგრამ როჟერმა დატოვა ანტიოქია და გზას დაადგა. შემდეგ შეისვენა, რამდენიმე დღე ელოდა იერუსალიმის მეფის გამოჩენას და მისი დაყოვნებით გაღიზიანებული, საბოლოოდ აჰყვა ადგილობრივ მფლობელთა რჩევას, რომელთაც საკუთარი მიწების დაცვა უფრო ანუხებდათ და უბრძანა ჯარს წინსვლა. ჩქარობდა, რათა აეცილებინა მაჰმადიანთა თავდასხმა ათარიბის ციხეზე (ანტიოქიასა და ალექსანდრის შორის).

20 ივნისს როჟერმა დაიკავა უვარგისი პოზიცია ორ მთას შუა, სოფელ ბალათთან, ათარიბის ციხის ჩრდილო-დასავლეთით. მან ჩათვალა, რომ ამ ადგილის კლდოვანი რელიეფი დააბრკოლებდა მტერს.

ამასობაში ილღაზი ელოდა თუღთეგინის ქალაქ ალექსანდრის, მაგრამ მის ამირებს მოსწყინდათ უქმად ყოფნა და მოითხოვეს დაუყოვნებლივ ამოქმედება. ილღაზი დათანხმდა. 27 ივნისს აშალეს ბანაკი და იმავე ღამეს, ისარგებლეს რა სიბნელით, განლაგდნენ ჯვაროსანთა უშუალო სიახლოვეს.

## ნახევრად ბერები, ნახევრად რაინდები

1119 წლის ზაფხულში მომხდარმა ამბებმა საგანგაშო ვითარება შეუქმნა ბალდუინს, როჟერისა და მისი რჩეული რაინდების ამოყვლეტა მნიშვნელოვანი დარტყმა იყო ჯვაროსანთა პოზიციების შესარყევად. სხვას რომ თავი დავანებოთ, როჟერს ნიჭიერი მხედართმთავრის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე მან სასტიკად დაამარცხა ირანის თურქ-სელჩუკთა ლაშქარი, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაჰმადიანურ სამყაროზე. როჟერი, ანუ როგორც არაბები ეძახდნენ – „სიროჯალ“ (ე. ი. სირ როჟერი), გახდა ისეთივე ლეგენდარული ფიგურა, როგორც შემდგომში – რიჩარდ ლომგული.

საერთოდ, ჯვაროსანი და მაჰმადიანი რაინდები დიდად აფასებდნენ ერთიმეორის სამხედრო ნიჭსა და მეომრულ შემართებას. ზემოხსენებული უსამა იბნ-მუნკიზი ამტკიცებს, რომ ფრანკებს არ გააჩნიათ არც ერთი ადამიანური ღირსება, გარდა სიმამაცისა! ხოლო იმდროინდელი ჯვაროსნული ქრონიკის ავტორი აცხადებს, თურქები რომ ქრისტიანები იყვნენ, მათზე ბრწყინვალე ხალხს მთელი დედამიწის ზურგზე ვერ იპოვიდით.

1119 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ოთხი წლის წინათ მოპოვებული უშიშროება. ახლა მათ დაუპირისპირდა ძლიერი გამგებელი ალექსანდრე (ილღაზის სახით), სადაც მუდამ ეგულებოდათ სუსტი მტოქე.

ევროპიდან ახალი ძალები კანტიკუნტად მოდიოდა და ჯვაროსანთა გაჭირვება კატასტროფულ ხასიათს იღებდა. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ 1119 წელს დაარსდა ტამპლიერთა ორდენი, რომლის წევრები ნახევრად ბერები, ნახევრად რაინდები იყვნენ. როგორც ფიქრობენ, ტამპლიერთა ორდენი შეიქმნა მაჰმადიანური სამყაროსთვის თავზარდამცემი ასასინთა ორდენის მიზნით. მკაცრი დისციპლინა და მტკიცე სამხედრო ორგანიზაცია თავიდანვე გახდა ტამპლიერთა გამოსარჩევი ნიშანი, მათ შესაძინევი როლი ითამაშეს ჯვაროსანთა შემდგომ ისტორიაში, მაგრამ 1119 წელი მხოლოდ დაბადების წელი იყო მათი.

## ბალდუინი საქართველოში

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით დამაჯერებელი ხდება იერუსალიმის მეფის ჩამოსვლა საქართველოში და მისი საიდუმლო ვიზიტის მიზანიც ნათელია. როგორც ჩანს, გასაჭირში ჩავარდნილმა ჯვაროსნებმა იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს, რომელსაც ადრინდელი თვლიდნენ ქრისტიანული კულტურის ბასტიონად აღმოსავლეთში. თუმცა ჯვაროსან დამპყრობელთა და საქართველოს მიზნები ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, მტერი მაინც საერთო ჰყავდათ და ბუნებრივ მოკავშირეებად გამოდგოდნენ. XI საუკუნის დამლევს ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის ალბამაჰმადიანთა უძლეველობას სახელი გაუტეხა და ხელსაყრელი გარემოება შეუქმნა საქართველოსაც. ქართველი მემკვიდრე ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამის შემდგომ შეუწყვიტა ხარკის ძლევა სელჩუკებს დავით აღმაშენებელმა.

ახლა კი, ოცი წლის შემდეგ, საქართველო უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და თამამად შეეძლო ჯვაროსანთათვის დახმარების განცემა. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმებმა მოამწიფა თურქ-სელჩუკთა განდევნა საქართველოს მიწა-წყლიდან. 1118-1120 წლებში განხორციელდა ყიფნაღათა მუდმივი ჯარის შექმნა. ამიერიდან დავით აღმაშენებელს ძალა შესწევდა, თავდაცვითი ომით არ დაემაყოფილებულიყო და თვითონ მიეტანა იერიში მტერზე.

არაფერია გასაოცარი და საეჭვო იმაში, რომ იერუსალიმის მეფე დახმარების სათხოვნელად ჩამოსულიყო საქართველოში 1119 წლის დამლევს.

## ილღაზის პირადი საქმე და დამბლა

ანტიოქიის სამთავროს კანცლერს ფრანგ გოტიეს 1121 წლის ლაშქრობა საქართველოზე თითქმის ილღაზის პირად საქმედ მიაჩნია. მისი სიტყვით, ილღაზი აპირებდა დავით აღმაშენებლის დამარცხებას და მოსპობა-დამორჩილებას, რათა შემდეგ იერიში მიეტანა ანტიოქია-იერუსალიმზე და ბოლო მოელო ჯვაროსნებისათვის. მაშასადამე, ილღაზი თავისი ზურგის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა ჯვაროსნებთან მომავალი ომის წინ და აშკარაა, რომ ამ ზურგის გამაგრება გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა, რათა გულდამშვიდებით გაეშალა ოპერაციები სირია-პალესტინის ფრონტზე.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ 1120 წლის დამლევს დავით აღმაშენებელს გაულაშქრია ილღაზის სამფლობელოებზე (ალბათ, დიარ-ბექირის მიდამოებში) და პირნათლად შეუსრულებია ბალდუინის თხოვნა.

ამრიგად, თუნდაც არ არსებობდეს იოანე ბატონიშვილის ცნობა, ზემოთ მოცემული სურათი თავისთავად მიგვიყვანდა ასეთ დასკვნამდე.

1121 წელს იწყება ჯვაროსანთა გამოცოცხლება. მისში ისინი თავს დაესხნენ ათარიბის ციხეს და სერიოზულად დაემუქრნენ ალექსანდრე. ილღაზიმ უბრძანა თავის ვაჟს სულიმანს (ათარიბის გამგებელს) ფრანკებთან დაზავება. ზავის პირობები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

ჯვაროსანთა გამარჯვებები გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. მათ ალყა შემოარტყეს ზარდანას და აიღეს, შემ-

დეგ დაიძრნენ ალექსანდრე და დამბლა მისი დამცველები. ბალდუინი რამდენიმე ციხეს დაეუფლა ალექსანდრის მიდამოებში. შემფორთულმა სულიმანმა ზავი ითხოვა (ილღაზი უკვე საქართველოში იყო წასული), მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან ბალდუინი დაჟინებით მოითხოვდა ათარიბის ჩაბარებას.

1121 წლის აგვისტო... დიდგორის ომი... დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე გამარჯვება. მიმედ დაჭრილი ილღაზი გარბის ბრძოლის ველიდან. მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი განადგურებულია.

კანცლერ გოტიეს ცნობით, დიდგორის ომში მონაწილეობდა ორასი ფრანკი. ცხადია, ნაამბობის მიხედვით აღწერა გოტიემ ქართველი ხალხის ტრიუმფი დიდგორში. მისი აღტაცება სავსებით გასაგებია. დიდგორის ომმა გააცამტყვრა ილღაზის პერსპექტივები. მას ჯვაროსნებისათვის აღარ სცხელოდა.

მომდევნო წლის შემოდგომაზე ილღაზის დამბლა დაეცა (ვინ იცის, იქნებ დიდგორში მიღებული ჭრილობის გამო) და სწრაფად მოეღო ბოლო.

ასე გათავდა ისტორია ჯვაროსანთა ყველაზე მრისხანე მტრისა და, უდავოა, რომ იერუსალიმის მეფე ამ ამბის გაგონებაზე შვებით ამოისუნთქავდა.

## ბალდუინი და დავით აღმაშენებელი

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ცნობა. 1136 წელს ნორმანდიაში მყოფ მწერალს თავის ქრონიკაში შეუტანია ჯვაროსან რაინდთაგან გაგონილი: ვითომც 1123-1124 წლებში დავითს, ქართველთა მეფეს და თოროსს, კილიკიის მთავრის ძმას, ერთ სულტანთან ტყვედ ჩავარდნილი რაინდების განთავისუფლებაში მიუღიათ მონაწილეობა.



ძნელი სათქმელია, ეხება თუ არა ეს ცნობა თვით ბალდუინს, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ 1123 წლის აპრილში ბალდუინი ხელმეორედ აღმოჩნდა მაჰმადიანთა ტყვეობაში. იგი მოათავსეს არზრუმის მახლობლად მდებარე ციხეში. კარგად ცნობილია ისიც, რომ ედესის გრაფმა ფოსტენმა თავისი პატრონის დასახსნელად დახმარება სთხოვა ბიზანტიის იმპერატორსა და კილიკიის სომეხთა მთავრებს. ბალდუინის განთავისუფლება მოხერხდა 1124 წელს. მაშასადამე, ზემოხსენებულ რაინდთა შორის შესაძლოა ბალდუინიც იყო.

ბალდუინ II გარდაიცვალა 1131 წელს იერუსალიმში. საერთო აღიარებით, მისი მეფობის დროს ჯვაროსანთა ძლიერებამ თავისი პიკი მიიღწია. ცამეტი წლის მანძილზე მან განამტკიცა და განავრცო იერუსალიმის სამეფოს საზღვრები.

ბალდუინს აქებენ მტრულად განწყობილი მაჰმადიანი ისტორიკოსებიც (ისევე როგორც დავით აღმაშენებელს). იბნ ალ-კალანისის სიტყვით, ბალდუინი მრავალჯერ ჩაუვარდა ტყვედ მაჰმადიანებს (სინამდვილეში – მხოლოდ ორჯერ), მაგრამ ყოველთვის იხსნიდა თავს სხვადასხვა ხერხით. მისი სიკვდილის შემდეგ აღარავინ დარჩა ფრანკთა შორის. ბალდუინის დარად დაჯილდოებული საღი გონებითა და მმართველობის უნართო.

იბნ ალ-ასირი უხალისოდ აღიარებს ფრანკთა გაძლიერებას 1120 წლის შემდეგ, რაც უეჭველად იყო დავალებული ბალდუინისგანო.

აქ ისლა დავარჩენია ვთქვათ, რომ ჯვაროსანთა წინაშე არანაკლები დამსახურება მიუძღვის დავით აღმაშენებელს.

მხატვარი იანო ნიკოლაიკი





ავთანდილ იმნაძე – დაიბადა 1940 წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისში. არის ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი 1960-იანი წლებიდან, საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმარი (1978-1983), დისიდენტი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) დეპუტატი. ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე. საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე. პროფესიით რეჟისორი, ინჟინერ-გეოლოგი. ჰყავს მეუღლე, ერთი შვილი და ერთი შვილიშვილი.

### ავთანდილ იმნაძე

## ვალესკი

შებინებული იყო. პერმის ოლქის პოლიტპატიმართა N37 საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრები საშუალო ზონიდან ბრუნდებოდნენ. მათი ყურადღება ახლად გაკრულმა პროპაგანდისტულმა პლაკატებმა მიიპყრო. პლაკატების შინაარსი ასეთი იყო: „დავენიოთ და გავუსწროთ აშშ-ს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებით!“, „საბჭოთა კავშირში დღეს მცხოვრები მოქალაქე იცხოვრებს კომუნის ეპოქაში“, „ხულიგნებს, უსაქმურებს, მუქთახორებს ჩვენთან ერთად კომუნისში არ წაეყვანათ!“ და სხვა ამდაგვარი.

– იური ფიოდოროვიჩ, შეხედეთ, რა ლამაზად და მოხდენილად გაუკრავთ ეს პლაკატები! – იქედნურად მიმართა ავთანდილ იმნაძემ მის გვერდით მომავალ იური ორლოვს.

– დიდებულია, დიდებული, განსაკუთრებით ეკლიანი მავთულხლართების ფონზე... – აჰყვა ორლოვი.

იმნაძემ ახალა შეამჩნია, რომ პლაკატები მართლაც ეკლიანი მავთულხლართების ფონზე იყო განლაგებული.

იური ორლოვი, ცნობილი რუსი დისიდენტი, გასამართლებული იყო რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლით და მისჯილი ჰქონდა ამ მუხლით გათვალისწინებული მაქსიმუმი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით გადასახლება. რაც შეეხება ავთანდილ იმნაძეს, იური ორლოვთან შედარებით ახალბედა ქართველი დისიდენტი იმავე მუხლით იყო გასამართლებული და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 4 წლით გადასახლება ჰქონდა მისჯილი. ავთანდილ იმნაძის ამ ზონაში შემოყვანის პირველივე დღიდან მათ შორის ახლომეგობრული ურთიერთობა დამყარდა, მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი სხვაობა საკმაოდ დიდი იყო – ორლოვი 57 წლისა იყო, იმნაძე – 39-ის.

ავანშიობის დრო ახლოვდებოდა. ამ დროს, როგორც წესი, ზონაში მორიგე ზედამხედველი შემოდიოდა და ეგრეთ წოდებულ „შემონებებს“ ატარებდა. ახლაც გაიღო ჭიშკარი და ზონაში მალალი, ანონილი „პრაპორშიკი“ სალახოვი შემოვიდა.

– აბა, ჩერნომაშინცევ, დაუძახე ყველას. შემონებმა იწყება.

– სულ ჩერნომაშინცევ, ჩერნომაშინცევ... – ვითომდა ხუმრობით ნაიბურდლუნა სამოცდაათი ოდენ წლის მამაკაცმა. – თითქოსდა ჩემს მეტი აქ არავინ იყოს...

– რას იზამ, მამასახლისი შენ ხარ და... – დაუყვავა სალახოვმა. მერე სერიოზულად დაუმატა: – ჩქარა, ჩქარა, დრო ფულია!

– ეს თქვენთვის, მოქალაქე უფროსო, ჩვენთვის კი აქ ფულს ჩალის ფასი აქვს.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოაგროვე ხალხი!..

– მე მგონი, ყველანი აქ არიან, მოქალაქე უფროსო, – მთელი სერიოზულობით განაცხადა მამასახლისმა.

– მაშ, დადევით მწკრივში და დავენიოთ! ეს ბრძანება სრულიად უადგილო იყო, რადგან ვახშმის დრო ახლოვდებოდა და პატიმრები უკვე მწკრივში იდგნენ და ელოდნენ, როდის დაიწყებოდა და დამთავრდებოდა ეს „შემონებება“, რომ ვახშამზე შესულიყვნენ.

– მმდა, ასე... – არ ჩქარობდა სალახოვი.

– სურგაუჩოვ!

– ვარ!

– ჩერნომაშინცევ!

– ვარ!

– სავიცკი!

– აქ ვარ!

– იმნაძე!

– ვარ!

– ვალესკი!

– ვარ!

„ვალესკის“ გაგონებაზე პატიმრებში ჩოჩქოლი ატყდა. პირველად გაიგონეს ეს გვარი და არავინ იცოდა, როდის შემოიყვანეს...

– დამშვიდდით!.. ახალი პატიმარია. ნახევარი საათის წინ შემოიყვანეს, თქვენ რომ საშუალო ზონაში იყავით. დამშვიდდით და განვაგრძოთ შემონებება...


\*\*\*

ვახშამი თითქმის თავდებოდა. მაგიდასთან ოთხნი ისხდნენ: ორლოვი, ილინი, ჰაირიკიანი და იმნაძე. სიჩუმე ორლოვმა დაარღვია:

– პარული, – მიმართა მან ჰაირიკიანს. – შენ ხომ აქ იყავი, ეს ახალი რომ მოიყვანეს. არ დალაპარაკებინარ?

– არა, ვერ მოვასწარა...

– საშა, ვახშამს რომ მოვრჩებით, დაველაპარაკოთ ჩვენს ოთახში, საინტერესო ადამიანი ჩანს.



– იური ფიოდოროვიჩ, შემოვიყვან, დაველაპარაკოთ... – მიუგო ილინმა.

ვახშამი დამთავრდა. პატიმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ სასადლო ოთახიდან. როგორც წესი, ყველაზე ბოლოს დისიდენტები დგებოდნენ და ახლაც ასე მოხდა. ოთხული ყველაზე გვიან გავიდა სასადლოდან. ორლოვი, ჰაირიკიანი და იმნაძე სამკითხველო ოთახში შევიდნენ, რომელსაც ისინი „ჩვენს ოთახს“ ეძახდნენ, რადგან მათ გარდა ამ ოთახში თითქმის არავინ შედიოდა.

ილინი ვალესკის სანახავად გაემართა. ბარაკში შევიდა თუ არა, დაინახა საშუალო ტანის ქერა მამაკაცი, რომელიც ადრე არ ენახა. ვალესკის, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ტანისა იყო, საკმაოდ ათლეტური აღნაგობა ჰქონდა – ბრგე გულმკერდით, ლამაზად მორგებული ჩექმებით და გალიფე შარვლით ვალესკი მოხდენილი მამაკაცი იყო.

ვალესკიმ ილინის ინტერესი შეამჩნია და თავდაცვით ყურადღებით შეაცქერდა. ილინი მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა.

– მე ალექსანდრ ილინი ვარ!

– ვლადიმირ ანდრეევიჩ ვალესკი... – და ხელი ჩამოართვა.

– თუ არ შენუხდებით, თქვენს საქმეს რომ მორჩებით, სამკითხველო ოთახში შემობრძანდით, ჩვენს სამეგობროს თქვენი გაცნობა უნდა.

– სიამოვნებით. ხუთ ნუთში მოვალ. სად არის ეგ ოთახი?

– ამ ბარაკიდან რომ გახვალთ, მესამე კარია მარცხნივ... აბა, დროებით...

\*\*\*

სამკითხველო ოთახში „ჩაის სმის“ რიტუალი მიმდინარეობდა. აქ იური ორლოვთან და ავთანდილ იმნაძესთან ერთად იყვნენ პარული ჰაირიკიანი და კუზმა სავიცკი. პარული ჰაირიკიანიც, ცნობილი სომეხი დისიდენტი, 70-ე მუხლით იყო გასამართლებული და მასაც, ისევე, როგორც ორლოვს, მაქსიმუმი – 7+5 ჰქონდა მისჯილი. იგი ამ მუხლით უკვე მესამედ იყო დაპატიმრებული და ამ დროისთვის,

საერთო ჯამში, უკვე 15 წელზე მეტი ჰქონდა მოხდილი. რაც შეეხება კუზმა სავიცკის, იგი დასავლეთუკრაინელი დისიდენტი იყო, ასევე „სამოცდაათიანელი“.

დისიდენტები თავიანთ თავს სამოცდაათიანელებს უწოდებდნენ. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ისინი 70-ე მუხლით იყვნენ გასამართლებული და თანაც სამოცდაათიან წლებში. უცნაური დამთხვევა იყო, მაგრამ საინტერესო. აქვე იხდოდა სასჯელს დისიდენტი ვიქტორ ნეკიპელოვი, რომელიც მძიმე სენით იყო დაავადებული და ახლა სანიტარულ იზოლატორში იწვა, როგორც ეს „შემონებების“ დროს მამასახლისმა მოახსენა ზედამხედველს.

დისიდენტების სამეგობროსთან დაახლოებული ალექსანდრ ილინი იყო ერთადერთი, რომელიც სამოცდაათიანელებს არ მიეკუთვნებოდა, ვინაიდან იგი 70-ე კი არა, 64-ე მუხლით იყო გასამართლებული, „ჯაშუშობის მცდელობისთვის“...

„ჩაის სმის“ რიტუალი გრძელდებოდა. ჩაის გარდა, ავთანდილ იმნაძეს ზონის ტერიტორიაზე მოგროვილი მწვანელებით, სოკოთი და სხვა ინგრედიენტებით მშენიერი სალათა მოემზადებინა და მეგობრებს უმასპინძლდებოდა. კარი გაიღო და ოთახში ალექსანდრე, იგივე საშა ილინი შემოვიდა.

– ხუთ ნუთში მოვა, – დაიწყო მან. – ძალიან საინტერესო ადამიანი ჩანს. გავიცანი და სიამოვნებით დათანხმდა ჩვენთან საუბარს.

სანამ აქ შემოვიდოდი, ბუტაკოვს შევხვდი. მითხრა, რომ ეს კაცი მორდოვეთის ზონაში მასთან ერთად იჯდა და კარგად იცნობდა. ვლადიმირ ანდრეევიჩ ვალესკი ვლასოველი ყოფილა.

ამის გაგონებაზე ყველას სახე შეეცვალა. სიტყვა „ვლასოველი“ ადამიანებში, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ადამიანებში, განსაკუთრებულ ასოციაციებს იწვევდა – გენერალი ვლასოვი ხომ თავისი არმიით გერმანელების მხარეს გადავიდა. რიგითი ჯარისკაცები თითქოს არაფერ შუაში იყვნენ – მათ ხომ არავითარი ინიციატივა არ გამოუჩენიათ, არც არავინ შეკითხვია, თანახმა იყვნენ თუ არა, გადასულიყვნენ გერმანელთა მხარეს. ამისდა მიუხედავად, ჩვეულებრივ, ვლასოველ რიგით ჯარისკაცს აზრობრივად თვით გენერალ ვლასოვთან აიგივებდნენ.

– ვლასოველი? – დაფიქრებით წარმოთქვა ორლოვმა. – მით უფრო საინტერესოა მასთან საუბარი. ყოჩაღ, საშა, ეს რომ გაგიკვირებია.

გაიღო კარი და ოთახში სამოციოდენ წლის ჭარმაგი, სიმბათიური მამაკაცი შემოვიდა.

– მოგესალმებით ყველას! ვლადიმირ ანდრეევიჩ ვალესკი. გასამართლებული სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლით, სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა და ათასი უბედურება. თუ აიტყვას ასეთ ადამიანს, მეც სიამოვნებით შემოგიერთდებით.

ვალესკის ამ უშუალოდამ ყველა მოხიბლა და კარგ გუნებაზე დააყენა. კარებიდან ყველაზე ახლოს კუზმა სავიცკი იჯდა, რომელიც წამოდგა და ხელი გაუწოდა.

– კუზმა სავიცკი, დასავლეთუკრაინელი, სამოცდაათიანე მუხლი, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა.

შემდეგი იმნაძე იყო.

– ავთანდილ იმნაძე, ქართველი, სამოცდაათიანე მუხლი, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა.

– იური ფიოდოროვიჩ ორლოვი, სამოცდაათიანე მუხლი, იგივე.

– პარული ჰაირიკიანი, იგივე...  
– ერთი სიტყვით, ვლადიმირ ანდრეევიჩ, აქ ყველანი, ერთის გარდა, სამოცდაათიანელები ვართ, – თქვა ორლოვმა.

ვალესკიმ თანამოსაუბრეები შეათვალერა. – საინტერესო კრებულაა, – თქვა ბოლოს. – საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მხარეა წარმოდგენილი – სომეხი, ქართველი, რუსი, უკრაინელი და აი მე, ბელორუსი. ბალტიისპირელები და შუაზიხელებიდა გვაკლია... ახლა სერიოზულად. მე ოცდამესამე წელია, პატიმარი ვარ. ოცდახუთი მაქვს მოსჯილი. რისთვის...  
ვალესკიმ დაიწყო თავისი თავგადასავლის მოყოლა...

\*\*\*

ვალესკი 1941 წლის 8 მაისს დაქორწინდა ირინა ვასილევსკაიაზე. ირინა ფეხმძიმედ იყო. ცხრაში ვალოდია ჯარში გასაწვევ უნებლად გამოცხადდა. ირინამ, რა თქმა უნდა, გაციოლა. ერთმანეთს კიდევ ერთხელ გაუზიარეს სიყვარული და გამოეთხოვნენ.

ახალგეულები კარანტინიდან ახალი გამოსულები იყვნენ, როცა განგაში გამოცხადდა – გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და ჯარისკაცები გააფრთხილეს, რომ სრულ მზადყოფნაში ყოფილიყვნენ.

როგორც ვალოდიასათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, იგი მოხვდა საბჭოთა ჯარის იმ ნაწილში, რომელიც გენერალ ვლასოვის არმიაში შედიოდა.

მოგვიანებით ვლასოვი, თავისი არმიით, გერმანელების მხარეს გადავიდა და ვალოდიაც, როგორც ამ არმიის რიგითი ჯარისკაცი, გერმანელების მხარეს აღმოჩნდა. როდესაც მან ეს ფაქტი გაცნობიერა, მაშინვე დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოქცეულიყო, რაც თითქმის შეუძლებელი იყო. ფიქრი იმაზე, რომ ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი ჩანაფიქრი, ძალზე სარისკო იყო. ჯარისკაცებში ისეთი ატმოსფერო სუფევდა, არავინ ნდობა არ შეიძლებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ვალოდიამ მაინც მოახერხა გამოქცევა. შვიდი საათი ირბინა დაბურულ ტყეში და საბჭოთა პატიზანებს გადააწყდა. პარტიზანებმა პირველებმა შენიშნეს იგი.

მეორე დღეს ვალესკი მეთაურებთან წარადგინეს.

– ვლადიმირ ვალესკი, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თქვენ ხართ მოღალატე, გამცემი და შემოგზავნილი ჯაშუში. მოვითათბირეთ და თქვენ მოგესაჯათ დახვრეტა...

ორმა პარტიზანმა ვალოდია წინ გაიგდო. თვითონ უკან მიჰყვებოდნენ. ვალოდიამ ერთი კი გაიფიქრა, გაქცეულიყო, მაგრამ მიხვდა, რომ – აზრი არ ჰქონდა, მაშინვე ესროდნენ. ორივეს ხელში ავტომატები ეკავათ. ვალოდია ზამთრის საცვლების ამარა იყო და იყინებოდა. მიულოდნებლად ესმის ავტომატის ჯერი. ვალოდიას ჰგონია, მას ესროლეს. იგი ჩერდება, ხელებით სხეულს ისინჯავს. არავითარი ჭრილობა. იხედება უკან და... რას ხედავს?! ერთი პარტიზანი თავზე ადგას მეორეს და ავტომატის ჯერს ზედ აცლის. როდესაც დაინახა, რომ ვალოდია უყურებდა, ავტომატი მისკენ მიაბრუნა, რალაც ვინებისმაგვარი ჩაიბურდლუნა, მერე ავტომატი ზევით აღმართა, ჯერი გაუშვა და საშინელი ხმით დაიღრიალა:

– აბა, მოუსვი აქედან!

როგორც ვალესკიმ მოგვიანებით შეიტყო, პარტიზანმა ძველი ანგარიშები გაუსწორა თავის თანასოფელს.

ვალოდია გაიქცა. მუხლები ეკვეთებოდა, მაგრამ მაინც გარბოდა. საით, არ იცოდა, მაგრამ გარბოდა. ღმერთმა იცის, რამდენი ირბინა... თითქოს წელიწადი გავიდა. როგორც იქნა, რალაც ქოხი გამოჩნდა. ტყე თავდებოდა და სოფელი იწყებოდა. ვალოდია მიუახლოვდა ქოხს. შიშით შეალო კარი. ქოხში მოხუცი ქალი იჯდა და ძველმანებში იქექებოდა. ვალოდია რომ დაინახა, შეცბა, თითქოს შეეშინდა კიდევ. მერე დააკვირდა და ტირილნარევი ხმით წარმოთქვა:

– ვაიმე, შვილო, რა დღეში ხარ?!

მერე დაიხედა ვალოდიამ ტანზე. მთელი საცვლები შემოხეოდა და ხელებიდან, ფეხებიდან, მთელი სხეულიდან სისხლი სდიოდა.

სამი თვე დაჰყო ვალოდიამ ამ მოხუცთან. მერე გერმანელებმა შენიშნეს და წაიყვანეს. ვალოდიამ გერმანელებს უთხრა, რომ ვლასოვის არმიის ჯარისკაცი იყო და რომ პარტიზანებმა შეიპყრეს და დახვრეტა დაუპირეს. მერე უამბო, რაც მოხდა. გერმანელებმა რამდენიმე დღე გააჩერეს და რატომღაც დასავლეთის ფრონტზე გაგზავნეს.



\*\*\*

– ასე აღმოჩნდა, მეგობრებო, დასავლეთის ფრონტზე გერმანულ ჯარში, სადაც რამდენიმე თვეში კვლავ ტყვედ ჩავვარდი, ამჯერად ინგლისელებთან, – განაგრძობდა ვალოდია. – ორ წელზე მეტი გავატარე ინგლისელთა ტყვეობაში. შეიძლება გავგეცნოთ, მაგრამ ეს იყო ყველაზე საუკეთესო წლები ჩემს ცხოვრებაში მანამდეც და მერეც. დადგა 1946 წელი, როცა საბჭოთა კავშირმა, ინგლისმა და აშშ-მ ხელი მოაწერეს ტყვეთა გაცვლის შეთანხმებას. ამ დროს მე ინგლისელთა გემზე ვიმყოფებოდი სხვა საბჭოელ ტყვეებთან ერთად.

გაზაფხულის ერთ მზიან დღეს საბჭოელი ტყვეები გემბანზე გამოგვიყვანეს და ჩავგამ-წკრივებ. წამოდგა ერთი მალალი, სიმპათიური ახალგაზრდა ინგლისელი ლიტენანტი და რუსულ ენაზე მოგვმართა...

– ბატონებო!.. როგორც თქვენთვის ცნობილია, ინგლისმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ტყვეთა გაცვლის თაობაზე პრიციპით – „ყველა ყველაზე“. თქვენ გეძლევათ საშუალება, აირჩიოთ, დაბრუნდეთ სამშობლოში თუ დარჩეთ ჩვენთან. ინგლისის მთავრობისაგან ჩვენ გვაქვს უფლებამოსილება, გამოვიცხადოთ, რომ დარჩენის შემთხვევაში თქვენ მოგეცემათ საშუალება, აირჩიოთ საცხოვრებლად დიდი ბრიტანეთის ნებისმიერი ქვეყანა... გაქვთ მოფიქრების დრო, დაახლოებით სამი საათი.

თითქოს გადავწყვიტე, დაერჩინილიყავი, მაგრამ გამახსენდა ირინკა, შვილი, რომელიც არც კი მენახა და არც ვიცოდი, ბიჭო იყო თუ გოგო ან კი საერთოდ თუ დაიბადა და დარჩენა ლალატად ჩავთვალე. ასე მოვხვდი, მე ბრყვი, საბჭოთა გემზე.

საოცრად მიგვიღეს. საითაოდ ჩავგიხუტეს. ლამის სიხარულის ცრემლებად დაიღვარნენ და ასე დაემორღობა ინგლისის გემს.

\*\*\*

როგორც კი ინგლისის გემი პორიზონტიდან გაქრა, საბჭოთა გემი საკონცენტრაციო ბანაკად იქცა. ერთი კვირა პურის, წყლისა და „კილკას“ მეტს არაფერს გვაძლევდნენ. ერთი კვირის შემდეგ გემი რომელიღაც ნავსადგურს მიადგა.

გამოჩნდნენ მანქანები, სამი ე.წ. „კორონა“ და ყველანი ამ მანქანებში გადავსხეს. წავიყვანეს რომელიღაც ბანაკში. მერე და გაიკვია, რომ მორდოვეთის პოლიტიპტიმართა ბანაკში ვიმყოფებოდით. არავითარი გამოძიება, არავითარი სასამართლო. ასე გავატარე მორდოვეთის პოლიტიპტიმართა ბანაკში ზუსტად ორი წელი. 1948 წელს, გაზაფხულზე, გამოვიდა ანონსტია, რომელიც სამხედრო ტყვეებს შეეხო. ყველანი მოულოდნელად გავვათავისუფლეს.

\*\*\*

როგორც იქნა, ჩააღწია სოფელში. უსაზღვრო იყო დებისა და, განსაკუთრებით, მოხუცი დედის სიხარული. შვილის დანახვაზე გული წაუვიდა. ძლივს მოასულიერეს ნიშადურითა და რაღაც წვეთებით. ამ დროს ჭიშკარში გამოჩნდა ირინკა. მას ექვსი წლის გოგონა მოჰყვებოდა ხელჩაკიდებული. ირინკა გაცილებით ლამაზი და დამწვენილები მოეჩვენა, ვიდრე მამინ. გულში ჩაიკრა და კოცნიდა ხან მას, ხან კი პატარა ლენოჩკას. ირინკას მისთვის ის სახელი დაურქმევია, რაზეც ადრე მიილაპარაკეს. ლენოჩკა გაოცებული შეჰყურებდა უცნობ კაცს, რომელიც ასე თბილად და სიყვარულით ექცროდა.

მეორე დღეს ვალოდია სასოფლო საბჭოში დაიბარეს, სადაც ე.წ. განსაკუთრებული განყოფილება, იგივე კაგებეს განყოფილება იყო განთავსებული... კარგად დაამუშავეს.

სამჭედლოში დაიწყო მუშაობა. სრულებითაც არ გასჭირვებია. და ასე გაგრძელდა კიდევ სამი წელი. თითქოს ეს წლები ბედნიერი წლები უნდა ყოფილიყო ვალოდიასათვის, რადგან ცხოვრობდა საკუთარ ოჯახში დედასთან, დებთან და, რაც ყველაზე სანუკვარი იყო, უსაყვარლეს ცოლთან, ირინკასთან და არანაკლებ უსაყვარლეს შვილთან ლენოჩკასთან ერთად, მაგრამ ეს ასე არ იყო. როგორც მაიორმა ვილკოვმა უთხრა, ვალოდია კვირაში ორჯერ უნდა გამოცხადებულიყო მასთან და ხელი მოეწერა ფურცელზე. რისთვის?.. წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ უნდა მოეწერა... ამის გარდა, თვეში ერთხელ, როგორც წესი, ცენტრიდან კაგებეს გამოძიებელი ჩამოდიოდა და რაღაც დაკითხვებს უწყობდა, რაც საშინლად მტანჯველი და საერთოდ გაუგებარი იყო მისთვის. დასკვნა კი ერთი შეიძლება გამოგეტანათ ამ ყველაფრიდან – მას ადრე თუ გვიან აუცილებლად დააპატიმრებდნენ.

და აი, დადგა 1951 წლის გაზაფხული და ვალოდიას მტანჯველ მოლოდინს ბოლო მოელო – იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს ჩრდილოეთ ყაზახეთში. სასამართლო არც ახლა გამართულა. ყველაფერი მის გარეშე გადაწყვიტეს. საოცარი, რომ ყველა მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მოვლენა მის ცხოვრებაში გაზაფხულზე ხდებოდა. ორი წელი დაჰყო ვალოდიამ გადასახლებაში და – კვლავ გაზაფხული, 1953 წლის მარტი.

გარდაიცვალა სტალინი. სტალინის თანამდებობა მალენკოვმა დაიკავა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ რეალური ძალაუფლება ბერიას ხელში იყო, სანამ მასაც არ მოუწყვეს შეთქმულება და არ დახვრიტეს. დახვრეტამდე ბერიამ მოასწრო და გამოსცა ამინსტია ყოფილ ტყვეებთან დაკავშირებით. ვალოდია კვლავ დაუბრუნდა ოჯახს, თავის სოფელს.

1956 წლის აპრილში, ისევ გაზაფხულზე, ვალოდია კვლავ დააპატიმრეს და ძირითად ბრალდებად სწორედ პარტიზანებთან გერმანელების დავალებით შეღწევის მცდელობა წაუყენეს; და რომ პარტიზანებმა იგი „გამოფრეს“ და დახვრეტა მოუსაჯეს. და რომ მან, ვლადიმერ ვალესკიმ, ორი პარტიზანი, რომლებსაც დახვრეტული ჰქონდათ მისი დახვრეტა – მან, ვალოდიამ! – დახოცა. ერთი მათგანი მდინარიდან ასიოდე მეტრის მოშორებით იპოვეს დაცხრილული, მეორე კი, თურმე ისიც დაცხრილული, ვალოდიას იმ ადგილიდან წაუთრევია და მდინარეში გადაუგდია. მისი გვამი დღემდე ვერ უპოვნიათ. როგორც ჩანს, იგი ან თევზებმა შეჭამეს, ან მდინარემ სადღაც გამოიყვანა და მგლების ლუქმა გახდა. ყველაფერ ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ ამბების მერე ვალოდია კვლავ გერმანელებთან მოხვდა და მათ მხარეს იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, სანამ საბჭოთა კავშირის მაშინდელ მოკავშირეებს, ინგლისელებს არ ჩაუვარდა ტყვედ. ყველაფერი ეს ფიგურირებდა სასამართლოს განაწყვეტილებაში, რომელიც ამჯერად ჩატარდა, პირველად ვალოდიას ცხოვრებაში, და სასამართლომ მას სასჯელის განსაკუთრებული ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. საქმე ის არის, რომ ამ წლებში საბჭოთა კავშირში დახვრეტა კანონით გაუქმებული იყო, მაგრამ მას, როგორც განსაკუთრებით სამიშ სახელმწიფო დამნაშავეს, სამშობლოს გამყიდველს, მოღალატეს და გერმანელების ჯაშუშს, დივერსანტს, ეს სასჯელი არ გუხნეს.

რვა თვის განმავლობაში ვალოდია დასახვრეტა საკანში იმყოფებოდა. რვა თვე ელოდა სიკვდილს, სანამ ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელიც პირისსხლიანი სტალინის საპირისპიროდ „დემოკრატიზაცია“ თამაშობდა, არ შეინყაღა და დახვრეტა 25-წლიანი პატიმრობით შეუცვალა. ვლადიმერ ვალესკი მორდოვეთის პოლიტიპტიმართა საკონცენტრაციო ბანაკში იხდიდა სასჯელს. წელიწადში ერთხელ მასთან სამდღიან პაემანზე ირინკა ჩამოდიოდა, ასევე წელიწადში ერთხელ 3-საათიან შეხვედრაზე ირინკა და ლენოჩკა ერთად ჩამოდიოდნენ. ვალოდიამ ლაგერში ხარატის სპეციალობა შეისწავლა და 20 წელიწადში ისე დაოსტატდა, რომ მის მიერ გამოჩარხული დეტალი იდეალური იყო. მას ხშირად მიმართავდნენ „ლაგერის“ თანამშრომლები, ზედამხედველები და თვით „ლაგერის“ უფროსებიც კი, თუ რაიმე დეტალი სჭირდებოდათ საკუთარი მანქანისათვის ან სხვა დანადგარისათვის.

ვალოდია წლებს ითვლიდა. ოცდამეცამე წელი იწურებოდა. ირინკა და ლენოჩკა უნდა ჩამოსულიყვნენ სამ-საათიან პირად პაემანზე, მაგრამ არ ჩანდნენ. ასე გავიდა თითქმის ოთხი თვე. ერთ დღეს, როცა ვალოდია სამუშაო ზონიდან ახალი შემოსული იყო, ზედამხედველმა მოიკითხა.

– მსჯავდებულო ვალესკი, წამოდი პირად პაემანზე!..

თითქმის დაკარგული ჰქონდა იმედი, რომ ჩამოვიდოდნენ. რაღაც ცუდი წინათგონობა აწუხებდა. ირინკასა და ლენოჩკასთან წინა პაემანზე რაღაც იქცა, მაგრამ თავს არ უტყუდებოდა. ამიტომ ახლა დაბნეული შეჰყურებდა ზედამხედველს.

– მეე?..

– ჰო, შენ! ვლადიმერ ვალესკი ხომ შენ ხარ?..

– ახლავე, უფროსო, ორ წუთში გამოვალ. ვალოდია ბარაკში შევიდა. პაემანისთვის აუცილებელი ატრიბუტები აიღო და ზედამხედველს გაჰყვა.

ვალოდია პაემნის ოთახში იმ იმედით შევიდა, რომ იქ ირინკა და ლენოჩკა იქნებოდნენ, მაგრამ მარტო ლენოჩკა დახვდა.

– გამარჯობა, ლენოჩკა!

– გაგიმარჯოს, მამა. როგორ ხარ?..

– ვარ, ვცხოვრობ, თუ ამას ცხოვრება ჰქვია, გელოდებით. ოთხი თვე გადასცილდა პაემნის დროს...

– მამა, – გაანწყვინა ლენოჩკამ. – არ ვიცი, როგორ გითხრა, დედა...

– რა, რა დემართა დედას?

– გათხოვდა. მეზობელი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე დიდი ხანია, გადაკიდებული იყო. სულ კუდში დასდევდა. ვერ გეუბნებოდით, არ გვიხდოდა, გული დაგწყვიტოდა, მაგრამ როდემდე უნდა დაგიმალოთ?!

ვალოდია დიდად არ გაუკვირვებია ამ ამბავს.

– კი, მაგრამ, მე ხომ თავიდანვე ვეუბნებოდი, ირინკა, გათხოვდი, მე შეიძლება ცოცხალი ვერ დაგბრუნდებოდა. თუნდაც ცოცხალი დავრჩე, ოცდახუთი წელი მელოდო, ცოფვა ხარ-მეთქი. რა იყო?.. ახლა მოეგო გონს?

ლენოჩკამ უთხრა, ამ ექვსი თვის წინათ როგორ გამოიძახეს ის და დედამისი სოფლის კაგებეს რწმუნებულთან და მკაცრად მოსთხოვეს, ყოველგვარი კავშირი გაენწყვიტათ „ვლასოველ“ ვალდისათვის. რესპუბლიკის კაგებეს სამი თანამშრომელი იყო ჩამოსული მათ პატარა სოფელში ამ „საქმისთვის“.

– კი, მაგრამ, რატომ? – განაგრძო ვალოდია. – ახლა ხომ არც 30-იანი წლებია, არც 40-იანი. 70-იანი წლებია. აკი, „რაზრიადკო“, ჰელსინკის კონფერენციითა და ათასი რაღაც, რითაც თავს იწონებენ ჩვენი მთავრობის მესვეურები. რა უნდათ ჩემგან...

\*\*\*

– აი, ასე, ბატონებო, ესაა მთელი ჩემი ცხოვრება. დავრჩი ასე მარტოდმარტო. ახლა, წელიწად-ნახევარში თავისუფლებზე გასვლა მიწვეს. სად წავიდე ან რისთვის წავიდე?!

ასე დაამთავრა ვლადიმერ ვალესკიმ, „ვლასოველმა“, თავისი თავგადასავლის თხრობა დისიდენტებთან, რომლებიც დიდი ინტერესით და თანაგრძნობით უსმენდნენ. პირველი პარტიზანი ჰაირიკიანი წამოდგა სკამიდან, მიუახლოვდა ვალესკის და მხარზე ხელი დაადო.

– ნუ დარდობთ, ვლადიმერ ანდრევიჩი, ჩვენ ხომ თქვენთან ვართ... მე მგონი, ჩემი მეგობრები დამეთანხმებიან.

თანხმობის ნიშნად ყველამ თავი დააქნია.

– რა თქმა უნდა, ვლადიმერ ანდრევიჩი, – სიტყვა ჩამოართვა კუზმა საეციკიმ. – ბოლოს და ბოლოს, ჩემთან წამოდი. მე ერთ წელიწადში ვთავისუფლებები. ჩამოდი იმიერკარპატის უკრაინაში – კარგი სოფელი, კარგი ხალხი და იცხოვრეთ თქვენს გემოზე.

– მეც მალე უნდა გავთავისუფლდე, – საქმეში ჩაერია იმედაძე. – ჩამოდი ჩემთან, საქართველოში.

– ვლადიმერ ანდრევიჩი, – დაიწყო ორლოვმა. – ჩვენ აქ, ყოველ შემთხვევაში მე, პოლიტიპტიმრები კი არა... არა, პოლიტიპტიმრები თავისთავად, მაგრამ ძირითადად ადამიანის უფლებათა დამცველები ვართ. ვლადიმერ ანდრევიჩი, თქვენს თავგადასავალს, რა თქმა უნდა, თუ თქვენი თანხმობაც იქნება, „იმედინარე მოვლენათა ქრონიკაში“ გავუშვებ და თქვენ შესახებ მთელი მსოფლიო შეიტყობს.

– ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი...

\*\*\*

ვალოდია სახარატე ჩარხთან დგას და დეტალს ჩარხავს. სახეზე ნეტარება ახატია. ეტყობა, მოსწონს თავისი საქმიანობა. სამუშაო ზონის ამ სამუშაოში სხვა პატიმრებთან ერთად ვალოდიაც მუშაობს. მათ, რა თქმა უნდა, პატიმრის სპეცტანსაცემელი აცვიათ. საამქროში ზედამხედველი შემოდის და ვალოდიას უახლოვდება.

– ვალესკი, სასიხარულო ამბავი უნდა გამოცნო, მაგრამ არა, არ გეტყვი. ბანაკის უფროსი გიბარებს. წამოდი, იქ შეიტყობ.

– შემოდი, ვალესკი, დაჯექით. – მიმართა ბანაკის უფროსმა ვალოდიას. – ასეთ შემთხვევაში ჩვენ პატიმრებს არ ვიბარებთ, მაგრამ თქვენი შემთხვევა განსაკუთრებულია. თქვენ სხვა პატიმრებისაგან განსხვავებული ხართ. ამიტომ წესი დავარღვიეთ. იმედა, არ დაგვსჯიან, – ბანაკის უფროსი შესწორდა, სკამის საზურგეს მიანვა, თითქოს საზეიმოდ შეიმართა. – ვლადიმერ ანდრევიჩი ვალესკი, თქვენ თავისუფალი ხართ, გილოცავთ! აი, – ხელში ფურცელს ააფრიალებს, – შენი განთა-

ვისუფლების ბრძანება დღეს დილით მოვიდა! ჩვენ ჩვენი მხრიდან გომამდგომლეთ, დადებითი დახასიათება გავაგზავნეთ. არ გაყვედრიოთ, ალალია შენზე.

ვალოდია შეცბუნებულია და დაბნეული დგას ბანაკის უფროსის წინ. ერთხანს ჩუმად არის, ხმას არ იღებს. მერე ტირილს იწყებს, სლუკუნებს...

– არა... მე არ მინდა... არ-აა!

ბანაკის უფროსი სკამიდან წამოდგება, მიუახლოვდება ვალოდიას, მხარზე ხელს ადებს...

– ეს, ალბათ, სიხარულის ცრემლებია...

კაბინეტიდან გამოსული ვალოდია კართან ჩერდება, ადგილიდან არ იძვრის. ხელში გათავისუფლების ფურცელი უკავია.

– რა მოგივიდა?! – ეკითხება ზედამხედველი, – გაიარე!

– ჰა... – ვალოდია ორ ნაბიჯს წადგამს წინ.

– რა მოგივიდა, ვერ გაიგე, რა გითხრა? თავისუფალი ხარ, თავისუფალი! წამოდი!

– რად მინდა, რომ თავისუფალი ვარ, აქა-ურობის გარდა ნასასველი აღარსად მაქვს. სად წავიდე?.. ან კი რომ წავიდე, ხვალ ისევე დამაპატიმრებენ. არ მინდა თავისუფლება! – ბანაკის უფროსის კაბინეტისაკენ იწევის. – შევალ, ვთხოვ, იქნებ ზონაში დამტოვოს.

– არა!.. – ზედამხედველი ვალოდიას ზურგში უბიძგებს. – არ შეიძლება, უნდა წახვიდე. ბრძანება ბრძანებაა!..

\*\*\*

ბარაკში შესულმა ვალოდიამ თავისი მწირი ნივთების შეგროვება დაიწყო. ბევრი არაფერი ჰქონდა.

ზედამხედველი ვალოდიას ციხის კართან მიიყვანს, ადებს ბანაკის კარს, ჭრიალით გასწევს ურდულს. ბანაკის კარი იღია...

ვალოდია ბანაკის კარის წინ არის ჩაცუცქული. ღამდება. თოვლნარევი წვიმა მოდის. თოვლწყაპია. ვალოდიას აწვიმს და ათოვს, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. ბოლოს ბუშულატს მაგრად შემოიხვევს ტანზე, ტოპრაკს ძირს დადებს და ზედ მიწვება.

\*\*\*

თენდება. ჭრიალით იღება საკონცენტრაციო ბანაკის კარი. გამოდის დიდი სატირთო მანქანა, რომელსაც ბანაკის მორიგე თანამშრომელი აცილებს. როდესაც მანქანა ბანაკის მიმდებარე ტერიტორიას გაცდება, მორიგე კარების დაკეტვას აპირებს, რომ ტოპრაკზე თავმიდებულ ვალოდიას შენიშნავს. ჩერდება. უყურებს. მერე დიდი ალყაფის კარს შეიგნის და კეტავს. ცოტა ხნის შემდეგ ჩვეულებრივი შესასვლელი კარიდან გამოდის ორი სხვა თანამშრომლის თანხლებით. ისინი ვალოდიას უახლოვდებიან.

– ეი, თქვენ... რომელი ხართ?..

– პასუხი არ ისმის.

– მე მგონი, ეს ის არის, გუშინ რომ გავთავისუფლეს, – ამბობს ერთ-ერთი და ვალოდიას უახლოვდება. შემდეგ დაიხრება და ხელს ჰკიდებს. ვალოდია არ იძვრის. თანამშრომელი კისერზე დაადებს ხელს.

– მკვდარია... – ამბობს მშვიდად. ვლადიმერ ვალესკის გული გაუჩერდა.

**ეპილოგი:**

ამ მოთხრობაში, რომელსაც ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად, პერსონაჟების უმრავლესობის სახელები და გვარები შეცვლილია. რატომ დავწერე ეს ამბავი თითქმის 40 წლის შემდეგ? ერთი შეხედვით, თითქოს აქტუალობა დაკარგული უნდა ჰქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. მოკლევადიანი ილუზორული წყვეტის შემდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, „ბოროტების იმპერიამ“ კვლავ მოიკრიბა ძალ-ღონე. იგი დღესაც ანადგურებს ადამიანების „ბედნიერებისკენ სწრაფვას“ და ყველაფერს ნალექით ეშუქება.



ახალგაზრდა მარი კაპანსკი





სირა შალაშვილი

Multim in parvo

სულ ცოტა ხნის წინათ ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მკითხველს მიანოდა სირა შალაშვილის ახალი პოეტური კრებული სახელწოდებით (მ)ცირულები.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, წიგნში შესულია ფორმით მცირე - და უმცირესიც კი - ლექსები. ფორმატიც შესაბამისია, ჯიბით სატარებელი...

წარმოდგენილი სალექსო ფორმა, გარკვეული მოსაზრებით, თითქოს უახლოვდება იაპონურ „ტანკას“, თუმცა მაინც ინარჩუნებს იშვიათ ინდივიდუალობას და თავისთავადობას, შეიძლება ითქვას, მასთან პარალელურ რეჟიმშია.

ქართული სალიტერატურო სივრცისათვის ეს სალექსო ფორმა შეიძლება მოულოდნელი არაა, მაგრამ საინტერესო ნამდვილად არის. სტრიქონთა რაოდენობა აქ 3-5-7-ით განისაზღვრება, თუმცა არის გამონაკლისიც. მაგ. ერთსტრიქონიანი, რომელიც, ასოციაციის კანონს თუ გავითვალისწინებთ, იმდენ სათქმელს აერთიანებს, რამდენსაც მკითხველის ფიქრიანობა იტევს.

მაშ, ასე - (მ)ცირულები, ანუ, როგორც ლათინები იტყოდნენ - Multum in parvo - ბევრი მცირე!

უფრო მეტს ამ ახალი კრებულის ნაკითხვის შემდეგ გაიგებს და იგრძნობს მკითხველი. დღეს წარმოგიდგინთ რამდენიმე (მ)ცირულას ამ წიგნიდან:

საქაჩხვო ხაჩათი

როცა მოგებზრდება ზევიდან ქვევით სირბილი, წვიმაც, შემოდი ჩემთან!

\*

ატორტმანებულ ზღვაზე, როგორც

აფრის აშვება, მიყვარს ხანდახან ბედისწერასთან გათამაშება!

\*

ისე ფარფატებს სული სხეულში, როგორც წყვდიადში - ციცინათელა!

\*

ადამიანებს დაავიწყდათ ცისკენ ახედვა და - ცა - ღრუბლების ამარა დარჩა!

\*

ფრთხილად იარე-მეთქი, მგზავრო, ქართულ მინაზე! - ბალახქვეშ ჩვენი უამუქმარი წარსული ცხოვრობს!

\*

ჩემს გაჩენამდე გადაწყვიტეს სუყველაფერი - სხეული - მინას, სული - ზეცას - მე - არაფერი!

\*

ხანდახან ლამის მარტოობით სავეც ცა ჩემთან ჩუმად შემოდის და მშვენიერ თავს მხარზე მაყრდნობს...

\*

შენ ისევ ის ხარ, საპოვნელა - ეძებ და ეძებ! მე შევიცვალე - რა ხანია, ვლოდინობ მხოლოდ.

\*

თუ არც აბელად, არცა ქრისტედ, არცა იოზად! - რაღას ესწრაფვის, ასე უწინთ, ასე ველურად, ეს - დედაკაცის ფეხებშუა გამომძვრალი კაცობრიობა!

\*

მოგეყრდნობოდი! - ზოგჯერ ფრენით იღლება ჩიტიც, მაგრამ, არ ვიცი, მხარქვეშ როდის გამომეცლები...

\*

ძველი აივნის ხის კიბეზე მონყენილობა ზის და წვიმისფერ მარტოობას ეჩურჩულება...

\*

ყოფნა ამქვეყნად, რაც უნდა ქმნაო - ეკლესიასტემ - არის ამაო... - ისე იარე მინაზე, თითქოს ღვთის ხელისგულზე დაბრძანდებიო - მამაო...

\*

ცა ისე ახლოს იყო, ისე ისე ახლოს... ფეხის წვერებზე აინია უშბა...

ნოე

ვიძირები არსებობის წარღვნაში და მივძახი კიდობანში ნოეს: - შენს არჩეულ ცხოველებში რომ ზიხარ, დასასრულობად ვის იმეტებ, - პოეტს?

სიყვარული

ისე ერთბაშად დაიკავა ჩემი ფიქრის ყველა კუნჭული - მე გარეთ დავრჩი.

\*

მინიდან მინამდე და ციდან ცამდე, გზაში დაკარგული შემერთალი შევედექ, მზის სხივს შერჩენილი წვეთი პანანინა მიღმის - ჯერ კიდევ შორია მზემდე?

\*

რა არ მოუვა ზოგიერთს თავში! - რა უნდა პოეტს ხელმწიფის ნაშვი?!

\*

იქ, წინამურთან, სადაც გუშინ მოჰკლეს ილია, დღეს სახინკლეს და ბრბო უამით კმაყოფილია.

\*

რად უბრალოობ, სტუმარო, ძლივს გამჩნევთ ირგვლივ მყოფებში! - არ შეგანუხებთ, მე მხოლოდ გავლით ვარ წუთისოფელში!

\*

სადაც, შორიდან, მიღმის ფრანა, სულ ახალივით რომ არომატობს, - ლექსები მე დავენერე და პატივი სხვას ერგო - ვერგილიუსმა და აბა, მე რაღა უნდა დავამატო!

მიტოვებული სხელი

ამოირბინა ბალახმა კიბე და ფანჯარაში რომ შეიხედა, - გაქვავდა! - ისე იყურებოდა კედლიდან ჩუმი ლოდინით, დედა...

მონაწილე

სულაც არ გამიკვირდება ახლა, ქარმა რომ ხელში აიტაცოს მთელი ქალაქი და სადმე - შენს ახლო ჩამოსვას.

\*

მგონია ხოლმე, - საქართველო ჩემი შვილია, კალთაში მინეცს და სიცხიან თვალებს ვუკოცნი.

გზაფხული

სასწრაფოდ უნდა გავიქცე კახეთში! - სადაცაა, მერცხლები მოფრინდებიან და - დედაჩემი რომ აღარ დახვდებათ, - რა უნდა ქნან!

\*

წვიმის ჩურჩულმა გამაღვიძა შულამისას და - შენ მეგონე, ისე იგდა ატუზული სიჩუმე კართან.

ყვავილობის ბზნაში

ჩემს თავს მე თვითონ ვყიდულობ ყვავილს - დაებერებულვარ!

საყითრება

ისე ისაკუთრებენ ზღვას და ხმელეთს ყოფითა, თითქოს აღარასოდეს წავლენ წუთისოფლიდან - შენ მეგონე ჩემი და - შენც - ვიღაცის ყოფილხარ!



ლელა ლაგაზიძე

შაშვი

მზე ამოვა და დედამინა დაიწყებს ლოცვას. იფრქვევა ირგვლივ ბალახების კეთილსურნელი.

შენ გალობ, შაშვო, ცისფრად გაშლილ გლიცინიებთან. თუ ცა მოიწყენს, გადაქარგავს მინას ცრემლებით, ისევ შენ მიხმობ, გალუმპული, იასამანთან. თეთრი ნისლი, შენ რომ დაგყვება, დობილია თითქოს სევდისა. გიცქერი - ხეზე, თვალწარმტაც ბაღში - როგორ დაეძებ სიყვარულის ჯადოსნურ ყვავილს, მე რომ მომიძღვნა. ხანდახან ვფიქრობ, ასე გულწრფელად, გრძნობით რომ მიმღერ, შავ ჩოხაში გამონყობილო,

ათასი წლის წინ ეგებ სატრფო ვიყავი შენი, თავდავიწყებით შეყვარებული...

სლოტბა

დასავით მიყვარს ეს ალუბალი - ბავშვობიდან ჩემთან შეზრდილი. აყვავებული უწვდის რტოებს - აპრილ-მაისებს, სინათლისა და სხივის მძებნელი. ეტრფის ქარებს და თეთრ მინაქარს ატანს სახსოვრად. ზაფხულში მზეა მისი რჩეული. ჩამოიკიდებს ძონის საყურეს, დგას მშვენიერი, აალეზული... დაენაფება სისხლისფერ ნაყოფს ჩიტების გუნდი. შემოდგომობით მზის მიღევით ნალველშეყრილი, კრთის და ლოცულობს, ფერნამკრთალები, წვიმას იპკურებს წმინდა წყალივით, ყვითელ ფოთლებს კი ცის კაბადონს უნთებს სანთლებად მიძინებისთვის კვლავ განწირული.

ქარი

გადარეული დაქროდა ქარი, გაზაფხულის წვიმებით მთვრალი. გრძნულ პანივით მთელი ღამე უკრავდა ბარბითს ძენის რტოებით. მერე მოხიბლა მთვარის ნათელმა, შეჩერდა წამით, ჩაეძინა იასამანთან ვერცხლისფერი მოსასხამით, ფრთიანი ქუდით ... თრთოდა, ელოდა, ბალის ბალახში გაფანტული ყვავილთა გუნდი ქარის ნაბიჯებს,

როგორც მბრძანებელს - უტურფესი ხარჭათა დასი.

ბაქოსხის სურნელი

გაზაფხული ალვანს მახსენებს - მამა ეზოს თიბავს, ირგვლივ ტრიალებს მოცელილი ბალახის სუნი. იელვებს, ცა იწყებს წვიმას, სახლის კუთხესთან წვიმით გალუმპული მახისის ვარდიდან შარბათივით ვისრუტავ ცვარს. ვერცხლისფრად ბზინავს ლოკოკინას კვალი გოგრის ფოთოლზე. ცვივა უსამინის ყვავილები პატარა თეთრი ნიჟარებივით. აივანზე სველდება ოფოფის ბუდე, მოერეკება მეჯოგე შოლტის ტყლაშუნით ალაზნიდან ცხენების რემას. წვება საღამო ციცინათელების მობარბაცე ნათელით, ბაყაყების შორეული მოძახილით.

წვიმის ასული

მთელი ღამეა, ხმაურობს წვიმა... თითქოს მინდვრებზე მოცეკვავე წვიმის ასული მოაწკრიალებს ვერცხლის დაირას, მოაშრიალებს მარამაის კაბას, ჩასძინებიათ ყვავილებს და ჩიტებს ბუდეში. ის კი კვლავ მღერის. ისე მაგონებს გარდასულ დღეებს, სინაზით სავესს, ლამისაა, გავალო კარი, როგორც დობილი, მონატრული, შინ შემოვუშვა,

დაკვიდო ყელზე სიყვარულის წრფელი ცრემლები - მოგონებათა ჩუმი მცველები...

ხამოტი

ჩამოდი, ისე მენატრები, ისე მარტო ვარ, ტყეებს ესტუმრა ფოთოლცვენის ნაზი ნაღველი. ჭკნება, ქარს მიაქვს ვარდის ხავერდი, ცაცხვის რტოებზე წვიმის თეთრი მძივები ცვივა. აღარ უგალობს მენყვილეს შაშვი, კალთააკეცილ კუნელის ბუჩქებს გიშრის ფერი აქვთ ახლა თვალები, ტყის ბილიკებზე შრიალებს წვიმა. ჩუმი ოხვრით შიშვლდება ნაბლი. მომჩვენება უამრავი კელაპტარი აუნთია ტყის სულს სამხვეწროდ - ისე კიაფობს ტყის პირებზე ასკილის ვარდი.

ძვირფასი სხელი

ზამთრის სევდისგან დაბინდულ ბაღში დაძრწოდა ქარი, კვენსოდნენ ხეთა ხმელი ტოტები. კვლავ მყუდრო იყო, საიმედო, ძვირფასი სახლი - წარღვნისას წყალზე მოტივტივე კიდობანივით. თრთოდა ოთახში ვაშლის სურნელი, ბროლის სირჩაში - ზურმუხტისფერი პიტნის ნაყენი. ბუხართან ახლოს სანთლის მკრთალ შუქზე ფურცლავდა შელის, ცისფერი ლექსის ჩურჩულის მიღმა ესმოდა, როგორ ტიროდა ქარი, სარკმელთან მდგარი. „აღბათ, მარტოა და მონყენილი, ეგებ, გავიდე, მოვიწვიო ფინჯან ჩაიზე,“ - ფიქრობდა ქალი...



### ბუბაზ მებრალიძე

ჩვენში ნიგნები მრავლად გამოდის. საგამომცემლო ბუბი ალარავის უკერს. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი პოზიცია გამოვხატა და მკითხველის ყურადღება მიმეპყრო ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცემაზე – ეს არის ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორ რევაზ ბალანჩივაძისა და ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორ დიანა ტყეშელავას მეტად საყურადღებო ერთობლივი ნაშრომი „კრიტიკული აზროვნების საფუძვლები“ (გამ. ინტელექტი, 2020), რომელიც ძირითადად ურნალისტიკისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ არც სხვა პროფესიების წარმომადგენლებს აწყენთ მისი გაცნობა. ქართულ მასშტაბში უხვად გვაქვს კრიტიკული გამოსვლები, რომლებიც, სამწუხაროდ, აზროვნებისგან შორს დგას. დღეს „კრიტიკად“ მიიჩნევა პირადი ლანძღვა-გინება და, რაც მეტად ამკობენ „მოკამათები“ ერთმანეთს, თავი მით უფრო „მაგარი“ მოპაექრები ჰგონიათ. სამწუხაროდ, დაკარგულია ნამდვილი კრიტიკული აზროვნება, ინტელექტზე, ცოდნასა და ერთმანეთისადმი პატივისცემაზე დამყარებული. ეს განსაკუთრებით ჩვენს „რჩეულ“ პარლამენტზე ითქმის, სადაც ქვეყნის განვითარებაზე ფიქრის ნაცვლად, ერთმანეთს ნიშნის მოგებით, შეურაცხყოფილი ტონითა და, რაც მთავარია, მეტწილად უაზრო, დემაგოგიური გამოსვლებით კმაყოფილდებიან. ტელეეკრანებიდან კი ვხედავთ და ვისმენთ საკმაოდ პრიმიტიულ მსჯელობას, არალოგიკურ დასკვნებსა და ტენდენციურ, ცალმხრივად წარმოდგენილ გამრუდებულ სინამდვილეს. ამას ემატება მეტყველების კულტურის არქონა, პრობლემების სერიოზული განხილვის უუნარობა. ამიტომაც მაყურებელს ნანახ-გაგონილიდან აზრის გამოტანა უჭირს – ან რა გაიგო, ან რატომ დაკარგა მთელი საღამო ტელევიზორთან?

ამიტომაც მნიშვნელოვანი მგონია ამ ნიგნის პრაქტიკული დანიშნულება – ის ბევრს ჭკუის სასწავლებლად გამოადგება, მით უმეტეს, როდესაც დღევანდელ გახსნილ საზოგადოებას, ადამიანის უფლებებში გათვითცნობიერებულ და დემოკრატიისთვის მებრძოლ საზოგადოებას მართლაც მოაზროვნე სპეციალისტები სჭირდება. ამიტომაც, ნიგნში თეორიული მსჯელობა მასმედიის პრაქტიკასთანაა გაერთიანებული. კრიტიკული აზროვნების საფუძვლად მედიის შემოქმედებითი მხარეა მიჩნეული, რაზედაც არის დამყარებული განსჯა, როგორც ქვეყნის განვითარების საფუძვლები. აქედან გამომდინარეობს კამათის ლოგიკა და ეთიკა. ავტორები ცდილობენ ასხანან, თუ რა სხვაობაა პრაქტიკულ, ხატოვან და ცნებით აზროვნებას შორის, რა სპეციფიკით უნდა გავარჩიოთ კრიტიკული, კრეატიული და ლოგიკური აზროვნება. ნიგნი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ უმაღლეს სასწავლებლებს არა აქვთ ერთიანი სახელმძღვანელო და არც სპეციფიკური სასწავლო პროგრამა. ამიტომაც უნივერსიტეტებში ლექტორები ინდივიდუალურად შედგენილ, შინაარსობრივად განსხვავებულ, დარგობრივად დანაწევრებულ კურსს კითხულობენ. ავტორთა აზრით, კრიტიკული აზროვნების დასაბუთება ფილოსოფიის, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მონაცემთა ერთობლიობაა, რაც აფართოებს ადამიანის მსჯელობის ჰორიზონტს, რაც მსჯელობის დასაბუთებას მყარ საფუძველს უქმნის და ხელს უწყობს პოზიციის გამოკვეთას. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია კრიტიკული აზროვნების პრაქტიკული დანიშნულება, სადაც რამდენიმე მოპაექრის განსხვავებულ პოზიციას და დამოკიდებულებას შორის მხოლოდ ერთს უნდა მიეცეს უპირატესობა, მაგრამ როგორ და რა ხერხებით? ავტორები სწორედ ამის გარკვევის გზებს გვთავაზობენ და კრეატიულ, ანუ შემოქმედებით აზროვნებას ანიჭებენ უპირატესობას, რისი წყალობითაც ადამიანი კულტურულ ფასეულობებს ქმნის (მაგ. მხატვრული ნაწარმოები, ნახატი, მუსიკა, სკულპტურა, გამომგონებლობა, ტექნიკური სიახლეების დანერგვა და სხვა). თეორიული ნაწილის შემდეგ ავტორები გვთავაზობენ კრიტიკული აზროვნების პრაქტიკული

გამოყენების მაგალითებს დებატებსა თუ დისკუსიებში, რაც კამათის ხელოვნების შეთვისებისკენაა მიმართული, ეს კი გულისხმობს მჭევრმეტყველების ხელოვნების დაუფლებას. ამიტომაც ნაშრომში მოყვანილია ქართული რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და მნიშვნელობა ამ გამოცდილების გამოყენებისა თანამედროვე სინამდვილეში.

ამ კატეგორიების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ურნალისტიკა, უპირველესად, ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. მოაზროვნე ურნალისტიკა თაობის აღზრდა განაპირობებს ინფორმაციის შემოქმედებითად გააზრებას და საკუთარი თვალთახედვით (მეტ-ნაკლები ობიექტურობით) მაყურებელმდე მიტანას. ასეთი პოზიცია



## საზოგადოებრივი პნიშვნალოვანი უნაპენი

სასარგებლო იქნება პოლიტიკურად და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. ამიტომ ურნალისტიკის ფუნქცია გაცილებით დიდია, ვიდრე დღეს წარმოდგენილია. ქართული ურნალისტიკის დაკნინება არაპროფესიულმა მიდგომამ განაპირობა: ჯერ კანონიდან ამოიღეს პროფესიონალი ურნალისტიკის ცნება და ის ურნალ-გაზეთებში, ელექტრონულ მედიაში შემთხვევით დაბეჭდილ „ავტორებს“ გაუთანაბრეს (ამ პროექტის ავტორი თავის დროზე გიგა ბოკერია ვახლდათ). სამწუხაროდ, არაერთი ფიქრობს ამ საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორებას. ამას გარდა, არაპროფესიონალთა მოჭარბება ტელე-რადიოკომპანიებში, სადაც ნაცნობ-მეგობრობით ან შემთხვევით მოხვედრილი, სხვადასხვა პროფილური დიპლომით „აღჭურვილი“, ინტელექტსა და განათლებას, ზოგად აზროვნებას მოკლებული ახალგაზრდები არიან. ამიტომაც ვისმენთ არასწორ მეტყველებას, დიქციას, გრამატიკულად გაუმართავ ნინადადებებს, უაზროდ გამოყენებულ სპეციფიკურ ტერმინოლოგიას. პროფესიულ უნარ-ჩვევათა უკლებლყოფითი საქართველოში ურნალისტიკა ძალიან იოლია და ამიტომაც შეიქმნა ურთულესი ვითარება, რაც არავის ანუხებს და არც გამოსავალს ეძებს ვინმე. ამიტომ ჭარბობს აგრესია, იარღიყების დაუმსახურებლად მიწებება, აღარაფრად უღირთ ადამიანის განქიქება, შეურაცხყოფა. მივინებებოდა ადამიანის უფლებების დაცვა – ადამიანს დაუფიქრებლად წარმოადგენენ დამნაშავედ, თუმცა მისი დანაშაული ჯერ დადგენილი არ არის. ამას ემატება აგრესიული ხასიათის საზღვარგარეთული კრიტიკული შინაარსის ფლემები, სადაც რეკლამა ენება მკვლელობებს, ციხის ცხოვრებას, სექსუალურ მანიაკთა ამბებს, გაუკულმართებელი სექსის პროპაგანდას, რაც რეალურ ცხოვრებაში დანაშაულის ზრდასა და ახალგაზრდობის დაუნდობლობაში, სიასტიკეში გამოიხატება, რისი მაგალითებიც, სამწუხაროდ, მრავლად გვაქვს.

ამიტომაც ცნობილი ფრაზა – ურნალისტიკა მეოთხე ხელისუფლებააო, – დიდი ხანია, რეალობას აღარ შეესაბამე-

ბა, ვინაიდან, ურნალისტიკა მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ის ხელს უწყობს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ განვითარებას. მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულებით დანახული სუბიექტური სამყაროთი კი ქვეყნის აღმშენებლობა შეუძლებელია. სამწუხაროდ, ამას არ ითვალისწინებს თანამედროვე ვაიურნალისტიკა. ამიტომ ავტორები ყურადღებას ამახვილებენ არისტოტელესეულ აქსიომაზე – სიმართლის დამკვიდრება სიკეთის სახელით, ვინაიდან კრეატიული აზროვნება თვითმიზნური კრიტიკა არ არის და არც გამოვა, თუ ურნალისტი პროფესიულობითა და ზნეობით არ გამოირჩევა (რაც დღეს ასევე დავინწყებოდა). როცა სასურველი რეალობად საღდება, სიმართლე კი სუბიექტური პოზიციით იფარება, მაშინ მოვლენების პირუთენელი შეფასება შეუძლებელია და ადვილს იმკვიდრებს ფაქტების ყალბი ინტერპრეტაცია. ამიტომ ნიგნის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ურნალისტიკის შინაგან თავისუფლებაზე, გულწრფელობასა და პატიოსნებაზე, რის მაგალითადაც მოყვანილია კომუნისტური სისტემისგან ტრაგიკულად დაღუპული ურნალისტიკის, ნაზი შამანაურის დღიურები „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“, როგორც თავდადების, პრინციპულობის, პროფესიონალიზმის, პიროვნული სიმამაცისა და გმირობის განსახიერება. ვფიქრობ, დღეს მეტად არის დასაფასებელი ნაზი შამანაურის ღვაწლი და სათანადო ღონისძიებებიც უნდა ტარდებოდეს.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთშეთავსებაზეც. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ქართულ

ურნალისტიკაში. ბევრი ურნალისტი თავისუფლებას თავაშვებულობად აღიქვამს და საკუთარი სინდისითა და მორალთა ზომავს. არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც ურნალისტიკის „პრინციპული სიმართლე“ მოდავეებს სასამართლოში გაუსაჩივრებიათ და პროცესი მოუგიათ კიდევაც. ამავ დროს, ურნალისტიკა არ უნდა უჭირდეს, ესირცხებოდეს საკუთარი პოზიციის სიმძლავრის გამოაშკარავება და ბოდიშის მოხდაც არ უნდა ეთავიკებოდეს. სწორედ ეს ვახლავთ პროფესიული და ზნეობრივი ურნალისტიკა, რომელიც ქვეყნის განვითარების საფუძვლებს ხელს. პრაქტიკაში კი ვხვდებით მხოლოდ საკუთარი „სიმართლის“ დაცვას, რომელსაც ობიექტური მტკიცებულება, არგუმენტი არ გააჩნია და მოსაუბრის პირად შეურაცხყოფას არ სცილდება. ნიგნში საინტერესო პოზიციაა გამოხატული „ყვითელი პრესის“ არაეთიკურ გამოხდომებზეც.

სამწუხაროდ, შეინიშნება ფაქტობრივი უზუსტობებიც. აღნიშნულია, რომ „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია დაიბრუნა 1817 წელს, 1942 წელს ეს ცნო რუსეთის ეკლესიამაც...“ (გვ.202). სინამდვილეში უნდა იყოს: ავტოკეფალიის აღდგენის თარიღი – 1917 წელი, ხოლო 1943 წელი რუსეთის მიერ ცნობა. ნიგნში მოყვანილია მერაბ ბერძენიშვილის კრიტიკული წერილი აშშ-ის ელჩ ჯონ ბასისადმი. ასევე კარგი იქნებოდა კოტე მახარაძის წერილის გახსენება ვლადიმერ პუტინისადმი, აგრეთვე, კიტა ბუაჩიძის „შვი ნიგნი“ და მისივე წერილი რუსი მწერლის, ვიქტორ ასტაფიევისადმი, სადაც ჩანს ავტორთა უკომპრომისო და საინტერესო პოზიცია, კრიტიკული აზროვნება და კამათის მაღალი კულტურა. ნაშრომს ახლავს მდიდარი საილუსტრაციო მასალა, ყოველ მოცემულ თემაზე თანდართულია სავარჯიშოები, პრაქტიკული დავალებები.

ვფიქრობთ, ეს შენიშვნები არ აკნინებს ამ ნიგნის მნიშვნელობას – ის სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს გაცნობს პროფესიული ურნალისტიკის აკვარგანიობას.

# ლაბირინთში

## „თუ ცხოვრება ორმხრივი სიყვარულით არ განაპირობებს, სჯობს, თავად გიყვარდეს“

ნანა გოგოლაშვილი, „ვიქნები თუნდაც ქამელეონი“, რედაქტორი ლელა კოდალაშვილი, ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო, თბილისი, 2020



ამ რამდენიმე ხნის წინათ, არცთუ ისე შემთხვევით, ხელში ჩამივარდა ქართველი მწერლის, ნანა გოგოლაშვილის ნიგნი „ვიქნები თუნდაც ქამელეონი“. რომანის პირველივე გვერდის ჩამთავრებისას აღმოჩნდა, რომ საქმე მაქვს ორმოცდაათს გადაცილებულ პერსონაჟთან, რომელიც ადრეულ ასაკში დაქვრივდა, ორი შვილი მარტომ გაზარდა და რომლის ამბავიც კითხვის პროცესში მრავალჯერ დამაღებინებს პირს და ასევე მრავალჯერ დამაფიქრებს იმაზე, თუ რატომ არ წერენ ლიტერატურას შემორჩენილი მწერლები ნახევარ საუკუნეს მიღწეულ ადამიანებზე, რომელთაც იმაზე მეტი აქვთ მოსაყოლი, ვიდრე ბევრ ჩვენგანს გვეგონია. ჰოდა, ფაქტი, რომ საქმე მაქვს ჩემზე დაახლოებით 30 წლით უფროს პერსონაჟთან, რომელიც სიყვარულს ჯერ კიდევ ახალგაზრდული თვალებით შესცივინდა და რომელსაც ჯერ კიდევ უნდა, რომ ასაკმა ვერ აჯობოს, გულს მიღრღნის, რადგან ვფიქრობ და არ მახსენდება, რომ ასეთი ამბავი ოდესმე ნამეკითხოს.

ხომ არის ნიგნები, განსხვავებულ თემაზე, თანამედროვეობისგან და კლასიკურობისგან ცოტა შორს რომ გამოგზაურებს და ფინალამდე არმისული შემოგვიძახებს, შე სულელო, აბა, რა გვეგონაო? მე რაც მეგონა, თურმე ისე არ ყოფილა. თურმე მართლა შესაძლებელია, რომ ადამიანს ნებისმიერ დროში უყვარდეს. რომ ასაკი მხოლოდ 20, 30 ან 40 წელი არაა. რომ რომანტიკა წლებთან ერთად არ კვდება. არც სხვა გრძნობა, არც ბავშვური სილაღე, არც თავგადასავლებისკენ ლტოლვა. არც ჭიქა ჩაი, თბილი პლედი, თავზე დაკოსებული სათვალე, თამაში შერეული ჭალარა და მუდამ სარწმუნო სავარძელი ჯდომია ასაკის განმსაზღვრელი.

ამ ნიგნში ყველაფერია, რაც ცხოვრებაზე დაგაფიქრებს კი არა, რეალურ სურათს წარმოგიდგენს. აქ სიყვარულია, უიმედო სიყვარული. გადაცვეთილი ღალატი, მეგობრის ერთგულება, ცოტა მათემატიკა და ცოტაც გრამატიკა, უფრო განსხვავებულ და ძნელად წარმოსადგენ ჭრილში. აქ არ უნდა ელოდო ახალგაზრდულ ვნებას, თინეიჯერულ დრამას და სხვა, თითქმის ყველა თანამედროვე ნიგნისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, რადგან ორი გვერდის გრძელად ნაკითხული და ან მიხვდები, ან ვერ მიხვდები, სად და რაში გაყავი თავი.

ჩემი ასაკის ადამიანებისთვის არაა მარტივი, რამდენიმე ათეული წლით უფროსი ქალის სიყვარულობანას უყურო და წარმოიდგინო, რომ ეს ყველაფერი არაეთეტიკური კი არა, რეალობაა, რომელსაც ხშირად გაუურბივართ, ხშირად კარს ვუკეტავთ და უფრო ხშირად გულში ვიმარხავთ, რადგან სო-

ციუმს მახინჯი წარმოდგენები მართავს და შენც, თუკი მისი ნაწილი ხარ, არაფრით განსხვავდები.

დატოვებ ყველანაირი მოლოდინი კარს მიღმა და ისე შეუდექით ერთი ქართველი ქალის ამბის გადაკითხვას. ასე თქვენთვისაც ბევრად უფრო მარტივი იქნება და თქვენი გონებისთვისაც, რადგან ჩვევად გვაქვს ადამიანებს, ერთი თავის ნაკითხვისთანავე სიუჟეტს ავაგებთ ხოლმე და სულ გვაგინებდა, რომ ჩვენივე ნაგები წარმოდგენები, შესაძლოა, ნებისმიერ ნინადადებაზე თავზე ჩამოგვეგვრეს. ეს ნიგნი ყველასთვის არაა. ეს ნიგნი მხოლოდ მათთვისაა, ვინც პირველივე წამიდან დაიჭერს იმას, რაც ავტორს მკითხველისთვის შემოუთავაზებია. ეს ნიგნი მათთვისაა, ვისაც აუცილებლად სჭირდება გონების განმენდა. თუმცა, მარტივი ნასაკითხი არ გვეგონოთ. შეიძლება, შინაარსმა შეგიტყუოთ და მოგეჩვენოთ, რომ მარტივად საკითხავ და გასაგებ ნიგნებში გადის, თუმცა, აუცილებლად დაგჭირდებათ ზოგიერთი ნინადადებისა თუ აბზავის რამდენჯერმე გადაკითხვა, რათა საბოლოო დასკვნა არასწორად არ გამოიტანოთ.

ნიგნს უცნაური სათაური აქვს. ხშირადაა ხოლმე, მხოლოდ სათაურის ნაკითხვით მიხვდები, გინდა თუ არა, რომ კონკრეტული ნიგნი ნაკითხოს. თუმცა, „ვიქნები თუნდაც ქამელეონი“, დამეთანხმებით, ვერც იმას გვპირდება, რომ საინტერესო თავგადასავალში გადაგვიშვებს და ვერც იმას, რომ ნიგნი ქვეყნმარტლებზე არ იქნება. გამოდის, შენ აუცილებლად უნდა აიღო ხელში და ნაკითხოს, რომ გაიგო, რას ნიშნავს ეს სათაური? რატომ აირჩია ის ავტორმა? ამართლებს კი ნიგნის შინაარსს? იქნებ, ავტორს სულაც უნდოდა, რომ სათაურით მკითხველისთვის მაქს ფორმის ნიგნი „ვიქნები თუნდაც განტენიანი“ გაესენებინა? თუმცა, რა საერთო აქვს ამ ორ ნიგნს ერთმანეთთან, არ ვიცი.

დროა, ერთმანეთს შევახსენოთ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც „რაღა დროის ჩემი სიყვარულია“ ცნობილი ფრაზაა, გრძნობები სხვადასხვა ფორმით გვხვდება. ზოგს უმართლებს, ზოგს კი, რეული პერსონაჟის მსგავსად, რთული გზისა და კიდევ უფრო რთული ურთიერთობების გავლა უნევს, რათა საბოლოოდ მიხვდეს, როდის დაიკარგა სიყვარულის ლაბირინთში.

**გვანცა აქიზაშვილი**



ეგრეთ ნოდებულ სოციალურად დაუცველ ქართველ მწერალთა ნიაღვრე, სავარაუდოდ, მალე ფეხს მოიკიდებს ინოვაციური ლიტერატურულ-კრიტიკული ტერმინი „ეპისი“ – „ეპისტოლე-ესეი“ და ძალიანაც მიხარის, რომ ამ სიახლის თაოსნობა, ეტყობა, მე მარგუნა ბედმა.

ან უკვე დაუფინყარ ცხრაას სამოცდათვრამეტეში, როდესაც ავადსახსენებელმა საკავშირო კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი გაუქმებულიყო, მწერლებმა სულმნათ ნოდარ დუმბაძეს ჰკითხეს, ჩვენს ენას რაღა ფუნქცია ექნებაო და, აინშტაინივით თუ გამოფუფოფთ ხანდახან ერთმანეთს ენას, თორემ სხვა არავითარიო! ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც ხომ ფაქტია, რომ სადღესოდ არავინ, დანყებული რაიონის გამგეობით (თავის საკრებულოიანა!) და დამთავრებული მინისტრთა საბჭოთი (თავის კულტურის სამინისტროიანა!), კაციშვილი არანაირ ყურადღებას არ იჩენს მშობლიური ენისა და მისი უპირველესი „მომხმარებლის“ – ეროვნული მწერლობის მიმართ!

სხვათა შორის, „ეროვნულს“ იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, სამწუხაროდ და სავალალოდ, მცოცავ ოკუპაციასავით, ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ, პარალელურად ყალიბდება და უკვე საკმაოდ ყელყელაობს „ელგებეტური მწერლობაც“.

ბოდინის მოხდით მოვიშველიებ ინკოგნიტო ავტორს, რომელმაც ამ წინებზე ფსევდონიმით გამოაქვეყნა ფრიად დამაფიქრებელი ეპიგრამა სათაურით „ერთი ასოს გამოკლებით“: „**ექსი გახდა არქი-ექსტრა სიბინძურით დანაღმული, ის, რაც იყო ბანალური, უკვე გახდა ანალური; რაც გვეგონა მორალური, თურმე, ხდება ორალური, მარინა კი მიწაში წეხს, ცელქი, მაგრამ ნორმალური**“.

ასე რომ, ელგებე-ტივლები, მალე, ალბათ, თავიანთ ოფიციალურ მწერალთა კავშირსაც დააფუძნებენ სახელმწიფო ბიუჯეტისგან დაფინანსებული გამოცემლობითა და ჟურნალ-გაზეთებითურთ, უბოძებენ საკუთარ სატელევიზიო არხს, სისტემატურად ჩაატარებენ ლიტერატურულ კონკურსებს სოლიდური პრემიებით და ა.შ.

ყოვლად უმსგავსი და უაზრო, ხელოვნური გამოთქმა – „აქედან გამომდინარე“ რომ ვიხმართ, ჩვენ, ანუ სოციალურად დაუცველთ, ისღა დაგვრჩენია, მაინცდამაინც აინშტაინივით რომ არ მოვიქცეთ, ჩვენსავე გასაცოდავებულ გაზეთში, უხელფასოდ და ულუკმაპურისფულოდ რომ ვაჯახირებთ კვირიდან კვირამდე და ხელმომწერთა გვარ-სახელები ზეპირად ვიცით, ერთმანეთს მაინც ვუძღვანათ „ეპისებში“ იმის იმედით, რომ ოდესღაც სადღაც და ვიღაც გადაავლებს თვალს...

ახლა ეს ამსიგრძე ტირიდა გინდ რეპლიკად ჩამითვალეთ, გინდაც მონოლოგად! პირადად მე კი პროლოგად მეგულება!

ქალბატონმა ლეილა მესხმა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა, თავისი ხუთასგვერდიანი „ს ლინშიმ“ წიგნი – „ჩემი ნუთისოფელი“ – მისახსოვრა ისეთი ორიგინალური ავტოგრაფით, რომ „პასუხს“ გვარიანად ვუგვიანებ.

მე რომ ვმალო, ჭირი თავისით აჭყიპინდება და რა აზრი აქვს!


ჩინებული ბელეტრისტი, რომელსაც, ნიჭიერების გარდა, გვარიც ერთობ მეტაფორული დააყოლა გამჩენმა, იმედია, არ შეიცხადებს – რა „ჩემი-ნუთისოფელი“, რის „ჩემი-ნუთისოფელი“ – საიდან მოიტანეო! გასული საუკუნის მინურულითვის, სამი სხვადასხვა ქართველი პოეტის კრებულებს, ერთი და იგივე სახელწოდება ამშვენებდა – „მონატრება“. თან, ცნობისათვის, არც ერთს არ გაუპროტესტებია!

დარწმუნებული ვარ, არც ცხონებული დავით სულიაშვილი გაპროტესტებდა! არადა, ვისაც ეს სულმოუთქმელად საკითხავი წიგნი ნაკითხული ან წასაკითხი აქვს, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ მის ავტორს საკმაოდ ნეიტრალური ძალმოსილების სიტყვა „ფიქრისთვის“ გაუმეტებია ბრწყინვალე ნოველებად აკინძული საკუთარი ნუთისოფელი!

ერთი სიტყვით, ქალბატონ ლეილას ავტოგრაფი ასე უღერს – „გიზო ზარნაძეს, მწერალსა და მოაზროვნეს!“

როგორც ოტია იტყოდა, რას შობი ახლა! ბიჭი ხარ და ნუ დოუდასტურებ! კი ბატონო,

კაცი ხარ და გეამება, მარა ეს რა ცეცხლსა და გენიაში ჩამავდე, რომელი პასკალი და, რა ქვია, პოლ ვალერი მე მნახეო!



# პროლოგიანი ეპისოპოლა ქალბატონ ლეილა მესხს!

ისე, კაცმა რომ თქვას, კაი სხარტი და ლუკონიური, თუ სარკაზმის არაა, უდავოდ იუმორის შემცველი სინტაგმაა „**მოაზროვნე მწერალი**“. ამ ცნების ანტითეზა ლოგიკურად „**უაზრო(ვნო) მწერალი**“ იქნება!!!

„მოაზროვნე მწერალი“ ისეთივე აბსურდული სიტყვათშეთანხმებაა, როგორცაა, ვთქვათ, „მორბენალი კალათბურთელი“ ხომ წარმოგადგენიათ კალათბურთელი, რომელიც გაფრენილ ბურთს კი არ ასწრებს სირბილით, არამედ დგას ერთ ადგილას და ისე ყრის კალათში რომან... ბურთებს!

ბრავო! პირველი მომგებიანი ქულა ავტოგრაფშივე ჩაინერა მწერალმა! შემშურებია თეთრი შურით!

## მავ ასა, ჩვენო კარგო ლეილა!

ასე დავიწყე ჩემი შთაბეჭდილებების გადატანა ქალაქზე მანამ, სანამ ბოლომდე ჩავამთავრებდე შენს (დე, ჩამეთვალოს გაცვეთილ ეპითეტად!) უაღრესად საინტერესო სქელტანიან წიგნს, აღსარებასავით სანდოს, ლოცვასავით მოსალბუნეს, სულის მოთქმასავით რომ იკითხება!

საიდან სადაო და, აქ უნებლიეთ მახსენდება (ეტყობა, სიტყვათა მსგავსი ფლერადობის გამო) დაუფინყარი **ზაზა ლებანიძის** ამონაკვეთი „**მოხუც ჯამბაზებში**“: „მაცალეთ სულის ამოთქმა, მშვიდად დახუჭვა თვალისა, ვის შერჩენია, მე შემრჩეს, გადახდა სოფლის ვალისა?“

იმედი გქონდეს, შენ შეგრჩება! მთელი შენი ხვაირიელი შემოქმედებაც რომ არ გაითვალისწინონ, მარტო ეს წიგნი იკმარებდა ამის თავებდა!

რა შფოთიანი, ლამეული მოჩვენებებითა და გულისხმეთქებით დახუნძლული ბავშვობა გქონია შენს პანანინა დაიკოებთან ერთად! როგორი განამებული ყმაწვილქალობა და ათასში ერთხელ, ვითომც ბედისნებიერას, ფერადი დღეებიც...

ჭეშმარიტად სულისშემძვრელია ეპიზოდი, როდესაც შენ, ათიოდე წლის ახალნაშობი ჩიტული გოგონა და ოდესღაც დიდგვაროვანი თავადის, **ენუქ ლორთქიფანიძის** სრასახლის გარემოცვაში აზიხად ნაზარდი ქალიშვილი, და ფიზიკური შრომით გატანჯული საბრალო დედაშენი, შილიფად ჩაცმულ-დახურულები, მალაქის ველზე ჩამწკრივებულ ტყვედყოფილთა ბარაკებისკენ მიიკვლევთ თოვლიან გზას... „თოვლსა და ლაფში ამოგანგლული სიცივისაგან ვკანკალებ, კალოშები მაცვია, წინდებში თოვლი ჩამყრია. დედა თითებს მიხელს, სულს მიბერავს“.

საბოლოოდ, ვიღაც ღვთისნიერი ქალბატონის გულისხმიერებითა და დახმარებით ერთ-ერთ თქვენგანს ეძლევა შანსი, მთელი ექვსი წლის უნახავ მეუღლეს ან... მამას შეხედეს!

ძალიან დავიძაბე. ნამდვილად დამავინყდა, რომ სხვის მოგონებას ვკითხულობდი. თითქოს ყოველივეს შემსწრე გავხდი!

ეს ხომ ბრეხტის ბადალი თემაა! დედა თუ შვილი! მეუღლე თუ მამა! რა უღმობელი, სასტიკი დილემაა! რას იქმს, როგორ გადაწყვეტს ქალბატონი დედა: თავად თუ შვილი! შვებით ამოვისუნთქე! რა თქმა უნდა, შვილი?!

მარჯვე კინოდრამატურგის ხელში თქვენი ფათერაკებიანი ოჯახის სვე-ბედის მოტივებზე მძაფრი კოლიზიებით გაჯერებული კინოსცენარი დაინერებოდა.

\*\*\*

გენიოსი პოეტის ძმისშვილს, შვილობილად რომ ზარდა და მემკვიდრედაც ჩაინერა, ბატონ ნოდარ ტაბიძეს (ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკას გვიკითხავდა უნივერსიტეტში), ხშირად უამბია, როგორი გაცოცხლები იტყოდა ხოლმე გალაკტიონი ბარათაშვილის „მერანზე“: „ნაიკითხავ კაცი ამ თითქოსდა უბრალო სიტყვებით განყობილ ლექსს, ყურს არ მოგხვდება არც ერთი თავ-მომონე მეტაფორა თუ რითმა („მერანს“

ურიტმავს „ყორანს“!), ჩაათავებ და, ვერ ხვდები – რომელ სტრიქონშია ჩამალული ის რაღაც უხილავი, რითაც მონუსხული რჩები!“-ო.

მოქილიკეთა ყურდსაღებად მითქვამს, რომ არვიღ არავის ადრის, მაგრამ ფაქტია: როდესაც ლეილა მესხი თითქოს ჩვეულებრივ, ყოფით მოვლენას აღწერს ან პეიზაჟს ხატავს, გრძნობ, რომ, რომელიღაც აბზაცში ნაღდად წაანყდები იმას, რაც მთელ მონათხრობს, თუ დასრულებულ ნოველად არა, ესკიზად მაინც ხდის!

ჰოდა, ამის დასტურად მომყავს ამონარიდი 2016 წლის 27 მაისის ჩანაწერიდან, როდესაც ვაჟიშვილის, მამუკას „მერსედესით“ ქალიშვილი ნინოსთან ერთად მიემგზავრება ჯერ ქუთაისში უმცროს დასთან, ზაირასთან, მერე კი მათხოჯში, ყველაზე უფროსთან, ლალისთან.

„ყველა ცხოველი ლამაზია, მაგრამ ცხენი შეუდარებელია. თავმომწონე, ამაყი, ბინძურ ნყალს ნაკლებს სვამს... ფიცი და მოუთმე-ნელი ჩანს, ჯიშთან თავ-კისერს ნაბლისფერი ფაფარი უმშვენებს. ჭიხვინი გვემის. ორნი ჩამორჩენენ. ერთხანს გაუნძრევლად დგანან, ერთმანეთს თვალბუმი შესცქერიან. ულაყის კეთილგანწყობას ელოდება მდებრი. ძნელად შესაცნობი ინტიმი იგრძნობა. ერთმანეთს ეკვრიან, პირით ეხებიან. განუწყვეტილვ როკავენ, სახეს და ყურებს უკოცნიან. მინდორზე გორავენ, ფლოქვენს მალა სწვენენ... ცხენების ალერსი არასდროს მიხახავს!

წინ მივიწვევ. აყვავებული ჟოლოს სუნი ფეხდაფეხ აგვდევნება. სიმწვანეში ჩაფლული მთები თითქოს ფეხზე წამომდგარან, გვესალმებინან. სევდა მეძალდება...

– ერთ დღეს ყველაფერი ეს უნდა დატოვო და ნახვიდე... – ჩურჩულით ვამბობ.

– სად მიდიხარ, დედა?! – მეკითხება ნინო, იცინის.

– იცი შენ, სადაც მივდივარ...

– ჯერ ადრეა!

– ვიცი, ადრეა... რომ მომენატრება აქა-ურობა, რა უნდა ვქნა?!

– ნუ გეშინია, დედა! – მაიმედებს მამუკა, – ხსოვნის ძაფი წყდება, აღარაფერი გემახსოვრება, ვერც გულისწყვეტას იგრძნობ...

– როგორ დამამშვიდე... – ვპასუხობ და ვიცი, მაგრამ, ვაი იმ სიცილს!“

ამას ავტორი აღწევს მშობლიური ენის ძირისძირობამდე ცოდნით, რიტმისა და მახვილის ჰარმონიული შერწყმით. მცდარია აზრი, თითქოს ქართულ ენაში ე.წ. „მახვილი“ არ არსებობდეს. არსებობს! მაგრამ ის მხოლოდ პირველ მარცვალზე მოდის (ფრანგულში, პირიქით, მახვილი მხოლოდ ბოლო მარცვალს სჩვევია) ქართველი ქართველს არ ეტყვის „აქ მოდ“ არამედ – „აქ მრდი!“ ლეილა მესხს მწერლის პროფესიას არც ხონის საშუალო სკოლაში ასწავლიდნენ, მედალზე რომ დაუმთავრებია, და, მით უმე-

ტეს, არც მოსკოვის საარქივო-სამეცნიერო ინსტიტუტში! ლეილა, როგორც მწერალი და ინკუბო მამონი, როდესაც თორმეტიოდე წლის გოგონას ლამაზობით რატომღაც ძილს უტეხდა ჭადრის ტოტებში გაბნეული ახალი მთვარე! დიას, დიას, სწორედ ასე, „გაბნეული“ და არა მოჭიატე, მობრდღვი-ალე, მოელვარე!

მგონი, ვალერი ბრიუსოვის სიტყვებია: ვინც პოეტად არ დაბადებულა, პოეტი ვერ გახდებაო.

ჩვეულებრივი, ლამის ტრივიალური აზრია, მაგრამ, რახან ბრიუსოვმა ბრძანა...

ერთი სიტყვით, მწერლობა პროფესია კი არა, ბედისწერაა! ამაზე ბევრჯერ თქმულა.

სანამ ვინმე ჩამიხველებდეს, დავასწრებ: კარგად მახსოვს, ლეილა რომ პოეტი არაა, მაგრამ ისიც ნამდვილად მჯერა, რომ „პროზაიკოსი“ და „პოეტი“ პირობითი ცნებებია. ისეთი პროზაიკოსისა რა მითქვამს, ვისაც ჩვეულებრივი ლექსის შეთხზვა არ ძალუძს!

\*\*\*

ასე ნელ-ნელა მივიწვევ წინ, სადაცაა, „ფიქრის კრიალოსანი“ გავასრულე და ახლა ვხვდები, რომ „ჩემი ნუთისოფელი“ კი არაა, „ჩვენი ნუთისოფელი“ უნდა შემეთავაზებინა ავტორისათვის, რადგან „**ფიქრის კრიალოსანი**“ იმდენად მრავლისმომცველი და მრავლისმეტყველია, იმდენად თანმიმდევრული (წლიდან წლამდე რომ აყურადებს მოვლენებს, მომეტებულად, „ლიტერატურულ ფრონტზე“), რომ თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის ნახევარსაუკუნოვან მატრიანედ!

მაინც რა მადლევს ამის თამამად განცხადების საფუძველს?

ბევრი რამ, თუმცა ვითვალისწინებ უფალი რედაქტორის შეჭმუნხილ შუბლს, მიუხედავად მისი შენდამი უაღრესად კეთილგანწყობისა, და მცირედით დავკმაყოფილდეთ: მკითხველს უთუოდ დაინტერესებს: როგორ გადაარჩინა ბედისწერამ ავტორი აშკარა კატასტროფას; როგორი შეძახილი დაუყენა გვერდით ავტორმა ჭაბუა ამირეჯიბის პათეტიკურ „ჭჭუთი, ქართველებო!“-ს; სამი პოეტი, რომელთაც თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე; გამოუქვეყნებელი დოკუმენტური მოთხრობა ჭაბუა ამირეჯიბზე; იყო თუ არა ავტორი ირაკლი აბაშიძის პროტეჟე; გიორგი ნატროშვილის პორტრეტი „სხვა რაკურსით“; ავტორის ესეი მანანა ჩიტიშვილსა და დოდო ჭუმბურიძეზე; რა გვარი იყო კონსტანტინე ლორთქიფანიძე სინამდვილეში და მისთ;

\*\*\*

ერთხელ ვიღაც რეგენმა დაურეკა და მიულოცა: ქალბატონო ლეილა, როგორი წარმატებული ჩოგბურთელი ბრძანდებოდით და მწერლობაშიც როგორი წარმატებები გაქვთო!

განანტყნია, რასაკვირველია, მწერალი, გული ეციკნა.

უმეტყარათაგან, ჩვენო კარგო ლეილა, სხვას რას უნდა ელოდე!

არც ლეგენდარული სპორტსმენი იქნება მშვიდად, ალბათ, იმასაც ურეკვენ მწერალმა ქალბატონმა „კორტები“ როგორ შეიძინეთ?!

**უმეტყარნი უმეტყრებად, მაგრამ რატომ უნდა იყოთ თქვენ მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი?!**

კითხვა არცთუ ისე რიტორიკულია!

## გიზო ზარნაძე


P.S. ჩემო ლეილა!

არ გამომრჩენია, საგანგებოდ შემოვიტოვე ფინალისთვის:

ჭეშმარიტად სულისშემძვრელია, როგორც ზაალ ბოტკოველი იტყოდა, თქვენი „ძველქართული სიყვარულით გაცისკროვებული ოჯახის სევდიანი ამბავი. ახლაც, მრავალი წლის შემდეგაც, როგორი გადამდები თანაგრძნობითა და სითბოთი იგონებ ნაადრევად გარდაცვლილ სიყვარულს ანზორ ღვინერას: „აქვე მინდა დავსძინო, რომ მეუღლის გარდაცვალებიდან მრავალი წელიწადია განვლილი, მაგრამ მე კვლავ ვხედავ მას – თავმომწონეს, დარდიმანდს, მეგობრების მოყვარულს, განუწყვეტილვ ვეძებ, ველოდები და, რაც მთავარია, ვეჭვიანობ (რა თქმა უნდა, სიზმარში!), როგორც მაშინ, ახალგაზრდობის უამს“.

მჯერა, რომ ნამდვილად ეჭვიანობ, რადგან სიზმარიც ბიოგრაფიის ნაწილია.





ვლადიმერ სოლოვიოვი

პოლონეთის ისტორიული წყობის შესწავლისას ვხვდებით რუსეთის დამახასიათებელი ნიშნების საპირისპირო ნიშნებს. თუკი ჩვენი წყობის მთავარი ნაკლი სამოქალაქო ურთიერთობის თვალსაზრისით სუსტი საზოგადოებრიობაა, დამოუკიდებელი და ქმედუნარიანი უმადლესი კლასის არარსებობაა, პოლონეთში, პირიქით, მაღალი კლასი, შლიახტა იყო და წარმოადგენს ერთადერთს და უმთავრესს, - პოლონეთი და შლიახტა იგივეობრიობაა. თუ სიტყვა „პოლონელი“ ჩვენს გონებაში ინვესტაცია განსაზღვრულია და თავისთავადის წარმოდგენას, ეს უსათუოდ არის „შლიახტის წევრი“ (წერილი აზნაური და არც ერთ შემთხვევაში გლეხი ანდა ვაჭარი). პოლონეთში ნაციონალური ქალაქური კლასის არარსებობის, სასოფლო კლასის (თან ნახევრად არაპოლონური წარმომავლობის) და-თრგუნულობის პირობებში შლიახტა განსახიერებდა სრულიად ნაციას, ხოლო სამეფო ხელისუფლების და-სუსტებისას იგივე შლიახტა სრულიად სახელმწიფოს. შლიახტის გამორჩეულად განვითარებამ და გაბატონებულმა მდგომარეობამ შექმნა პოლონეთის ორიგინალური საზოგადოებრიობა, თვითმყოფადი და საკმაოდ მაღალი კულტურა. ამავე გარემოების დამახასიათებელია, რომ სხვა სხვადასხვა მიზეზების გამო პოლონელები თუ მეგობრული არა, დარაზმული მოქმედებისათვის მაინც არიან მზად-მყოფნი. თუმცა ამ სოციალურმა და კულტურულმა უპირატესობებმა ხელი არ შეუშალა ჩვენებს, უღებოდ და არა-ადამიანურად დატვირთვებით უბრალო მოსახლეობა და სახელმწიფოს მართვის ნაცვლად, თავანყვეტილ თავნებობას მისცემოდნენ. პოლონეთის მთელ სი-ძლიერეს შლიახტა წარმოადგენდა და პოლონეთი დაიღუპა, იმიტომ კი არ დაიღუპა, ძლიერი თავდაზნაურობა რომ ჰყავდა - რამეთუ ეს უპირატესობა გახლდათ - არამედ იმიტომ, რომ მისმა თავდაზნაურობამ არ იწეა, ყოფილიყო საზოგადოებრივი კლასი და სახელმწიფოსა და ხალხის მართვის და ორგანი-ზებული სამსახურის განეცის ნაცვლად იქცა უზომოდ გაბატონებულ კლასად და თავად სახელმწიფოც მოიქცია საკუ-თარ თავში. დიდი შეცდომა იქნებოდა, დაკნინებულ სამეფო ხელისუფლებასა და ხალხის უმართავობაზე დაფუძნე-ბულ სახელმწიფოში პოლონეთის არის-ტოკრატული რესპუბლიკა დაგვეჩინა. ამგვარი რესპუბლიკის ნიშანდობლივი ხასიათი კარგადაა ცნობილი (ვენეცია) და პირდაპირ ეწინააღმდეგება პოლონე-თის პოლიტიკურ წყობას. ეს ვენეციაზე არანაკლებად დაკანონებული ანარქიაა. ცნობილია, რომ პოლონეთის შლიახ-ტა ისტორიაში ერთადერთი მმართვე-ლი კლასის მავალით წარმოადგენს, რომლის ყოველი წევრიც მთელი სის-რულით ფლობდა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. აი, სწორედ ამ თი-თოეული წევრის აბსოლუტურმა და-მოუკიდებლობამ გახადა შეუძლებელი სრულიად პოლონური სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა.

პოლონეთმა დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დაღუპვას: იგი არსებობს ნაციონალური იდუით, რომელიც გან-

# ეპრაული და ქრისტიანული თეოკრატიის ბედი. - რუსეთი, პოლონეთი და ისრაელი

საკუთრებულ თეოკრატიულ ხასიათს ატარებს (თუმცა არაიშვიათად დამა-ხინჯებულს). მართალია, პოლონელებს არ შეუძლიათ გაერთიანდნენ და ჩაკარ-გონ რუსულ ზღვაში, რადგან ისინი არა მარტო განსაკუთრებულ ნაციონალურ ძალას, ასევე განსაკუთრებულ სულიერ იდეას - კათოლიკობას წარმოადგენენ. ჩვენ ვიცით, რომ კათოლიკობაში არის ქრისტიანული თეოკრატიის ერთ-ერთი არსებითი ელემენტი; კათოლიკობაში პირველი მდგომარეობის საწყის-მა განვითარების უმაღლეს ხარისხს მიაღწია; აქ ჩვენ არ ვაპირებთ საკითხის საღვთისმეტყველო მიმოხილვას, თუმცა არ შეგვიძლია უარყოფთ ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე მხოლოდ კათოლიკობა განასახიერებს საეკლესიო ხელისუფლების უფადო და-მოუკიდებლობას. ჩვენში, აღმოსავლეთ-ში, ერთიანი მსოფლიო ეკლესია სულ უფრო და უფრო უჩინარდება უამრავი ნაციონალური ეკლესიის წიაღში, რომელთა შორის კავშირი უფრო და უფრო სუსტდება. განსაკუთრებული, თუნდაც უპირატესად ნაციონალური ეკლესია გარდუფვალად იქცევა სახელმწიფო ეკლესიად. ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ნთქავს მისი ეკლესიის დამოუკიდებლობას. ჩვენმა საიმპერა-ტორო აღმოსავლეთმა დამოუკიდებელი ეკლესიურობა რომ აღიდგინოს, საყრდენი გარეთ უნდა პქონდეს ისევე, როგორც აღმოსავლეთის მართლმადიდებლობა პოლონეთში ოდესღაც მტკიცე საყრდენი დასავლეთის პირველმდებლობაში. მაგრამ დასავლეთის მდგომარეობა-რი, თავის მხრივ, საჭიროებს დაცვასა და გამოსარჩევას აღმოსავლეთის მეფისაგან, სამეფოს, ერის, მოსახლეო-ბის პატრიარქალურ ღვთისმოსაობას. მართლმადიდებლობისა და კათოლიკო-ბის შეერთებამ უნდა გაათავისუფლოს და გააძლიეროს ეკლესია აღმოსავლეთ-ში, ხოლო დასავლეთში აღადგინოს ქრისტიანული სახელმწიფოებრიობა. და რამდენადაც აღმოსავლეთის სახელ-მწიფო ხელისუფლება რუსეთის მეფეს ეკუთვნის, ხოლო დასავლეთის სულიერი ძალაუფლება რომის მდგომარეობას, რომ არ იქნებოდნენ შეერთების ბუნე-ბრივი უშუალოდ ჩვენი პოლონელები - რუსეთის მეფის ქვეშევრდომები და რო-მის პაპის სულიერი შვილები, - სისხლით და ხორციით ახლობენ, სულიერად და კულტურულად რომანულ-გერმანულ დასავლეთთან მიკედლებული პოლო-ნელი სლავები?

დღეს პოლონელები ნაკლებად ფი-ქრობენ ასეთი როლის შესრულებას; მთელი მათი ძალისხმევა მიმართულია არა უნივერსალურ-რელიგიური, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური ამოცანის გა-დანყვეტაზე - კერძოდ, დიდი პოლონე-რი სახელმწიფოს აღდგენისაკენ. მაგრამ ყველასათვის, მათ გარდა, მეტისმეტად ცხადია ამ მიზნის ფანტასტიკურობა და მათი ძალისხმევის უნაყოფობა. ერთი რამ აშკარაა, რომ სამეფოს დაცემის შემდეგ პოლონელებმა რაღაც-რაღა-ცები დაივიწყეს, რაღაც-რაღაცები კი ისწავლეს. დაივიწყეს პიროვნული თვითნებობის უკიდვანობა, დაივიწყეს საკუთარი „ნებას არ ვაძლევთ“ და ისწავლეს შეთანხმებული და ორგანიზე-ბული მოქმედება; ამაჟამად პოლონელი ერის აქტიური ნაწილი, ანუ შლიახტა, საკმაოდ დარაზმულ და დისციპლინი-რებულ კოლექტიურ ძალას წარმოად-გენს. ამასთანავე, აკლიათ პოლიტიკური აღორძინებისათვის საჭირო უმთავრესი და აუცილებელი პირობები. ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების ყოველ-გვარი საფუძვლების (მონაცემების) გარეშე, სასოფლო კლასის (გლეხობის) განსაკუთრებულად დაჩაგრულობის და საქალაქო კლასის არარსებობის პი-რობებში პოლონეთი წარმოგვიდგება მხოლოდ შლიახტის სახით. მაგრამ შლიახტას, საუკეთესო შემთხვევაში,

შეუძლია იყოს სასარგებლო და მნიშვნე-ლოვანი ორგანო სახელმწიფო და ნაციო-ნალურ ორგანიზმზე, მაგრამ არა და არ ძალუქს ამ ორგანიზმის ჩამოყალიბება. პოლონელები უნდა მიხედნენ (საუკე-თესონი მათ რიგებში უკვე იწყებენ ამის გაცნობიერებას), რომ ერთი რომელიმე ორგანოს მისწრაფება დამოუკიდებლად იქცეს მთელ ორგანიზმად, უგუნური და უზნეო მისწრაფება, სწადიათ გაათავი-სუფლონ და განადიდონ პოლონელი ერთი და ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს უყურებენ, როგორც საშუალებასა და იარაღს. მაგრამ რა უყოფთ, თუ თავად პოლონელი ერთი არის მხოლოდ საშუალე-ბა და იარაღი? თუ ამ ერის ქვეშარტი არის და მნიშვნელოვან თავად მასშია და არა იმაში, რადაც ის წარმოგვიდგება, ანუ არა შლიახტაში, არამედ რასაც თავად წარმოადგენს - რომის კათო-ლიკობაში? ქვეშარტი რამ არაა. პო-ლონელი ერის არსი და ძალა ის არის, რომ სლავთა შორის აღმოსავლეთის პირისპირ ის საკუთარ არსში ატარებს და წარმოადგენს დასავლეთის სამყაროს დიად სულიერ საწყისს. დაცვა პოლონე-თის სახელმწიფო, დაეცემა პოლონური ნაციონალიზმი და პოლონელთა ყველა მიზანი და წამოწყება არარად იქცევა. მა-გრამ არ დაღუპულა და არც დაიღუპება პოლონეთი - წმინდა მსახურებისთვის მოწოდებული პოლონეთი. პოლონელი ერის უმაღლესი დანიშნულება კათო-ლიკობის მსახურებაა - უღიადესი და უპირველესი მსახურება - კათოლიკობის შეერთებისთვის მართლმადიდებლობას-თან, შემრიგებელი უშუალოდ პაპსა და მეფეს შორის - რაც ახალი ქრისტიანუ-ლი თეოკრატიის თავდაპირველ საწყისს წარმოადგენს.

თუ ქრისტიანობა უმოქმედობისთვის არ არის განწირული, მაშინ მან უნდა დაანახოს მსოფლიოს თავისი ზნეობრივი სიძლიერე - დადასტუროს საკუთარი არსი - არსი მშვედობისა და სიყვარუ-ლის რელიგიისა. მე არ ვლაპარაკობ სი-ყვარულზე განურჩევლად ყველასა და ყველაფერს მიმართ, არც თანხმობაზე ყველასთან და ყველაფერზე. კარგად ვიცი, რომ დედამიწაზე ჩვენი ეკლესია მეომარი ეკლესიაა. ამის მიუხედავად, წყევლიმც იყოს შინა ომები! კრულ იყოს წინანდელი სიკრუნი - მკვებანი და გა-მონაკვებნი შულღისაგან და მოსისხლეო-ბისაგან! დაე, აღუგზნოს ახალი ცეცხლი ქრისტეს სასძლოს გაცივებულ გულში! დაე, შეიმუშროს და ფერფლად იქცეს დაბრკოლება ყოველი, რაც თიშავს და აცალკევებს იმას, სამყაროს ერთიანო-ბისათვის რომაა შექმნილი.

დადგება ის დღე, როდესაც ხანგრ-ძლიერ უგუნურებისაგან განკურნებული პოლონეთი ცოცხალ ხიდად გაიღება აღ-მოსავლეთისა და დასავლეთის სინმინ-დეთა შორის. ძლიერამოსილი ხელმწიფე დახმარების ხელს გაუწვდენს დევნილ მდგომარეობას. მაშინ აღდგებიან ქვეშარტი წინასწარმეტყველნი ყველა ერის წიაღში და ეომნებიან მეფესა და მოძღვარს, მაშინ განდიდება ქრისტეს რწმენა და მოიქცევა ისრაელის ხალხი - მოიქცევა, რადგან ცხადლივ დინასასეს და შვიცნობს სასუფეველის ძალასა და საქმეს. და მაშინ აღარ იქნება ისრაელი ზედმეტი ევიპტესა და ასურს, პოლო-ნეთსა და რუსეთს შორის.

განა სიმართლეა, რომ ებრაელო-ბა დღესაც სრულიად ზედმეტი, ჩანს, მეტიც, განსაკუთრებულად მაგნებელი და პარაზიტული ელემენტია საკუთარ უხვად გამრავლების ადგილას - რუ-სულ-პოლონურ არეალში? ეს მხარე, განსაკუთრებით კი ბელარუსისა და ჩერკონის მიწები, საუცხოო მოვლენას წარმოადგენს: სოციალური ელემენტები აქ მკვეთრად არის გამოიწვეული სხვა-დასხვა ეროვნებას შორის: რუსები სო-ფლის მიწათმოქმედთა კლასს შეადგენენ; უმაღლესი კლასი წარმოადგენილია პო-ლონელებით, ხოლო ქალაქის მენარმენი

ებრაელებით. მაგრამ იმ დროს, როდესაც ებრაელებმა არა მხოლოდ სასურველ, თავისთვის ერთობ არახელსაყრელ და უსარგებლო პირობებში შეძლეს, მყარად და დაუნაწევრებლად (მთლიანობაში, ერთიანად) დაუფლებოდნენ (დაპატრო-ნებოდნენ) დასავლეთ რუსეთის ქალა-ქებს, ეს აშკარად მიგანიშნებს, რომ რუს ხალხზე ან პოლონეთის შლიახტაზეც მეტად შესწევთ ძალა, შექმნან ქალაქური მწარმოებლური კლასი. თუკი ეს მწარ-მოებლური კლასი ყველგან, ნაცვლად სოფლის მოსახლეობის დახმარებისა, მის ხარჯზე ცხოვრობს - უნეეს მას ექს-პლუატაციას, გასაკვირიც არაა, რომ იქ, სადაც მთელ მწარმოებელ კლასს ებრაელები შეადგენენ, ისინი ხალხის ექსპლუატატორებადაც ითვლებიან. თუმცა მათ არ დაუწესებიათ ეს მდ-გომარეობა, ერთობ დიდხანს ინერ-ნებოდნენ ისინი პოლონელი პანების სკოლაში, სადაც ერთნაირ მარწუხებ-ში ჰყავდათ მომწვედულები ებრაელიც (ყიდიც) და ხოლოპიც. მაგრამ ფულ-ზე დახარბებული ერთი კლასის მიერ სოციალური ცხოვრების საერთო წესს არ წარმოადგენს მთელს ევროპაში? თუ ჩვენი გლეხები გრძობენ ებრაელების საჭიროებას და ითმენენ მათგან შევი-წროებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ ამ გლეხების დატვირთული სოციალ-ეკო-ნომიკური მდგომარეობის ბრალია, რაც ებრაელებზე არ არის დამოკიდებული. შეჭირვებული გლეხი ებრაელთან მი-დის, რადგან თავისიანი მას არ შევლის, ხოლო ებრაელი, გლეხს რომ ეხმარება და ამავე დროს ექსპლუატაციას უწევს, ამას იმიტომ კი არ აკეთებს, ებრაელები რომ არიან, არამედ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ამ საქმის ოსტატები არიან; იგულისხმება ფულის საქმე, რომელშიც ყოველივე დაფუძნებულია ერთი მიერ მეორის ექსპლუატაციაზე.

უბედურება არც ებრაელების, არც ფულის ბრალია - უბედურება ფულის ბატონობა, მისი ყოვლისშემძლეობა; ფულის შემძლეობა კი ებრაელების დაწე-სებული არ გახლავთ, მთელი ეკონომი-კური მოღვაწეობის მიზნად გამოიჩინა და გამდიდრება ებრაელებს არ დაუდ-გენიათ; ებრაელებს არ გაუცალკევებ-ბიათ ერთმანეთისაგან ეკონომიკური და რელიგიური-ზნეობრივი სფეროები. ეს განათლებულმა ევროპამ დაადგინა სოციალურ ეკონომიკაში უღმერთო და არაადამიანური პრინციპები, მერე კი ემდურებიან ებრაელებს იმის გამო, რომ ისინი ერთგულნი ამ პრინციპებს.

ებრაელების საქმე ჩვენსაზე ცუდად როდია და ამაში მათ ვერ დავადანა-შულებთ. მათი ბრალი მხოლოდ ისაა, ებრაელებად რომ რჩებიან და ინარჩუნე-ბენ საკუთარ განკერძოებულობას. თუმ-ცა აჩვენეთ მათ ხილული და მნიშვნე-ლოვანი ქრისტიანობა, რათა შეძლონ, რაიმეს შეუერთდნენ. ებრაელობა საქმის ხალხია - დაანახეთ მათ ქრისტიანული საქმე. გააერთიანეთ ეკლესია, შეათა-ვსეთ სახელმწიფოსთან სამართლიანი ერთობით, დააფუძნეთ ქრისტიანული სახელმწიფო და ქრისტიანული საზო-გადოება. რა თქმა უნდა, ებრაელები არ მიიღებენ ქრისტიანობას, რამეთუ თავად ქრისტიანებისაგან არიან უკუგდებულნი. ძნელია სიტყვის დაძვრა, თქმა იმისა, რომ ისინი შეუერთდებიან იმას, რაც თა-ვად დანაწილდა. სადავო აღარაა, რომ ქრისტიანული სამყარო ოდესღაც ერ-თიანი იყო, მაგრამ ებრაელები ამათ არ მოხიბლულან, რადგან ეს ერთობა იძუ-ლებითი, თითქმის უცნობიერებული და დამოუცდელ-გაუწვრთნელი იყო. როცა გამოცდისა და წვრთნის უამი დადგა, ქრისტიანული სამყაროს სამარცხინოდ, ამ ერთობამ ვერ გაამართლა, რამაც დაადასტურა ებრაელთა სიმართლე და მათი გახარებაც გამოიწვია. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ქრისტიანული ერთობა თა-ვისუფლად და გაცნობიერებულად. ეს


ვალი, პირველ რიგში, ჩვენ, რუსებსა და პოლონელებს გვადევს, რამეთუ ქრის-ტიანული აღმოსავლეთი და დასავლეთი თავისი მტრობითა და თავისი ურთიერ-შერიგების აუცილებლობით დადგნენ ერთმანეთის პირისპირ.

ქრისტიანობის გაერთიანება იუდე-ველობის დიდი დანაწევრება აღმოჩნდა; მაგრამ თუკი ქრისტიანობის განყოფა უბედურებას ნიშნავდა, სამაგიეროდ ის-რავლის გათიშვა დიდ სიკეთეს მოასწა-ვებს. ებრაელობის საუკეთესო ნაწილი შეუერთდება ქრისტიანულ თეოკრატიას, ცუდი კი ამ თეოკრატიის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდება და მხოლოდ უკა-ნასკნელ ხანებში, როცა უფლის ნებით სამაგიერო მიეზღება, გადაჩრება, რა-მეთუ ძლიერია მოციქულის სიტყვა, - ისრაელი გადარჩებაო, - რომ გვაუწყა.

როცა ებრაელები შეუერთდებიან ქრისტიანულ თეოკრატიას, თან მიიტანენ იქ თავის ძალასაც. ოდესღაც ებრაე-ლობის საუკეთესო ძალეები წინასწარ-მეტყველებდნენ წარმოგვიდგებოდნენ; წინასწარმეტყველობა თავისუფალი და ქმედითი პროვინციის პირველი გამო-ვლენება იყო; მერე წინასწარმეტყველები კანონის მასწავლებლებად გარდაისახ-ნენ; წინასწარმეტყველობა რაბინიზმ-ში გადავიდა - იმავე პროვინციული და ქმედითი საწყისის ახალი გამოვლენება; და ბოლოს, ახლა ებრაელობის უმთავრე-სი ძალები უპირატესად მიმართულია ეკონომიკურ ქმედებაზე - პროვინციული საწყისის ბოლო მძაფრი გამოვლენება და მისი მატერიალიზაცია. ებრაულმა პროვინციულმა თავდაპირველად საკუ-თარი თავი ღვთაებრივის სფეროში დაე-ვიდასტურა, მერე რაციონალურ-ადამი-ანურად და ბოლოს თავს იყრის ადამიანის მატერიალური ცხოვრების სფეროში. აქა ებრაული ძალისხმევის საბოლოო გამოხატულება და ეს სფერო დარჩება ებრაელთა კუთვნილებად ქრისტიანულ თეოკრატიამც. მაგრამ სხვა იქნება მისი ხასიათი, სხვა მიზანი და სხვა დამოკიდე-ბულება ექნება სამოღვაწეო საგანთან. ჩვენი ყოვლის ახლანდელ უღმერთო და არაადამიანურ პირობებში ეკონომიკური მოღვაწეობის მიზანი ებრაელთათვის თუ არაებრაელთათვის მხოლოდ და მხო-ლოდ ანგარებაა: მატერიალური ბუნების, თუმცა კი ცოცხალი საგნები მხოლოდ ბრმა, ანგარებიანი სურვილების დაკ-მაყოფილების იარაღს წარმოადგენენ. თეოკრატიამ კი ეკონომიკური საქმი-ანობის მიზანი მატერიალური სიკიცხლის და ბუნების გაადამიანურებაა, მისი მონ-ყობა ადამიანის გონის შესაბამისად, ადამიანი კი გრძობით მისი შთაგონე-ბა; ასე რომ, ეს ბუნება, დედამიწა და ყველაფერი, რაც მასზე იგულისხმება - ცხოველები და მცენარეები - ადამიანის ქმედების მიზანს შეადგენენ და არ გა-მოიყენებიან მხოლოდ და მხოლოდ მის იარაღად: ასეთი გამოყენება იქნებოდა ბოროტად გამოყენება. როდესაც ანგა-რებიანობა არ იბატონებს ადამიანთა შორის, საზოგადოებრივ ურთიერთო-ბებში, იგი შეწყვეტს ბატონობას ბუნებე-სადმი ადამიანის დამოკიდებულებამც. თეოკრატიამც მატერიალური ბუნე-ბა ადამიანს მოემსახურება და უფრო მეტადაც; ვიდრე ამას დღესდღეობით ვხვდებით, მაგრამ ამაჟერად ეს სიყვა-რული დაფუძნებული იქნება ორმხრივ ურთიერთსიყვარულზე. ბუნება სიყვარუ-ლით დაევემდებარება ადამიანს, თავის მხრივ, ადამიანიც სიყვარულით გარს (თავს) შემოველება ბუნებას. და ვინ, თუ არა ებრაელი ერია მოწოდებული მატერიალური ბუნების ამგვარად მო-საველად, რომელმაც იმთავითვე აღი-არა თავისი უფლება ამ საკითხზე ისე, რომ არ დამორჩილებას მის ბრმა ძალას და მის გასხვივებულ ძალაში დინახა ღვთაებრივი არსის კამკამა და წმინდა გარსი. და, როგორც ოდესღაც ებრაე-ლობის საუკეთესო ნაწილი მოემსახურა ღვთიური გასხვივების მიმღებ წიაღს, აი ასე, მომავლის ისრაელიც ქმედით შუაკაცად მოემსახურება მატერიალური სიკიცხლისა და ბუნების გაადამიანურე-ბას - ახალი მიწის დაბადებას.

თარგმანა ნანი ახლობაქი





# ოთხი ერთში

თავისუფალი ანთოლოგია, სუბიექტური არჩევანი, მსოფლიო პოეზიის პოპულარიზაცია, მოზაიკა, ჭრელი ფარდაგი... რაც გნებავთ, დაარქვით. ეს გახლავთ თამაზ ხარაიშვილის ვოლუნტარისტული მთარგმნელობითი გატაცების შედეგი, უფრო სწორად, ერთი, მცირე ნაწილი იმ შრომისა, რასაც ის ამ დარგში ეწევა.

მართლაც საინტერესო პოლიფონიაა: რუსეთი, შოტლანდია, ისრაელი. განსხვავებულია ეპოქები, მწერალთა სტილი, მათი მსოფლმხედველობა, მაგრამ ერთი რამ მაინც არის, რაც ამ კონტრაპუნქტს აერთიანებს – სიყვარული... და ძალი მაისი. ანუ ოთხი პოეტი ერთ გრძნობაში გამთლიანებული.



**ალექსანდრ  
პუშკინი**

*მე თქვენ მიყვარდით*

მე თქვენ მიყვარდით, ვინძლო ეს ტრფობა ჩემს სულში კვლავაც ცეცხლივით ღვივის, ნუ შეგაშფოთებთ ოღონდ ეს გრძნობა და მწუხარებით ნუ შეცვლით ღიმილს.

მიყვარდით ბაგემდუმრიად, ვნებით, იჭვსა და კრძალვას ძრწოლით ვებარე. მე თქვენ მიყვარდით, განგების ნებით, სხვამაც შეგიყვაროთ ასე მგზნებარედ..



**სერგეი  
ესენინი**


\*\*\*

მეუბნები: „ – ქალს საადი უკოცნიდა მხოლოდ მკერდს“. თუ მადროვებთ, უფლის ნებით, მოვახერხებო, იქნებ, მეც.

ნაიმღერე: „ – ეფერატს გაღმა ვარდებს ვჭვრეტდი უხრწნელებს“... თუ მდიდარი შევიქნები, მეც სხვა ჰანგზე ვუმღერებ;

გადავკრიფავ იმ შენს ვარდებს – სურვილების სავანეს, რომ სამყაროს შერჩეს მხოლოდ ჩემი ტურფა შავანე...

ალტქმით ნულა გამანვალე, ალტქმა აღარ მაოცებს. რაკი ვიშვი მე პოეტად, პოეტით გაკოცებ..



**რობერტ  
ბერნსი**

*ერთი ყოცნასე რა...*

განშორებისას ერთი ტკბილი კოცნაც მისაგზლე; ცრემლების წვიმა ეფინება ლამის მიწამდე, პირობას გაძლე, არ მოვიკლო ოხვრა და ვიში, ტკივილი მომკლავს, ისე, როგორც ტკივილით ვიშვი.

მე ჩემს სიყვარულს, აბა, აუგს როგორ შევკადრებ? უძლური ვიყავ მის წინაშე ერთობ, მეტადრე; ნენსის დანახვამ შემომავზნო ცეცხლი დამდაგი და მონა გაეხდი ყურმოჭრილი მისი მარადის.

ეს სიყვარული უსაშველო, ბრმად მოარული, ორივეს გვემტრო, უმონყალოდ მოგვიკლა გული. მშვიდობით, ჩემო დაუმშრალი სიცოცხლის წყაროვ, ეს განშორება სიკვდილს უდრის, დაუვიწყარო.

მაინც მადლობას ვწირავ უფალს, არც ვის ვემდურვი. ეს სიყვარული იყო შენი შემწე, მეგზური. მე რაც მეკუთვნის, ის მარგუნე, ბედო ტიალო, სულმა და ხორცმა რომ ცალ-ცალკე იხეტიანლოს.

## იყოფური ზელოცებები

### 1. ერთიველ შვეწყროს მრინწრის ჰინწრ

დილაადრიან სანაპიროსთან მოსეირნეთა რიგს შევეურთდი. თვალი ეძებდა და ჰპოვა კიდეც – ირლანდიელი დავლანდე ერთი.

ნამს სიყვარულმა იფეთქა ძალუმ და გულსაც ცეცხლი მოედო მყისვე. არ გვიძინია, შუალამემდე თავდავიწყების მორევში ვყვინთეთ.

როს ისინათლა, ვაჟი წამოდგა, სამოსელს თვისას მოჰხვია ხელი.

„ან კი, მშვიდობით!“ – ესა თქვა მხოლოდ და ააჩქარა ნაბიჯი ნელი.

„ – განა ეს იყო, რასაც შემპირდი, როს დაენაფე ჩემს მკერდს ალერსით?!

ყველა ფუჭი და რიოში დარჩა, რაც სიტყვა დასცდა ენას ალესილს.

მტილს მიაშურე მამიშენისას, იქ ცრემლით გული უფრორე ლბება,

ამ უიღბლობას ვერ დავივიწყებ, სულისწარმწყმედელ ჟინსა და ვნებას.

ვიდრე შენ ჩემზე დაქორწინდები, ანდა ქალს ნახავ ჩემზე თვინიერს,

უმალ თევზები ცაში იფრენენ, ზღვები დაშთების წყლისა თვინიერ...“

### 2. მოლი მკოოფნი

ლამაზმანებით, ალბათ, დუბლინს არ ჰყავს მოცილე.

როცა შევნიშნე, მოლის მზერა ვერ მოვაცილე. თვლიან ურიკით დაჰყვებოდა ქუჩებს განიერს, ეფინებოდა წკრიალა ხმა იმერ-ამიერ:

„ – აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები...“

თევზით ვაჭრობდა მოლი ლამის დღიდან გაჩენის, მშობლებისთვისაც თევზი იყო თავის სარჩენი; რეკდნენ ქუჩებში მათი ხმები, როგორც ზარები:

„ – აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები...“

მოლი ციებამ შეინირა, ვერ შეძლეს შევლა; გაფრინდა იქით, სადაც ბოლოს მიფრინავს ყველა.

დუბლინის ქუჩებს ახლაც სტუმრობს მოლის აჩრდილი, ექო კი არა, წკრიალა ხმა ისმის ნამდვილი:

„ – აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები...“

### 3. გზან მიიყოფრას რანლოგზ მორინს ჩემი მიჯნურნი

მან მითხრა, დედამ დასტური ბრძანა, მამაც არ ჰკილავს შენს სიღარიბეს,

მალე დადგება დღე სანატრელი, როცა დავიდგამ პატარძლის რიდეს.

ეს მითხრა მხოლოდ, ნაზად შემეხო, მერე გამშორდა ჩემი ფერია,

დასლებისაკენ გასწია მშვიდად, აგნიასებულ ხალხს შეერია.

მიაცილებდა მას ჩემი მზერა და სიყვარული, შთენილი ობლად. ერთი ვარსკვლავი ფხიზლობდა ცაზე, წინ მიუძლოდა

გზის მანათობლად.

ამბობდნენ, თურმე, რომ აქამომდე არვის უხილავს წყვილი ამგვარი – ერთმანეთისთვის დაბადებული და სიყვარულის ცეცხლით დამწვარი.

თუმც მაინც ვგრძნობდი, რომ მისი სული დაუღწეველად ისრუტავდა, როგორც ღრუბელი. ჰაეროვანი სხეულით მძიმე დაჰქონდა სევდა, გამოუთქმელი.

როცა ბაზრიდან ნავაჭრით ხელში მიგოგმანებდა სახლისკენ ნელა, თურმე, ვხედავდი მას საბოლოოდ, თურმე, ვხედავდი უკანასკნელად.

წუხელ მეახლა მკვდარი მიჯნური, ფეხაკრეფით და რიდით მოვიდა.

აქ სულეთიდან მობრუნებულმა კვლავ გამომიხმო სიმარტოვიდან:

ნაზად და კრძალვით შემეხო ხელი და აჩურჩულდა ჩემი საბედო:

ძალიან მალე დავქორწინდებით, აღარ ვიცხოვრებთ უერთმანეთოდ.



**ჰათუნა  
მურმელაძე**

## განათხრობის უამინრობა

შემდგომად ზამთრის მშრალი დღეების, თებერვლის ბოლოს მძლავრობს ავდარი.

სეტყვამ და თქემმა შეაცბუნა ხე ალუბლისა... ..ის საპატარძლოდ იკაზმებოდა...

ბოლოს იდარა...ის დგას შიშველი, მშვიდი, ვით ქვაში ნაქანდაკარი;

მიმქრალი შუქი მოსავს უღვევად, უკვირს, ლამაზი მისი სხეული დაშლილა რიოშ სამკაულებად.

## მამყაცს

შენთან ვარ მარად, ვით ბრმა ასულის მკერდს მიხატული შავი პეპელა,

შენი პერანგის შიგნით ვფარფატებ...

## ფოლონს ბუჩკი

ყოველდამ, როცა მაგ ტკბილ-მჟავე სუნით ვბრუვდები, ხოლო შენ კი ჩემს მწარე სუნთქვას დაენაფები,

ჩვენს ნეკნებშუა ჟოლოს ბუჩკი აღმოცენდება; თვალმიზნედილინი ვაგემოვნებთ გარეულ ნაყოფს...

ჩვენს სახეებზე მენამული ლაქები ჩნდება. \*\*\*

ვიმეორებდი, რომ ის ცუდია, მძიმე და თანაც, ჩლუნგი არსება...

მისი თავი კი ქვადქვეული დიდი ბურთია, შორს გასატყორცნი კატაპულტიდან,

თუმც ღამ-ღამობით სულ ვეკვროდი მის ეულ სხეულს, გარს ვეხვეოდი უსურვაზივით ოდნავ შემთბარ გრანიტის ნატეხს...

## თიქო-ავიქში, ზოვის ჰინწან

თელ-ავიქში ვარ, ზღვის პირას ვდგავარ, ვხედავ ბევრ სახეს, უცნობს და უცხოს; უსახოებსაც...

ანყდებიან ვინრო ბოგირებს. შენ მეუბნები: „ – გაჯადოებს უცნაურ ძალით ზღვით განბანილი მათი სხეული

და გაბნეული ქარში სულელები, ვინრო ბოგირზე მოქანავენი, სიმალლითა და სივრცით დამთვრალნი“...

სულ ამას ამბობ, სულ იმეორებ, შენ კი თვით ზღვაზე უტურფესი ხარ, უძიროა შენი თვალებიც....

თარგმნა

თამაზ ხარაიშვილი

მთავარი რედაქტორი ივანე აპირსანაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატარაშვილი  
ფინანსური მენეჯერი ქატიკან დეპატარაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბალა გველსიანი, გზია ბარბაქაძე  
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვოლდემარ ვანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG0000000161665862

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaartvelo@yahoo.com

დაბეჭდილია შპს „საარი“ სტამბაში მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

**გაგოღის  
პარასკეობით**

